გარემოვაჭრეების ბუნტი ქუთაისში A2

"კანონიერების კულტურა" A8

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 29 ივნისი, 2004 წელი. №152 (701) | ფასი 50 თეთრი

# ნატო აძლიერებს კონტაქტებს პარტნიორ ქვეყნებთან



ნატო-ს სამიტის მონაწილეთათვის საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა აშშ-ს მიერ ერაყისთვის ხელისუფლების გადაცემა.

REUTERS

ეკა კვესიტაძე
*სპეც. კორ. სტამბულში*

სტამბულის სამიტი პირველი უმაღლესი დონის შეხვედრაა ნატო-ს გაფართოების შემდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, სამიტი ნატო-ს საწინააღმდეგო დემონსტარციების და უპრეცედენტოდ გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების ფონზე წარიმართა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 26 წევრი ქვეყნის ლიდერი გუშინ სტამბულში იმ გამოწვევებსა და პრობლემებზე მსჯელობდა, რომელიც განახლებულ მსოფლიოში ნატო-ს წინაშე გაჩნდა და რომლის პირდაპირი შედეგები სტამბულის შუაგულში შეინიშნება - ჯერ კიდევ შუშებჩამსხვრეული შენობა, რომელშიც ოდესღაც ინგლისის საკონსულო იყო და რომელიც ტერორისტების სამიზნე გახდა.

გუშინ არაბული ტელეკომპანიები ისევ ავრცელებდნენ კასეტებს, რომელზეც ტერორისტები თვალებახვეული ამერიკელი და თურქი ტყვეების თავის მოკვეთით იმუქრებოდნენ. ნატო-ს ლიდერებს კი, მიუხედავად უზარმაზარი ძალაუფლებისა, ამ კონკრეტული ადამიანების გათავისუფლება არ ხელეწიფებათ. ამიტომაც სამიტზე ზოგადად ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავებაზე საუბრობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რა აწუხებთ პარლამენტარებს

### დეპუტატები მძიმე სამუშაო პირობებს უჩივიან

გიორგი ასანიშვილი

დავიწყოთ იმით, რომ მათ, თურმე, დისკომფორტს უქმნიან პარლამენტის შენობის შესასვლელთან მდგომი მათხოვრები. მიხეილ მაჭავარიანის თქმით, ეს არის ორგანიზებული ჯგუფი, რომლის წევრებიც 10 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ტექსტით საუბრობენ და ერთი და იგივე ისტორიებს ჰყვებიან.

**"თითქმის ყველას ლამის უკვე სახელით ვიცნობ და მათი ოჯახური ამბებიც დაწვრილებით ვიცი,"** - აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

მოწყალების მთხოვნელთაგან შეღონებული დეპუტატები გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მოსთხოვონ, მათხოვრები საჯარო დაწესებულებების სიახლოვეს არ გააკარონ.

მეორე პრობლემა, რომელიც ხალხის რჩეულებს აწუხებთ, ის არის, რომ პარლამენტის შენობის წინ ავტომანქანებს ვერ აჩერებენ. მათი თქმით, "მდგომარეობა" მას შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა, რაც პრეზიდენტი სააკაშვილი საცხოვრებლად პარლამენტის მახლობლად გადმოვიდა.

ედვარდ სურმანიძე ჩივის, რომ თუ დეპუტატები პარლამენტთან მანქანის გაჩერებას მაინც ახერხებენ, მათი მისამართით წყევლა-კრულვა და გინება გაისმის. ამიტომ, დეპუტატი მოითხოვს, რომ პარლამენტარებს მიეცეთ ნება, ავტომანქანები საკანონმდებლო ორგანოს შენობის ეზოში გააჩერონ. ნინო ბურჯანაძეს კი ამის გაგონებაც არ სურს, რადგან ეზოს მცირე ფართობის გამო, ეს ქაოსსა და უწესრიგობას გამოიწვევს. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებს თანაუგრძნობს და განზრახული აქვს, ქალაქის მერს მიმართოს თხოვნით, კლასიკური გიმნაზიის შენობის უკან ავტომანქანების სადგომის მოსაწყობად ნებართვის გაცემის თაობაზე. ბურჯანაძის თქმით, პარლამენტის წევრები და თანამშრომლები, აგრეთვე, პარლამენტში მიწვეული სტუმრები ამ სადგომით უფასოდ ისარგებლებენ, სხვებისთვის კი ის ფასიანი იქნება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც პარლამენტში აწუხებთ, მობილურ ტელეფონებს უკავშირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ფულთან დაკავშირებული გარჩევა"

საპარლამენტო უმრავლესობის გუშინდელი სხდომის მთავარი თემა კვლავ ის "პატარა გაუგებრობა" იყო, რომელიც ბიზნესმენ ომარ კაციტაძის სახელს უკავშირდება. პრეზიდენტის საპარლამენტო გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა - დეპუტატებს კვლავაც ვერ გადაუწყვეტიათ, უნდა მიიღოს თუ არა პარლამენტმა ის საკანონმდებლო შესწორება, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ ბიზნესმენ ომარ კაციტაძეს მიმდინარე წლის იანვარში აღუთქვა (სწორედ ამ გარიგების წყალობით, ბიზნესმენმა საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით ხორბალი შემოიტანა. მაშინ მისი ფირმა საბაჟო გადასახადისაგან გაათავისუფლეს. მოგვიანებით კი, როგორც ამბობენ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას სიტყვა მისცეს, რომ პარლამენტი აუცილებლად მიიღებდა შესაბამის ცვლილებას საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც, 2004 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ნებისმიერი ქვეყნიდან შემოტანილი ხორბალი ან სხვა მარცვლეული საბაჟო გადასახადით არ დაიბეგრებოდა).

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკა

### როლები იცვლება



"მე ვარ სამშობლოს მოღალატე, ბანდიტი და დივერსანტი," - ეს სიტყვები ზვიად ძიძიგურს მოძღვართან არ უთქვამს. აღნიშნული განცხადება დეპუტატმა საჯაროდ, ღიად, პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

A3

## ეკონომიკა

### პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, დაპირისპირება სასამართლოში გადაინაცვლებს

პარლამენტმა გასულ კვირას "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს რეგულირების შესახებ" კანონში ცვლილებები დაამტკიცა. ხანგრძლივი დისკუსიებისა და რამდენიმედღიანი განხილვების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო რეგულირების საფასურის ორპროცენტიან ზღვრულ განაკვეთზე შეჯერდა.

A4

## უცხოეთი

### ერაყელებს მართვის სადავეები გადასცეს



A5

## საზოგადოება

### კეთილი ნების ელჩი



საქართველო ის ქვეყანაა, სადაც იოდდეფიციტი ენდემურ - ტრადიციულ დაავადებას წარმოადგენს. სანდრა რულოვსი საქართველოში იოდდეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის სახე ხდება.

A6

## ამინდი

| | 29/6 | 30/6 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 28 |
| ქუთაისი | 23 | 31 |
| ბათუმი | 22 | 29 |
| სოხუმი | 21 | 26 |
| ფოთი | 23 | 29 |
| თელავი | 20 | 27 |
| ზუგდიდი | 23 | 30 |
| გორი | 20 | 26 |
| ახმეტა | 21 | 27 |
| ჭიათურა | 22 | 29 |
| გაგრა | 20 | 24 |
| სამტრედია | 23 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3358 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5069 |
| რუბლი | 0.0662 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო
(შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ)

*25 ივნისი 2004 წ. თბილისი*

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე განვიხილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსის ი.კალანდაძის კერძო საჩივარი შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ 2004 წლის 11 ივნისის განჩინებაზე.

## გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

2004 წლის 08 ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს განცხადებით სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ მომართა შპს "რუსთავი 2"-ის დირექტორმა ერასტი კიწმარიშვილმა.

2004 წლის 11 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა ე. კიწმარიშვილის მოთხოვნა და გაიხსნა გაკოტრების საქმე შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით 2004 წლის 12 ივნისს.

2004 წლის 24 ივნისს სასამართლოს კერძო საჩივრით მომართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსმა ი. კალანდაძემ და მოითხოვა სასამართლოს 2004 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმება და შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით შპს "რუსთავი 2"-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტებით საერთო საგადასახადო დავალიანება შეადგენს 4 622 826,51 ლარს. გაკოტრების საქმეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე აშკარაა, რომ შპს "რუსთავი 2"-ის ხელთ არსებული ქონება არ არის საკმარისი დავალიანების სრულად დასაფარად. ამავდროულად მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია დაინტერესებულია დავალიანების სრულ დაფარვაში, ხოლო გაკოტრების საქმის გახსნის და წარმართვის შემთხვევაში ბიუჯეტი ვერ მიიღებს სრულად მის კუთვნილ თანხებს, ამავე დროს დაფარვა გაგრძელდება დიდი ხნის განმავლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება კომპანიასთან საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზნით, რაც შესაძლებელს გახდის ჯარიმების და საურავების შემდგომი დარიცხვის შეჩერებას და შესაძლებლობას მისცემს შპს "რუსთავი 2"-ს შემდგომი ფუნქციონირებით შეძლოს არსებული დავალიანების დაფარვა ისე, რომ არ მოხდეს მისი გაკოტრება და ყველა კრედიტორი შეძლებს სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები. ვინაიდან მათი საგადასახადო დავალიანება არის ვადაგადაცილებული და მისი დაფარვა წარმოადგენს პრიორიტეტულს საწარმოსათვის, აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს შპს "რუსთავი 2"-ს გამოვიდეს ზედავალიანების და გადახდისუუნარობის მდგომარეობიდან, შესაბამისად აღარ იარსებებს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძველი.

განვიხილე რა კერძო საჩივარი მიმაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების საქმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები: წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ამ კომპანიის კუთვნილებაში იყო მატერიალური და არამატერიალური ქონება (აქტივები):

1. ქონება, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,045,526.44 ლარს;
2. ანგარიშზე რიცხული თანხები და სალაროში არსებული ნაღდი ფული 252,737.74 ლარის ოდენობით;
3. კომპანიის მოთხოვნა დებიტორთა მიმართ შეადგენს 13,455.65 ლარს. კომპანიის ერთადერთი დებიტორია "საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი."

სულ კომპანიის ხელთ არსებული თანხის, ქონებისა და არამატერიალური აქტივების, ასევე წინასწარ გაწეული ხარჯების ღირებულების ჯამი (საწარმოს აქტივები) შეადგენდა 3,880,069.34 ლარს.

სასამართლომ ასევე შეამოწმა შპს "რუსთავი 2"-ის დავალიანებები და მიიჩნია, რომ კომპანიას ნამდვილად გააჩნდა 9,223,385.35 ლარის ოდენობით დავალიანება (კომპანიის პასივები). სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ კომპანიის საგადასახადო ჯამურმა დავალიანებამ შეადგენდა 4,622,826.51 ლარი. სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა სახელშეკრულებო კონტრაჰენტების მიმართ კომპანიას გაკოტრების საქმის გახსნის დღისათვის გააჩნდა 4,150,523.34 ლარის ოდენობის დავალიანებები. ბიუჯეტის მიმართ და სხვადასხვა სახელშეკრულებო კონტრაჰენტების მიმართ არსებულმა დავალიანებებმა ჯამში შეადგინა 9,223,385.35 ლარი.

გაკოტრების საქმის გახსნის დღისათვის დამდგარი იყო 5,842,847.92 ლარის ოდენობით ვალდებულების შესრულების ვადა. ამასთანავე, 2004 წლის 30 ივნისისათვის კომპანიას წარმოეშობა კიდევ 92,297.46 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდის ვალდებულება.

კერძო საჩივრის ავტორი, რომელიც წარმოადგენს შპს "რუსთავი 2"-ის ძირითად კრედიტორს (მის მიმართ საერთო საგადასახადო დავალიანება შეადგენს 4,622,826.51 ლარს), მზადყოფნას გამოთქვამს აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რათა არ მოხდეს საწარმოს გაკოტრება და ყველა კრედიტორმა შეძლოს სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები, ასევე არ მოხდეს სამუშაო ადგილების შემცირება. დავალიანების რესტრუქტურიზაცია შესაძლებელს გახდის ან შესაძლებლობას მისცემს შპს "რუსთავი 2"-ს სწორი ფინანსური და მარკეტინგული პოლიტიკის გატარებაში გამოვიდეს ზედავალიანების და გადახდისუუნარობის მდგომარეობიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზმა და კერძო საჩივრის ავტორის მზადყოფნამ ძირითადი დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ კომპანია შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების საქმის წარმოებისას აღმოიფხვრა გაკოტრების საფუძველი - ზედავალიანება და გადახდისუუნარობა, რის გამოც გაკოტრების საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 29[1]-ის მეოთხე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 31-ე , 32-ე მუხლებით;

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსის ი. კალანდაძის კერძო საჩივარი: შეწყდეს გაკოტრების საქმე შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ;
2. გაუქმებულ იქნეს შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნასთან დაკავშირებით მიღებული ყველა ღონისძიება;
3. აღნიშნული განჩინება გაეცნოს შემდეგ კომერციულ ბანკებს:
   ა) ს/ს "ბანკი თეთრი"
   ბ) ს/ს "ქართუ ბანკი"
   ც) ს/ს "ინტელექტბანკი"
   დ) ს/ს "თი ბი სი ბანკი"
   ე) ს/ს "საბერძნეთის კომერციული ბანკი" (საქართველო);
4. დაევალოს შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების მმართველს და დირექტორს, უზრუნველყონ ამ განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში", ასევე ინტერნეტში განთავსებულ შპს "რუსთავი 2"-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გადაცემა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ეთერით.
5. დაეკისროს შპს "რუსთავი 2"-ს სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გადახდა მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის №507121604, ანგარიშის კოდი №3115, ბანკის კოდი №220101107.
6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში კერძო საჩივრის შემოტანით ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

*მოსამართლე: მ.ნოზაძე*

# "ფულთან დაკავშირებული გარჩევა"

პირველი გვერდიდან



*რომან გოცირიძეს ვერ გაუგია, რა არგუმენტებით ახსნის მთავრობა უკანა რიცხვით კანონის მიღებას.*

საუბარი ამ თემის ირგვლივ გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დაიწყო, თუმცა უმრავლესობის წევრებმა მაინც საჭიროდ ჩათვალეს, მსჯელობა საკუთარ შეკრებაზეც განეგრძოთ. უმრავლესობის თავყრილობა პარლამენტის ბიუროს დასრულებისთანავე დაიწყო. როგორც ყოველთვის, უმრავლესობამ საუბარი დახურულ კარს მიღმა არჩია. ასე რომ, ჟურნალისტებისთვის მხოლოდ კულუარული ინფორმაციებია ცნობილი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის საპარლამენტო გუნდი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, დაუჭიროს თუ არა მხარი კონკრეტულ საკანონმდებლო ინიციატივას.

მართალია, გუშინ საპარლამენტო უმრავლესობამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო, მაგრამ საკითხი რიგგარეშე სესიის დღის წესრიგიდან მაინც არ არის ამოღებული. გამორიცხული არ არის, დეპუტატებმა გამოსავალი მაინც იპოვონ და ხელისუფლების მხარდამჭერ ბიზნესმენს რაღაც მოუხერხონ, მით უფრო, რომ პირობა მიცემული იყო და კაცური სიტყვა - ნათქვამი. "ფულთან დაკავშირებული გარჩევაა," - ასე მოკლედ და ლაკონურად აღწერა ერთ-ერთმა დეპუტატმა ის, რაც უმრავლესობის დახურულ სხდომაზე ხდებოდა.

და მაინც, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, კანონს უკუძალა არ ექნება. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია, რომელიც საგადასახადო კოდექსში ამ ცვლილების შეტანის წინააღმდეგია. დაბოლოს: უმრავლესობის წინა სხდომებისაგან განსხვავებით, გუშინდელ თავყრილობას დეპუტატების რეკორდულად მცირე რაოდენობა ესწრებოდა. როგორც ჩანს, დანარჩენებისთვის ხორბლის თემა ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა.

*24 საათი*

# "ჟენერალ დეზოს", შესაძლოა, უარი უთხრან

თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, თბილისის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის იჯარით გადაცემის საკითხი, შესაძლოა, ქალაქის მთავრობამ კიდევ განიხილოს და ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ტენდერიც გამოაცხადოს. "არ გამოვრიცხავთ, გადავხედოთ არა უბრალოდ ფრანგულ კომპანიასთან "ჟენერალ დეზოსთან" კონტრაქტის პროექტს, არამედ საერთოდ თავიდან გამოვაცხადოთ ტენდერი," - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე. თბილისის მერის განცხადებით, დედაქალაქის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის იჯარით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას მანამდე არ მიიღებენ, ვიდრე არ იქნება უზრუნველყოფილი მთელი პროცესის საჯაროობა, არ დაზუსტდება სისტემის რეორგანიზაციის პროცესში მერიისა და საკრებულოს პოზიცია და არ დადგინდება მისი რეორგანიზაციისა და რეაბილიტაციისთვის კრედიტის აღების მიზანშეწონილობა. თბილისის მერის განცხადებით, თუ ქალაქის მთავრობა გადაწყვეტს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 25-მილიონიანი კრედიტის მართვა თავად შეუძლია, "წყალკანალს" იჯარით კერძო კომპანიას აღარ გადასცემენ. ჭიაბერაშვილი დარწმუნებულია, რომ, ახალი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, გაცილებით მეტი კომპანია მიიღებს ტენდერში მონაწილეობას და გაცილებით უფრო კარგ პირობებს შესთავაზებენ ქალაქის მთავრობასა და მერიას. ქალაქის მერს ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები ჰქონდა თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ ნანტის ხელმძღვანელობასთან და უახლოეს მომავალში "ჟენერალ დეზოს" საკონტრაქტო პირობებს გასაცნობად ნანტელ კოლეგას გაუგზავნის.

*ინტერ-პრესი*

# თბილისის ხელმძღვანელობის ახალი სტრუქტურები

გუშინ თბილისის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოსა და მერიის აპარატის ახალი სტრუქტურა დაამტკიცა. საკრებულოს დღევანდელი გადაწყვეტილებით საკრებულოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი სამსახურების გაერთიანება-გამსხვილება მოხდა, აგრეთვე გაუქმდა რამდენიმე და შეიქმნა ახალი სამსახურები. საკრებულოსა და ქალაქის მთავრობის აპარატის სტრუქტურას დაემატა კონტროლის სამსახური და მოქალაქეთა მისაღები; სამაგიეროდ, გაუქმდა მთავარ მრჩეველთა ჯგუფი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან მუშაობის სამსახური. აპარატის სტრუქტურიდან გატანილია თბილისის საქალაქო არქივი; გაერთიანდა კადრების განყოფილება და სამხედრო-სამობილიზაციო, საიდუმლო საქმეთა განყოფილება და ა.შ. საბოლოოდ, საკრებულოს დღევანდელი გადაწყვეტილების თანახმად, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის სტრუქტურა ასეთია: აპარატის უფროსი და აპარატის უფროსის მოადგილე, აპარატის იურიდიული სამსახური, პრეს-სამსახური, საგარეო ურთიერთობათა სამსახური, საკადრო რესურსების მართვის სამსახური, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახური, სამდივნოები, საქმის წარმოების სამსახური, კონტროლის სამსახური, მოქალაქეთა მისაღები. საკრებულომ ეს გადაწყვეტილება "მრეწველები-ახლების" წინააღმდეგობის მიუხედავად მიიღო.

*ინტერ-პრესი*

# სახელმწიფომ "თელასი" დააყადაღა, თელასმა სახელმწიფო ორგანიზაციები "გათიშა"

გუშინ "თელასმა" მიიღო გადაწყვეტილება, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტოს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც მიწოდებული ენერგიის საფასურს არ იხდიან. საუბარია შემდეგ უწყებებსა და ორგანიზაციებზე: მთავრობის კანცელარია, პარლამენტი, შსს და მისი ქვემდებარე ორგანიზაციები, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ტელევიზია და სამთავრობო რეზიდენცია.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, აღნიშნული უწყებები ინფორმირებულნი იყვნენ დავალიანების არსებობის შესახებ, მაგრამ მათ ამასთან დაკავშირებით არანაირი ზომები არ მიუღიათ. "თელასი" მათ მიმართ მორიგ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ვიდრე დასაფარი თანხა კომპანიის ანგარიშზე არ დაირიცხება, ეს ორგანიზაციები ელექტროენერგიას ვერ მიიღებენ, რადგან მათი გულგრილობის გამო "თელასი" დაზარალდა". ამის თაობაზე სპეციალური განცხადება "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ გააკეთა. მისი თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება იძულებითი ნაბიჯია კომპანიის მხრიდან და ის "თელასის" დაყადაღების ფაქტმა განაპირობა.

ორშაბათს, საგადასახადო სამსახურმა კომპანიის ანგარიშებს ყადაღა დაადო, ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების გამო. ფანცულაიას განცხადებით, "თელასის" ბიუჯეტის მიმართ დავალიანება 1 მილიონ ლარამდეა, ზუსტად იმდენივე, რაც მის მიმართ მთელ რიგ სახელმწიფო ორგანიზაციებს გააჩნია.

*24 საათი*

# გარემოვაჭრეების ბუნტი ქუთაისში

გუშინ, ღამის ორი საათიდან, ქუთაისის ცენტრალური ნაწილი გარე მოვაჭრეების, პოლიციისა და მერიის თანამშრომლების ორთაბრძოლის ველად გადაიქცა. ეს არეულობა ქუთაისის მერიის მხრიდან გარე ვაჭრობის ალკვეთის მცდელობას მოჰყვა. პირველი ნაბიჯები "ამ მხრივ" ქუთაისის მერიამ ყვავილების ბაზრობის მიმართ გადადგა. აღნიშნული ბაზრობა თავის დროზე კანონმდებლობის დარღვევით, სკვერში მოეწყო და წლების განმავლობაში უკანონოდ ფუნქციონირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ მოვაჭრეებს იქვე მდებარე სახანძროს პირველი სართული შესთავაზა, მეყვავილეები შეჩვეული ჭირის პრინციპით მოქმედებდნენ და აღნიშნულ შენობაში შესვლაზე უარს აცხადებდნენ. რასაც შეხლა-შემოხლა და ცემა-ტყეპა მოჰყვა. საბოლოოდ სკვერი ყვავილებით მოვაჭრეებისაგან გათავისუფლდა, რის შემდეგადაც ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლები ქალაქის ცენტრში ე. წ პასაჟებში არსებულ ვაჭრებსაც მიადგნენ. გარე ვაჭრობის აკრძალვას იქაც დიდი შეხლა-შემოხლა და ფიზიკური ანგარისწორება მოჰყვა.

განაწყენებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და საპროტესტო აქციების გამართვა დაიწყო. თავდაპირველად მათ რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს, ხოლო მოგვიანებით კი მერიასთან საპროტესტო აქციაც მოაწყვეს. ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის გია გიორგაძის განცხადებით, ყვავილების ბაზრობის მიერ განადგურებულ სკვერს მერია თავის ძველ სახეს დაუბრუნებს, ხოლო რაც შეეხება მოვაჭრეებს, ყველა შესაბამისი სავაჭრო ადგილით დაკმაყოფილდება. მერიის გადაწყვეტილებითვე, გარე მოვაჭრეები პირველი სამი თვე გადასახადებისაგანაც გათავისუფლდებიან.

პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის განმარტებით, **"არც ერთი გარემოვაჭრე არ დარჩება ულუკმაპუროდ".** იგი გარე ვაჭრობის ლობისტობაში ყოფილ გუბერნატორს თემურ შაშიაშვილს და ყოფილ ვიცე მერს ონისე უგრეხელიძეს ადანაშაულებს. **"გარე ვაჭრობაში კრიმინალ ონისე უგრეხელიძის ინტერესები იყო, რომელიც წინ შაშიაშვილს ჰყავდა აფარებული. მათ გააცამტვერეს ქალაქი. უგრეხელიძის მიმართ ჩემ მიერ სხვა ღონისძიებებიც იქნება გატარებული,"** - განაცხადა დავით მუმლაძემ.

გარე მოვაჭრეები კი ხელისუფლების დაპირებებს პესიმისტურად უყურებენ და საკუთარ მომავალ საქმიანობას გაურკვეველს უწოდებენ. ჯერჯერობით ისიც უცნობია, შეძლებს თუ არა ქალაქის ცენტრში არსებული ბაზრობა რამოდენიმე ასეული გარემოვაჭრის დატევას.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

# არეულობა სიღნაღში

*გუშინ ხმაური იყო სიღნაღის რაიონის პროკურატურაში. სოფელ საქობოს მოსახლეობა პროკურატურის შენობის აღებას შტურმით ცდილობდა. საქობოლოები სოფლის საკრებულოს და ამავდროულად რადიო "ათლეტის" ხელმძღვანელის ნოდარ კუტიბაშვილის დაკავებას აპროტესტებდნენ.*

სოფლის თავკაცების დაპატიმრების სერიალმა გურჯაანიდან ამჯერად ქიზიყშიც გადაინაცვლა. გასულ კვირას სიღნაღის პოლიციამ სარწყავი მაგისტრალიდან ამოღებული მილების უკანონო რეალიზაციის საფუძველზე, სოფელ საქობოს გამგებელი ნოდარ კუტიბაშვილი დააკავა.

როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, ამოღებული 10 ტონა სარწყავი მილები სოფელ საქობოს საკრებულოს ეზოში ექვსი თვის მანძილზე ელაგა. შემდეგ კი კუტიბაშვილს ხელწერილით ჩაბარადა, რადგან იყო ვერსია, რომ ამოღებული მილები ამ სოფელს ეკუთვნოდა. გამოძიების შემდეგ კი გაირკვა, რომ უკვე ჯართად ჩამოწერილი სარწყავი მილები სხვა სოფელს ეკუთვნოდა და ამიტომ პროკურატურამ მფლობელისთვის დაბრუნება გადაწყვიტა. **"ჩვენ ამის შესახებ ნოდარ კუტიბაშვილს წერილობით მივმართეთ. იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ განაცახდებას უგულებელყოფდა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა,"** - აცხადებს პროკურორი დავით მარტოშვილი. პროკურორის მტკიცებით, კუტიბაშვილმა მათ მიერ გაგზავნილი წერილი გადახია. **"მე მაქვს ინფორმაცია, თუ როგორ გადახია საქობოს გამგებელმა ჩვენი გაგზავნილი წერილი,"** - ამბობს მარტაშვილი. ამის შემდეგ კუტიბაშვილს პოლიციაში იბარებენ და აკავებენ. დაპატიმრებიდან 48 საათში კი საქმე რაიონულ სასამართლოს გადაეცა განსახილველად და ნოდარ კუტიბაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. ამ ფაქტმა სოფელ საქობოს მოსახლეობაში აჟიოტაჟი გამოიწვია.

**"ეს ადამიანი სოფლისთვის ზრუნავდა და ამიტომ დააკავეს? როგორ შეიძლება ასეთ ქველმოქმედს უკანონოდ მოექცე?"** - კითხულობენ საქობოლოები და დახმარებას ქვეყნის პრეზიდენტს სთხოვენ. **"როგორ უნდა ვენდოთ ისეთ პოლიციელებს, რომლებიც თავად ჩადიან დანაშაულს. ის მილები კი, რომელიც სოფლის საკრებულოს შენობაში ელაგა, მძარცველებს სწორედ ნოდარ კუტიბაშვილმა ჩამოართვა,"** - ამბობს ჩვენთან საუბარში სოფელ საქობოს მკვიდრი ნათელა ჭაბაშვილი. სოფლის მოსახლეობა იმასაც ამბობს, რომ ნოდარ კუტიბაშვილის დაკავება პოლიციის და პროკურატურის ინტერესებში შედიოდა, რადგან ამ ჯართის ბიზნესის უკან პოლიციელები დგანან. **"თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს. მილებს თავად პოლიციელები იღებენ. იმ დროს კი, როდესაც ნოდარი დამნაშავეებს წაადგა თავზე, სხვებთან ერთად, სიღნაღის პოლიციელი, თემურ ქუსიკაშვილიც იყო,"** - ამბობს სოფლის საკრებულოს წევრი ნინო კაკაშვილი და იქვე იმასაც აცხადებს, რომ გაყიდული მილების თანხა კუტიბაშვილმა ადგილობრივ - სოფლის ბიუჯეტში შეიტანა: **"მილების გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როცა საკრებულოს სესია ჩაატარა, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხული თანხით კი მან თანამშრომლების წლობით გაუცემელი ხელფასები გასცა,"** - აცახდებს ნინო კაკალაშვილი. რაიონის პროკურორი კი საქობოს საკრებულოს სესიის ოქმს, რომელიც ჯართის გაყიდვისა და თანხის საკრებულოს ბალანსზე შეტანის შესახებაა შედგენილი, ყალბად მიიჩნევს. **"თუ ექვსი თვე ეყარა, როგორც ეს ოქმში აქვთ მითითებული, რანაირად შეიტანეს ჯართის ფული საკრებულოს ბალანსზე?"** - კითხულობს მარტაშვილი.

როგორც ითქვა, ნოდარ კუტიბაშვილი წნორის სამაუწყებლო კომპანია "ათლეტის" ხელმძღვანელიცაა, როგორც მისი თანამშრომლები აცხადებენ, კუტიბაშვილის მიმართ ზეწოლა ჯერ კიდევ არჩევნების წინა დღეებში დაიწყო. **"იგი ყოველთვის ობიექტურად აშუქებდა ძველი და ახალი ხელისუფლების მუშაობას. არაერთხელ იყო ჩვენი ეთერით გადაცემული თვით ძალოვანების მაკომპრომატირებელი სიუჟეტები. სწორედ რომ პირადი ინტერესები დევს ამ ყველაფრის უკან,"** - აცახადებს რადიო ათლეტის რედაქტორი ნათელა ჭაბაშვილი. ამ ბრალდებებს რაიონის პროკურორი კატეგორიულად უარყოფს და მას ცილისწამებად მიიჩნევს. იგი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ნოდარ კუტიბაშვილი დამნაშავეა და სასჯელსაც მოიხდის. შეხლა-შემოხლამ სიღნაღის პროკურატურაში ორ საათს გასტანა, შეთანხმება მაინც ვერ შედგა. ამის გამო ქიზიყელები ხუთშაბათისთვის უკვე პროტესტის უკიდურეს ზომას - შიმშილობას დაიწყებენ პროკურატურის შენობის წინ და პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებასაც მოითხოვენ.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# კონფერენცია აფხაზეთში

სოხუმის ხელისუფლების მიერ 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით, ბიჭვინთაში დაგეგმილ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ თბილისიდან გაემგზავრნენ აფხაზეთის საკითხებში ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი და პროფესორი გია ანჩაბაძე. ბიჭვინთის საერთაშორისო კონფერენცია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, სოხუმის ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის, აფხაზეთის უნივერსიტეტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის და ლონდონის არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" ინიციატივით იმართება. კონფერენცია ეძღვნება თემას "აფხაზეთი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში" და მასში ქართველების გარდა, ევროპელი და რუსი პოლიტოლოგები და კონფლიქტოლოგები მიიღებენ მონაწილეობას. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ოტირბას ინფორმაციით, ბიჭვინთაში დაგეგმილ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ პარიზის "უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ცენტრის", ლონდონის "სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის", ბერლინის ბერგოფის "კონფლიქტების კონსტრუქციული მართვის კვლევის ცენტრის", მოსკოვის "კარნეგის კვლევითი ცენტრის", ნორვეგიის "საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის" წამყვანი სპეციალისტები.

*ინტერ-პრესი*

# როლები იცვლება

## რეპრესირებულები გენპროკურორის ყოფილი მოადგილის სამართლებრივ დევნას იწყებენ



*რეპრესირებულები გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს უტევენ.*

*"მე ვარ სამშობლოს მოღალატე, ბანდიტი და დივერსანტი. ჩემნაირები პარლამენტში მრავლად არიან," - ეს სიტყვები ზვიად ძიძიგურს მოძღვართან არ უთქვამს. აღნიშნული განცხადება დეპუტატმა საჯაროდ, ღიად, პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მისი "აღსარება", სამართლებრივი თვალსაზრისით, სინამდვილეს შეესაბამება.*

დღეს მართლაც კურიოზული სიტუაციაა შექმნილი - 1991-1992 წლის მოვლენებში მონაწილე ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები პოლიტიკურად რეაბილიტირებულნი არიან, მაგრამ იურიდიულად კვლავ "სამშობლოს მოღალატეებად, ბანდიტებად და დივერსანტებად" რჩებიან, რადგან შევარდნაძისდროინდელი სასამართლოების მიერ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენები დღემდე არავის გაუუქმებია.

ამიტომ, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, პარლამენტში შემუშავდა სათანადო კანონპროექტი, რომლის ავტორია დეპუტატი კახა კუკავა. ვინაიდან განაჩენების გადასინჯვა შეუძლებელია, ამიტომ, პარლამენტარები "შემოვლით გზას" დაადგნენ: "ახლად აღმოჩენილ გარემოებათა" მოტივით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევა ცვლილებები და ყოფილ პოლიტპატიმართა სასამართლო პროცესები ხელახლა ჩატარდება.

შესაბამისად, "ზვიადისტების" დაპატიმრებისა და წამების ფაქტებზე ვიღაცას პასუხისგება მოუწევს. ამ კუთხით, მინიშნებები კეთდება ანზორ ბალუაშვილზე, რომელიც იმ პერიოდში გენერალური პროკურორის მოადგილე იყო და "სამშობლოს მოღალატეების" სისხლის სამართლის საქმეებს კურირებდა. თავად რეპრესირებულებს კი (კუკავას თქმით, მათი რაოდენობა 200-300 კაცია), კანონპროექტის მიხედვით, 45-ლარიანი პენსია დაენიშნებათ.

გარდა ამისა, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" კვოტით პარლამენტში წარმოდგენილი დეპუტატები იწყებენ ხელმოწერების შეგროვებას, რათა შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზებსა და გარემოებებს შეისწავლის. დეპუტატი კობა დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის იდეას დეპუტატების უმრავლესობა მხარს დაუჭერს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე (კუკავას, ძიძიგურისა და დავითაშვილის მონაწილეობით) ისიც აღინიშნა, რომ ანალოგიური სახელმწიფო კომისია, ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, 2004 წლის თებერვლიდან უკვე არსებობს, მაგრამ ის დღემდე არ შეკრებილა.

პრესკონფერენციას ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს წევრებიც ესწრებოდნენ. ვალტერ შურღაიას თქმით, თუ პარლამენტის მხრიდან სათანადო პოლიტიკური ნება იქნება, გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებული მასალების გამომზეურებას წინ ვერაფერი დაუდგება. **"არსებობს ხალხი, ვისაც ასეთი მასალები გააჩნია. ოღონდ, ამ ხალხს დაცვა და უსაფრთხოების გარანტიების მიცემა სჭირდება,"** - აცხადებს შურღაია.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ პარლამენტის ბიუროს წარედგინება, შემდეგ კი მას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში განიხილავენ. ზვიად ძიძიგურს ეეჭვება, რომ კანონპროექტის ირგვლივ მსჯელობას პარლამენტი უახლოეს მომავალში მოახერხებს. დეპუტატის ვარაუდით, დოკუმენტის მიღება, ალბათ, საშემოდგომო სესიაზე მოხდება.

*გიორგი ასანიშვილი*

# ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზი სამი დღით, მეორე მოწვევის, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის პარლამენტის მეორე სესიას დაეთმობა.

აღნიშნული ინიციატივა ბავშვთა ფედერაციას ეკუთვნის, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ბავშვთა ალტერნატიული პარლამენტი ჩამოაყალიბა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრწანისის სასწავლო ცენტრში დღეს დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციების სწავლების კურსდამთავრებულთა საჩვენებელი მეცადინეობა გაიმართება. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, სწრაფი რეაგირების ძალების 53-მა ოფიცერმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სპეციალური მომზადება ჯერ კიდევ მარტის თვეში გაიარა. ქართველ სამშვიდობოთა მომზადება ერთობლივად ჩაატარა ინგლისელ ინსტრუქტორთა ჯგუფმა, მაიორ ტიმი რობის ხელმძღვანელობით, და ექვსმა ქართველმა ოფიცერმა, რომლებმაც სპეციალური მომზადება ჩეხეთში გაიარეს. დღეს სასწავლო მეცადინეობას თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოხუმში, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინიმ და აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯინბამ სოჭში დაგეგმილ სამმხრივ - ქართულ-რუსულ-აფხაზურ შეხვედრაზე განსახილველ საკითხებზე იმსჯელეს, რომელიც გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებას ეძღვნება. სოხუმიდან მიღებული ინფორმაციით, ტალიავინისა და ხაჯინბას შეხვედრაზე, ასევე, დეტალურად იქნა განხილული გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში გაერო-ს განვითარების პროგრამის მიმდინარეობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კოტე კემულარიას დანიშვნით აღშფოთებულია. შრომის პარტიის ლიდერის აზრით, ამ საკადრო გადაწყვეტილებით, საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ეპოქა დასრულდა. ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ნათელაშვილმა კემულარიას "ავანტიურისტი, ქვეყნის გამყიდველი და მილიონების ქურდი უწოდა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უახლოეს დღეებში, ოფიციალური ვიზიტით, ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო ინიციატივის საკითხებში ევროკომისარი იანუშ კოდაშნიკი ეწვევა. იგი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან, სახელმწიფო მინისტრთან თამარ ბერუჩაშვილთან, პარლამენტის ვიცე-სპიკერთან მიხეილ მაჭავარიანთან, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა კომიტეტების წევრებთან და პარლამენტარებთან. ევროკომისარი საქართველოდან აზერბაიჯანსა და სომხეთში გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისელი მამუკა წიკლაური, რომელმაც თბილისის ზღვაზე მდებარე კაფე-ბარ "წითელი ბარიდან" მოიპარა 3 ცალი პნევმატური თოფი და სხვადასხვა დასახელების სურსათი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ზესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნატო აძლიერებს კონტაქტებს პარტნიორ ქვეყნებთან

პირველი გვერდიდან

სამიტის მთავრი საკითხები, როგორც მოსალოდნელი იყო, ავღანეთი და ერაყია. ავღანეთში ნატო-ს ოპერაციების გაფართოება და ერაყის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნა - ეს არის ის წამყვანი თემები, რომელიც გუშინ მსოფლიოს ტელეკომპანიების ჰედლაინებში მოექცა. ასევე მთავარი თემა იყო ამერიკელების მიერ ერაყის მთავრობისთვის ძალუფლების მთლიანად გადაცემა, რომელიც სწორედ გუშინ გამოცხადდა - მაშინ, როდესაც ნატო-მ დააკმაყოფილა ერაყის ხელისუფლების თხოვნა ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და პოლიციისთვის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყებაზე. ანუ სამიტის მთავარი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია - ნატო ერაყის უშიშროების ძალებს გაწვრთნის, დეტალები კი, თუ როდის დაიწყება ეს პროგრამა, უფრო მოგვიანებით დაზუსტდება. საფრანგეთი და გერმანია უარს აცხადებენ პროგრამაში მონაწილეობაზე, თუ ის მხოლოდ ერაყის ფარგლებში განხორციელდება.

ამ ორი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, რომლის ლიდერები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ერაყში საბრძოლო მოქმდებების დაწყებას, საქართველო მზად არის, შეძლებისდაგავრად, ჩაერთოს ნატო-ს ყველა ოპერაციაში, მათ შორის - ავღანეთში. ეს განცხადება გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გია ბარამიძემ გააკეთა.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ტყვია მოგვხვდება... ჩვენ უნდა გავიღოთ საფასური იმისათვის, რომ დავიმკვიდროთ ჩვენი კუთვნილი ადგილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში, - აღნიშნა ბარამიძემ.

ნატო-ს ოპერციებში მონაწილეობაზე იგივე აქცენტები დასვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა. "ამ ოპერაციებში ჩვენც ვმონაწილეობთ და ამიტომ ნატო, როგორც სერიოზულ პარტნიორს, ისე განგვიხილავს," - განაცხადა მან.

მოლოდინი იმისა, რომ სტამბულის სამიტი გამორჩეულად მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოთვის, არავის ჰქონია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტამბულში ჩამოსვლამდე განაცხადა, რომ ის განსაკუთრებულს არაფერს ელის ამ სამიტისგან. ნატო-სთან ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იქნა მოწონებული ბრიუსელში და უკვე ჩაითვალა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯად.

გუშინ, ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე, არავის უსაუბრია პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხზე. სამაგიეროდ ევროატლანტიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრები დღეს იგეგმება, რომელშიც მონაწილეობას, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მიიღებს. გარდა ამისა, გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე უკვე გააკეთა განცხცადება ნატო-ს გენერალუმა მდივანმა. კითხვაზე, მოხდება თუ არა უახლოეს მომავალში ნატო-ს ყურადღების ფოკუსირება კავკასიაზე, იაპ დე ჰუპ სხეფერმა განაცხადა: "თქვენს კითხვაზე ჩემი პასუხია - რა თქმა უნდა. ამ სამიტის ერთერთი მთავარი საკითხი პარტნიორ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და იმ რეგიონებზე ფოკუსირებაა, რომლებიც ნატო-სთვის ძალზე მნიშვნელოვანნი არიან. ამიტომ არის, რომ სამიტის მეორე დღე პარტნიორი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრებს დაეთმობა."

სამიტამდე ექსპერტები აცხადებდნენ, რომ სტამბულში საქართველოსთვის ორი მნიშვნელოვანი საკითხი დაისმებოდა - ფოკუსირება კავკასიაზე და რუსეთისათვის ბაზების გაყვანის მოთხოვნა. პირველი საკითხი - ნატო-ს ყურადღების გაზრდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ - შეიძლება ითქვას, დადებითად გადაწყდა. თუ რა პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებენ ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან დაკავშირებით, ეს დღეს გახდება ცნობილი. თუმცა უკვე მნიშვნელოვანია ის, რომ სტამბულის სამიტის კომუნიკეში ნათქვამია: "ევროატლანტიკური პარტნიორობის გასაძლიერებლად, ნატო უფრო მჭიდრო ურთიერთობებს დაამყარებს ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებთან, როგორიც კავკასია და ცენტრალური აზიაა. ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაინიშნოს ორი წარმომადგენელი და, გარდა ამისა, ერთი სპეციალური წარმომადგენელი ამ ორ რეგიონში. ჩვენ მივესალმებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გადაწყვეტილებას, განახორციელონ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამა. ეს არის მნიშვნელონი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ქვენებისთვის, რათა მათ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან."

და ბოლოს, კომუნიკეში ნათქვამია, რომ ნატო მიესალმება საქართველოს ახალი ხელისუფლების მისწრაფებას რეფორმების განხორციელებისკენ.

რაც შეეხება რუსეთის მიერ ეუთო-ს სტამბულის სამიტზე მიღწეული შეთანხმების შესრულებას და ბაზების გაყვანის გაჭიანურებას, კომუნიკეში ნათქვამია, რომ რუსეთმა უნდა განაახლოს საქართველოდან და მოლდოვადან სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებები და დააჩქაროს პროცესი. ნატო კი, თავის მხრივ, ეუთო-ს დამკვირვებელთა მეშვეობით, მონიტორინგს გაუწევს ამ პროცესს.

მიუხედავად მიპატიჟებისა, რუსეთის პრეზიდენტი საერთოდ არ ჩასულა სტამბულში.

მაისში ბრიუსელში გამოსვლის დროს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა განაცხადა: "მე ვიმედოვნებ, რომ ის პირობები, რომელიც პრეზიდენტ პუტინს შევთავაზეთ, მისაღები იქნება მისთვის, რათა სტამბულში ჩამოვიდეს. პუტინმა მადლობა გადაიხადა მიპატიჟებისთვის, მაგრამ დასძინა, რომ მრჩევლებმა სამიტზე წასვლა არ ურჩიეს."

როგორც ცნობილი ექსპერტი, "უოლ სტრიტ ჯოურნალის" პოლიტიკური მიმომხილველი ვლადიმირ სოკორი წერს, მართალია, არფერია ცნობილი ამ პირობების შესახებ, მაგრამ ცნობილია ის პირობები, რომელსაც თავად პუტინი აყენებს. ეს, პირველ რიგში, იმ ლოიალური პოზიციის გაგძელებაა, რომელსაც ევროპა აქამდე იჩენდა რუსეთის მიმართ და ეუთო-ს სამიტზე მიღწეული შეთანხმების შესრულებას არ აიძულებდა.

როგორი იქნება ამ საკითხთან ნატო-ს სტამბულის სამიტის დამოკიდებულება, ეს, შესაძლოა, დღეს გახდეს ცნობილი, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, ის სამიტის შესახებ, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს. მიხეილ სააკაშვილმა გუშინ შეხვედრები გამართა თურქეთისა და ბულგარეთის პრეზიდენტებთან, ნორვეგიის, საბერძნეთისა და იტალიის პრემიერ-მინისტრებთან. თურქეთისა და საქართევლოს პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს უახლოეს მომავალში ოფიციალური ვიზიტით ეწვევა თურქეთის პრემიერ-მინისტრი და თურქი ბიზნესმენების დელეგაცია.



REUTERS

ნატო-ს სამიტი სტამბულში გამკაცრებული უსაფრთხოების ზომებისა და მასობრივი დემონსტრაციების თანხლებით მიმდინარეობს.

# რა აწუხებთ პარლამენტარებს



იური ლობოდინის ფოტო

პარლამენტარები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ყველაზე მეტ დროს უთმობენ.

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პლენარული სხდომების თუ ბიუროს შეკრების დროს დეპუტატები ტელეფონზე ხმამაღლა საუბრობენ და ამით კოლეგებს მუშაობაში ხელს უშლიან. სპიკერი მოითხოვს, რომ ასეთ დროს დეპუტატებმა ტელეფონები გამორთონ, ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შეინახონ. ბურჯანაძის თქმით, მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პარლამენტში დეპუტატები თავს უფლებას არ აძლევენ, სხდომის მიმდინარეობისას მობილური ტელეფონით ისარგებლონ. თუმცა, ელენე თევდორაძემ სპიკერი "ტყუილში გამოიჭირა": ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ბურჯანაძეს შეახსენებს, რომ ასეთი რამ ევროსაბჭოში ხდება.

როდესაც დეპუტატებს ასეთ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა, რა გასაკვირია, რომ "იაღლიშებიც" მოსდით. მაგალითად, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ პარლამენტს მიღებული აქვს "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონიდან გამომდინარე კანონპროექტები, მაშინ, როდესაც თავად ძირითადი კანონი ჯერ კიდევ... მისაღებია!

ეს კაზუსი ბიუროს სხდომაზე საფუძვლიანად "გაირჩა" და "დადგინდა", რომ მომხდარში მთავარი დამნაშავე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. თავად ლევან ბეჟაშვილს ამასთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუთქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომას არ ესწრებოდა.

პარლამენტის ერთმა გადაწყვეტილებამ კი გასულ კვირას, თურმე, ლამის მთელი დიპლომატიური კორპუსი ააწრიალა და ააფორიაქა: 25 ივნისის სხდომაზე საკანონმდებლო ორგანომ რამდენიმე ელჩს უფლებამოსილება შეუწყვიტა, ამის შესახებ კი მათ (ელჩებს) არავინ აცნობა. ჰოდა, უფლებამოსილებაშეწყვეტილი დიპლომატები ერთმანეთთან და ნაცნობებთან რეკავდნენ, გაგვაგებინეთ, პარლამენტში რა მოხდა, მართლა გაგვათავისუფლეს სამსახურიდან თუ არაო.

ნინო ბურჯანაძის თქმით, მომხდარში პარლამენტი ნამდვილად არ არის დამნაშავე, რადგან ელჩებისთვის ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა მიეწოდებინა.

**"როდესაც ელჩების გათავისუფლება "ოპტომ" ხდება, თან ისე, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იციან, მინიმუმ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უნდა აიღოს ყურმილი და მათ ამის შესახებ აცნობოს,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

კიდევ ერთი შარი, რომლის თავიდან აცილებას პარლამენტი აპირებს, ფინანსებს უკავშირდება. როგორც ირკვევა, მთავრობა კანონმდებლებისგან მოითხოვს, რომ პარლამენტმა უკანა რიცხვით გააფორმოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც, საქართველოში ხორბლის შემომტანი ფირმა "პროგრესი" 120 ათასი ლარის გადასახადისგან გათავისუფლდება (არაოფიციალური ინფორმაციით, ამ ფირმის მეპატრონე პურპროდუქტების კორპორაციის ყოფილი შეფი ომარ კაციტაძეა).

მიმდინარე წლის იანვარში "პროგრესმა" ხორბალი შემოიტანა ერთ-ერთი ქვეყნიდან, რომელიც არც WTO-ს წევრია და არც დსთ-სი, და ამდენად, საგადასახადო შეღავათები მასზე არ ვრცელდება. დღეს კი მთავრობა ითხოვს, რომ ამ ფირმის ინტერესების გამო, საგადასახადო შეღავათები არა მარტო WTO-სა და დსთ-ს ქვეყნებზე, არამედ სხვა სახელმწიფოებზეც გავრცელდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე წინააღმდეგია, რომ პარლამენტმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. **"კანონდარღვევას რომ თავი დავანებოთ (გადაწყვეტილების ძველი რიცხვით გაფორმება), ჩემთვის გაუგებარია, ვიღაცის გამო ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები რატომ უნდა შეილახოს?"** - გაოცებას ვერ მალავს გოცირიძე. თუმცა, კულუარებში საუბრობენ, რომ ომარ კაციტაძე, უბრალოდ, "გადააგდეს", - მას შეჰპირდნენ, რომ პარლამენტი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა და "პროგრესი" გადასახადისგან გათავისუფლდებოდა.

**"რადგან მთავრობა ასეთ წარმოუდგენელ კანონპროექტს გვთავაზობს, მაშინ მოვიდეს და განგვიმარტოს, აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტში რატომ შემოაქვს,"** - მოითხოვს ნინო ბურჯანაძე. მიხეილ მაჭავარიანის თქმით კი, ზურაბ ნოღაიდელი პარლამენტში მისასვლელად და დეპუტატებთან შესახვედრად მზად არის.

**"ფინანსთა მინისტრი წინდახედული კაცია და სათანადო არგუმენტები რომ არ ჰქონდეს, პარლამენტისგან ასეთი გადაწყვეტილების მიღებას არ მოითხოვდა,"** - დასძენს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

# საქართველო კორუფციულ გარიგებაში არ ჩაებმება

თბილისის ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით, საქართველო-რუსეთის ლარსის მონაკვეთზე დროებითი სავიზო პუნქტი ამოქმედდება. უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, გამშვებ პუქტზე გამარტივებული სავიზო რეჟიმი იმოქმედებს: **"ყველა მოქალაქეს, რომელიც ავტომანქანით მგზავრობს საქართველოს ან რუსეთის მიმართულებით, თავისუფალი მიმოსვლის საშუალება მიეცემა."** შეგახსენებთ, რომ სამი დღის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის გადაწყვეტილებით, საქართველოს მიმართულებით მოძრავი მგზავრებისთვის ცხინვალის გავლით გზა გადაკეტილია, რის გამოც ამ ადამიანებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

როგორც უგულავამ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება არ გაიზიარებს ცხინვალის ხელისუფლების პირობას, რომელიც ერგნეთის ბაზრობის აღდგენის სანაცვლოდ, ოსების მხრიდან როკის მიმართულებით გზის გახსნას ითვალისწინებს: **"კოკოითის მოთხოვნა ასეთი იყო - თუ ერგნეთის ბაზრობაზე ვაჭრობა აღდგებოდა, მაშინ გზები გაიხსნებოდა, მაგრამ საქართველო კორუფციულ გარიგებებში ჩაბმას არ აპირებს."**

ოსების მიერ საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამი თანამშრომლის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილე უგულავა, "უშიშროების სამსახურის სპეციფიკიდან" გამომდინარე, კომენტარს არ აკეთებს.

გუშინწინ ღამით ცხინვალის მისადგომებთან სროლები იყო. ქართული სოფლების მოსახლეობა კოკოითის ხელისუფლების პროვოკაციაზე ცალსახად საუბრობს. გუშინვე ქართული სოფლების მოსახლეობას სარწყავი წყლის მიწოდება შეუწყვიტეს, რის გამოც, შესაძლოა, ათამდე სოფელს მოსავლის აღებისას სერიოზული პრობლემები შეექმნას.

კოკოითის ხელისუფლების პროვოკაციაზე სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გოგა ხაინდრავაც საუბრობს. იგი არა უბრალოდ უარყოფს, არამედ სისულელეს უწოდებს ოფიციალური ცხინვალის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში "ტყის ძმები" გამოჩნდნენ.

*24 საათი*






# ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილია

გუშინ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ხარჯთაღრიცხვა იმ ორმა პარტიამ წარმოადგინა, რომელმაც 20 ივნისის არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერი დაძლია. ამ მონაცემების თანახმად, "სააკაშვილი - გამარჯვებულმა აჭარამ" უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნებში 123 000 ლარი დახარჯა. ფიზიკურმა პირებმა აჭარელი "ნაციონალები" 111 ათასი ლარით "დაასპონსორეს", საერთო თანხის დარჩენილი ნაწილი კი უკვე იურიდიულმა პირებმა გაიღეს.

გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება ის თანხა, რომელიც "რესპუბლიკელებმა" არჩევნებში დახარჯეს - 11 690 ლარი. პარტიას 2 850 - 2 850 ლარი ორმა ადამიანმა გადაურიცხა, სამმა - 1000-1000 ლარი. დანარჩენებმა პარტია შედარჩებით მცირე თანხით დაასაჩუქრეს.

რაც შეეხება არჩევნებში მონაწილე იმ პარტიებს, რომლებიც ბარიერს მიღმა დარჩნენ, მათ, საარჩევნო კანონის თანახმად, ხარჯთაღრიცხვა აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას ერთი წლის ვადაში უნდა წარუდგინონ.

ჯერ კიდევ უცნობია, როდის გაიმართება უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. როგორც ვარაუდობენ, დეპუტატთა შეკრება 10 ივლისისთვის იგეგმება. მანამდე კი უმაღლესი საბჭოს წევრებმა ნარკოლოგიური შემოწმება უნდა გაიარონ. პირველ და ორ ივლისს ნარკოლოგიური შემოწმების ორგანიზებას უსკო უზრუნველყოფს. იმ დეპუტატებს, რომლებიც ამ დღეებში შემოწმებას არ გაივლიან, შეეძლებათ, პროცედურა დამოუკიდებლადაც გაიარონ. მთავარია, დეპუტატებმა 14-დღიან ვადას არ გადააცილონ (ამ ვადის ათვლა უსკო-ს მიერ არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან იწყება).

დაბოლოს: დღეს, შესაძლოა, ბათუმში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდეს. როგორც ვარაუდობენ, იგი ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრებს და ავტონომიის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

*24 საათი*

# საწარმოთა მართვის სააგენტოსა და ზარაფხანის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა მწვავდება

*საწარმოთა მართვის სააგენტოსა და ზარაფხანის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბება. ზარაფხანის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მის ზემდგომ ორგანოს, სააგენტოს, ზეწოლაში ადანაშაულებენ. საბჭოს თავმჯდომარის გია ხუციბერიძის მტკიცებით, საწარმოთა მართვის სააგენტო მათ არასასურველი გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს.*

მარიამ ჭაჭკაძე

საქართველოს ეროვნულ ზარაფხანასა და საწარმოთა მართვის სააგენტოს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი, გია ხუციბერიძის თქმით, ზარაფხანის გენერალური დირექტორის თანამდებობაა. ეს პოსტი, რომელიც დღეს დავით ლორთქიფანიძეს უკავია, შესაძლოა, მალე ვაკანტური აღმოჩნდეს, რადგან, ხუციბერიძის რწმუნებით, საწარმოთა მართვის სააგენტო ზარაფხანის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან ლორთქიფანიძის უპირობო გათავისუფლებას ითხოვს.

დირექტორთან ერთად, სააგენტოს მოთხოვნით, უახლოეს დღეებში ზარაფხანის პარტნიორთა კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის, ლერი საძაგლიშვილის გათავისუფლებისა და მისი სააგენტოს წარმომადგენლით, ოლეგ ლაჟომიათი ჩანაცვლების შესახებ.

პარტნიორთა კრების მოწვევას და მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას საწარმოთა მართვის სააგენტო პირადად გია ხუციბერიძეს ავალებს. საამისოდ მას სპეციალური გადაწყვეტილების პროექტიც კი მოუმზადეს, რომელზედაც ხელის მოწერას ხუციბერიძე არ აპირებს. მისი თქმით, ზარაფხანაში ოლეგ ლაჟომიას დანიშვნა საწარმოში სააგენტოს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის ინტერესების გატარებას ემსახურება. თავად დავით ლორთქიფანიძე კი ამ ცოტა ხნის წინათ ირწმუნებოდა, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მცდელობა გარკვეული ძალების მიერ ზარაფხანის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას უკავშირდება.

გადაწყვეტილების პროექტის ერთ-ერთ პუნქტში კი ნათქვამია, რომ განახლებულმა სამეთვალყურეო საბჭომ (სულ, საბჭოში სამი კაცია - თავმჯდომარე, მოადგილე და წევრი) საწარმოში არსებული მდგომარეობის შესახებ უახლოეს სხდომაზე უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება საწარმოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ.

**"ამ გადაწყვეტილების პროექტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რატომ უნდა გავათავისუფლო საძაგლიშვილი თანამდებობიდან და რატომ უნდა ჩავანაცვლო ის ლაჟომიათი. ამით მათ სურთ, რომ დათოსა და ლერის გათავისუფლება მე დამაბრალონ, თითქოს ეს ჩემი ინიციატივა იყოს. გუშინ კიდევ ერთხელ დამირეკეს და ამ გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა კატეგორიულად მომთხოვეს"**, - აღნიშნა ხუციბერიძემ "24 საათთან" საუბრის დროს. მისი თქმით, უახლოეს დღეებში, თუკი საწარმოზე ზეწოლა არ შეწყდება, ის იძულებული გახდება, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დატოვოს.

საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე სერგო ტოპრაკაშვილი აცხადებს, რომ სააგენტოს მხრიდან ზარაფხანის მიმართ მსგავსი მოთხოვნის შესახებ მას ინფორმაცია არ გააჩნია, თუმცა დირექტორის დავით ლორთქიფანიძის მიმართ პრეტენზიებს ის არ უარყოფს. ტოპრაკაშვილის თქმით, საქართველოს ეროვნული ზარაფხანა დღეს წამგებიანი საწარმოა, რაც მთლიანად დირექტორისა და მისი უვარგისი მენეჯმენტის "დამსახურებაა".

ის, რომ საწარმო ზარალიანია, ამას ზარაფხანის ხელმძღვანელობაც ადასტურებს და ამას საწარმოს ძველი ხელმძღვანელობის "თავგასულობით" ხსნის. ზარაფხანის ფინანსური მენეჯერი შოთა რამიშვილი აღიარებს, რომ საწარმოს მიერ ამჟამად დაგროვილი საგადასახადო დავალიანება სამ მილიონ ლარს აღემატება. **"ამ ვალის, რომელიც საწარმოს ძველ ხელმძღვანელობას დაუგროვდა, გასასტუმრებლად ჩვენ, წინა და დღეს მოქმედ ხელისუფლებას რამდენჯერმე შევთავაზეთ თურქმენეთის ვალის მომსახურება, რაზედაც კატეგორიული უარი მივიღეთ"**, - გვითხრა ზარაფხანის ფინანსურმა მენეჯერმა.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მაღალი ძაბვის ქ/ს "ავშნიანის" ტერიტორიის შემოღობვაზე**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 1 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 5 ივლისი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ელეგაზურ ამომრთველის და ელეგაზური დენის ტრანსფორმატორის მოწოდებაზე**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 29 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**30 ივნისს, 11.00-დან 14.00-სთ-მდე:**
ვარკეთილი-3, II მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**30 ივნისს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ყაზბეგისა და გამსახურდიას გამზირის, იყალთოს მთის, ბახტრიონის, ცინცაძის, იყალთოს, მიცკევიჩის, გამრეკელის, საირმის, წინაუბნის, ბაკურციხის, ფანასკერტელ-ციციშვილის, ტუსკიას, ბალანჩივაძის, ახალშენის, ჩაილურის, ჭიათურის, იოსელიანის, დოლიძის, ბაკურიანის, ენგურის, პანკისის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**30 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის და გამსახურდიას გამზირის, იყალთოს შესახვევის, ცინცაძის, ბახტრიონის, მიცკევიჩის, გამრეკელის, საირმის, წინაუბნის, ბაკურციხის, ტუსკიას, ფანასკერტელ-ციციშვილის, ტეხურის, ბალანჩივაძის, ახალშენის, ჩაილურის, ჭიათურის, იოსელიანის, დოლიძის, ბაკურიანის, კოსტავას, ენგურის, პანკისის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ბათუმის პორტი ევროპული ტვირთების მიღებას შეძლებს

თამარ ივანიძე

*საქართველოს რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობა "მშრალი ტვირთების" მოსაზიდად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას იწყებს. რკინიგზაზე, სადაც ტვირთბრუნვის 85 პროცენტი არის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მშრალი ტვირთების სიმცირე სერიოზულ პრობლემად რჩება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ნავთობპროდუქტების ნაკადის დიდი ნაწილი თანდათან ირანის მიმართულებით ინაცვლებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*ხელისუფლება ბათუმის პორტში ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი ტერმინალის მშენებლობას და ბათუმი-კონსტანტა-ბათუმის მიმართულებით საბორნე გადასასვლელის გახსნას გეგმავს.*

თუ ნავთობპროდუქტების შემთხვევაში ქართული მარშრუტის მთავარი ნაკლი მისი სიძვირეა (თუმცა, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ეს), რაც ცალკე საუბრის თემაა, მშრალი ტვირთების შემთხვევაში, ტრანსპორტირების ფასთან ერთად, სერიოზული ტექნიკური პრობლემაც არსებობს: საუბარია იმაზე, რომ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე რკინიგზის ლიანდაგების სიგანე 8 სანტიმეტრით აღემატება ევროპული რკინიგზის სტანდარტულ ზომებს, რის გამოც მშრალი ტვირთების დატვირთვა სატვირთო გემებზე ტექნიკურად ძალიან გაძნელებულია.

ამ, ერთი შეხედვით, მარტივი, "რვასანტიმეტრიანი" პრობლემის გამო, მშრალი ტვირთების დიდი ნაწილი აზიიდან ჩრდილოეთის მარშრუტით, ხმელეთით - რუსეთისა და უკრაინის გავლით, შემდეგ დუნაის საშუალებით მიდის შავი ზღვისკენ და ამ დიდი წრის გავლის შემდეგ ბალკანეთის ქვეყნებს, ევროპას უკავშირდება.

საქართველო უახლოეს პერიოდში, სავარაუდოდ, მაქსიმუმ ერთი წლის ვადაში შეძლებს შესთავაზოს ევროპულ ტვირთებს საკუთარი მარშრუტი - ბათუმის ტერმინალის გავლით. ხელისუფლება ბათუმის პორტში ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი ტერმინალის მშენებლობას და ბათუმი-კონსტანტა-ბათუმის მიმართულებით საბორნე გადასასვლელის გახსნას გეგმავს.

ორიოდე დღის წინ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი რუმინეთის დელეგაციას მასპინძლობდა და სტუმრებთან ერთად ბათუმსაც ეწვია. ვიზიტის მიზანი ბათუმის პორტის დათვალიერება და შესასრულებელი სამუშაოების შეფასება გახლდათ.

წინასწარი შეფასებებით, ტერმინალის მშენებლობა 8 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. 2 მილიონის სამშენებლო მასალები რუმინულმა მხარემ უკვე გადმოსცა ქართულ მხარეს. მხარეები ერთი თვის განმავლობაში ჩაატარებენ მარკეტინგულ კვლევებს და ერთ თვეში პროექტი უკვე მზად უნდა იყოს.

ამ საბორნე გადასასვლელის მშენებლობით საქართველოს მარშრუტი კონსტანტასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ყველაზე მოკლე მარშრუტი იქნება ევროპული მშრალი ტვირთებისთვის და, შესაბამისად, ამ ნაბიჯით საქართველო გეგმავს, მშრალი ტვირთებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ გზად იქცეს. მართალია, ამისათვის ქართულ რკინიგზაზე ტვირთების მოძრაობის სიჩქარე და მომსახურების ხარისხი ჯერ კიდევ გასაზრდელია, დასარეგულირებელია ფასები და ასე შემდეგ, რაც, ცხადია, პარალელურ რეჟიმში უნდა განხორციელდეს.

რაც შეეხება იმას, დაკარგავს თუ არა ამ ნაბიჯით საქართველო დსთ-ს სივრცის ტვირთებს. როგორც საქართველოს რკინიგზაზე აცხადებენ, ამ ტვირთებზე, ტრადიციისამებრ, ფოთის პორტი იმუშავებს, რომელიც სულ 20-დე კილომეტრით არის დაშორებული ბათუმის პორტიდან, რაც ტვირთების გადამტანთათვის მნიშვნელოვანი მანძილი სულაც არ არის.

# პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, დაპირისპირება სასამართლოში გადაინაცვლებს

*პარლამენტმა გასულ კვირას "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს რეგულირების შესახებ" კანონში ცვლილებები დაამტკიცა. ხანგრძლივი დისკუსიებისა და რამდენიმედღიანი განხილვების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო რეგულირების საფასურის ორპროცენტიან ზღვრულ განაკვეთზე შეჯერდა. ლიცენზიანტები რეგულირების საფასურს ახალი განაკვეთით სექტემბრიდან გადაიხდიან.*

სოფიკო ოხანაშვილი

კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, რეგულირების საფასურს ადმინისტრაციული ნორმატიული აქტით სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია განსაზღვრავს. ორ პროცენტამდე ზღვრული პროცენტული განაკვეთი გადახდილი დამატებითი ღირებულების შემდეგ დარჩენილი შემოსავლიდან დაითვლება. რეგულირების საფასური თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დიფერენცირებული იქნება. კანონპროექტის ავტორის, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრის ზურაბ ცქიტიშვილის განმარტებით, ორპროცენტიანი ზედა ზღვრის შემოღება არ ნიშნავს რეგულირების საფასურის ორპროცენტიანი განაკვეთის დადგენას. **"ორი პროცენტი არის ზედა ზღვარი, რომლის გადამეტებაც ავიაციის ადმინისტრაციას ეკრძალება. შესაძლოა საფასური ერთ პროცენტზე ნაკლებიც იყოს. ვის რამდენი პროცენტის გადახდა მოუწევს, ამის გასაანგარიშებლად ადმინისტრაციას სპეციალური დებულება აქვს. ხოლო ვისაც დადგენილი განაკვეთის სიდიდე არ მოეწონება, მას შეუძლია ადმინისტრაციის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს,"** - აცხადებს ცქიტიშვილი.

"აირზენა - საქართველოს ავიახაზებში" კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღნიშნული ღონისძიება ბილეთის ფასის გაძვირებას გამოიწვევს. ავიაკომპანიაში ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელობას "აირზენას" წინააღმდეგ მიზანმიმართულ შევიწროებაშიც ადანაშაულებენ. **"ბოლო ორი თვის განმავლობაში ყველა ჩვენი თხოვნა უპასუხოდ რჩება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რეგულირების საფასურის შემოღებას რომ ვეწინააღმდეგებით, ამისთვის სამაგიეროს გვიხდიან"**, - "24 საათთან" საუბარში განაცხადა "აირზენას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა გადაბაძემ.

ბილეთის გაძვირების გარდაუვალობაზე საუბრობს პარლამენტარი კახა კუკავაც. რადიკალურად განსხვავებულია სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი მჟავანაძის არგუმენტები. მისი მტკიცებით, ამ ეტაპზე ხდება არა რეგულირების საფასურის შემოღება, არამედ მისი ლეგალიზება. მისი განმარტებით, რეგულირების საფასური ტარიფში რამდენიმე წლის წინ ჩაიდო, ასე რომ, ახლა მისი ლეგალიზება ტარიფს ვერ გააძვირებს.

**"ბილეთი რამდენადაც გასაძვირებელი იყო, უკვე გაძვირდა, ამ კომპანიამ ეს საფასური უკვე დიდი ხანია, ჩადო ბილეთის ფასში,"** - აცხადებს პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილიც და "აირზენას" არგუმენტს უსაფუძვლოს უწოდებს. ცქიტიშვილი ამასთანავე გამორიცხავს, რომ ახალი საკანონმდებლო ნორმებით უცხოური ავიაკომპანიები ავიაბაზარზე უფრო ხელსაყრელ და უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

მოწინააღმდეგეები კანონპროექტს თავიდანვე გამოუჩნდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ახალგაზრდა პარლამენტარი კახა კუკავა. კუკავას განცხადებით, ასეთი "არაკონსტიტუციური საფასურის" შემოღება ხელს მხოლოდ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას აძლევს, სადაც თანხებს თვითნებურად განკარგავენ და თავს 20 ათას ლარიანი ხელფასების დანიშვნის უფლებასაც აძლევენ. რეგულირების საფასურის გაუქმების მოთხოვნით, კუკავა უახლოეს მომავალში სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მჟავანაძე კი კატეგორიულად უარყოფს ასეთი მაღალი ხელფასების არსებობას. ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციით, საშუალო ხელფასი 600-დან 700 ლარამდე მერყეობს, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელფასს, ის 2300 ლარს შეადგენს. გიორგი მჟავანაძე რეგულირების გადასახადის არსებობის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ ეს არის ადმინისტრაციის ხაზინის შევსების ერთადერთი წყარო, სადაც, პირველ რიგში, სახელფასო ფონდი იგულისხმება.

კახა კუკავას თქმით, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის შემოსავლები ადმინისტრაციის ვალდებულებებს გაცილებით აღემატება. ამიტომ ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არა მარტო 85 კადრის საჭიროების საკითხს, არამედ, ზოგადად, ამ ადმინისტრაციის არსებობის აუცილებლობასაც, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცქიტიშვილი, მისი არგუმენტი ასეთია: უდავოა, რომ უნდა არსებობდეს მარეგულირებელი, რომელიც იძლევა ლიცენზიებს, ნებართვებს და რომელიც ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესრულებასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ამასთან, კუკავასა და მისი თანამოაზრეების მტკიცებით, სახელმწიფო ორგანო უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა. ამასთანავე, უნდა მომზადდეს კანონპროექტი რეგულირების საფასურის შესახებ, რომლითაც ეს ინსტიტუტი გადასახადებისა და მოსაკრებლების ერთიან სისტემაში მოექცევა. **"თუ დაფინანსება არ ჰყოფნის, უნდა გაიზარდოს გადასახადი"**, - აცხადებს კუკავა. მისი ინფორმაციით, ეკონომიკურ კომიტეტებს საშემოდგომო სესიისთვის კანონპროექტის მომზადება დაევალათ. საპირისპიროს ამტკიცებს ზურაბ ცქიტიშვილი. მისი განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტზე ფინანსური დამოკიდებულება ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას შეზღუდავს.

# პირველი ბანკთაშორისი კვლევა საქართველოში

წელს საქართველოში "საქართველოსა და აზერბაიჯანში საცალო საბანკო სისტემის განვითარების პროექტის" ფარგლებში პირველი ბანკთაშორისი კვლევა ჩატარდა. პროექტი გერმანიის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული და მისი განხორციელება სამი წლის ვადაში იგეგმება.

კვლევის ორგანიზატორების განცხადებით, პროექტის ერთ-ერთი მიზანია, ბანკებს კონსულტაციები გაუწიოს ახალი პროდუქტების განვითარებაში.

**"გამოკვლევის პროცესში გამოყენებული იქნა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მეთოდები. შემსრულებელმა მხარემ სრული პასუხისმგებლობა აიღო საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით და, ამასთან, თითოეულმა ბანკმა მიიღო ინფორმაცია, როგორც თავისი მონაცემების, ასევე მთელი საბანკო სექტორის მასშტაბით,"** - ნათქვამია ორგანიზატორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

პროექტთან დაკავშირებული გამოკითხვა იმ 6 ბანკის მიერ განხორციელდა (საქართველოს ბანკი, ინტელექტბანკი, პროკრედიტბანკი, ბანკი რესპუბლიკა, თბილუნივერსალბანკი, გაერთიანებული ქართული ბანკი), რომლებიც ქვეყანაში მთლიანი ქართული საბანკო ბაზრის დიდ წილს ფლობენ (53%).

პროექტის ორგანიზატორების ცნობით, კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, ოთხშაბათს, 30 ივნისს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" პრესკონფერენცია გაიმართება.

*24 საათი*

# პირველი უცხოური კომპანია რუსულ ელექტროენერგეტიკაში

*გუშინ რუსეთის ენერგოკომპანია "რაო ეეს როსიამ" და იტალიურმა Enel და ESN Energo -ს კონსორციუმმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით თბოელექტროსადგურის მართვის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს "რაო ეესის" ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა, Enel-ის მმართველმა დირექტორმა პაულო სკარონიმ და ESN Energo-ს ხელმძღვანელმა გრიგორი ბერეზკინმა.*

დიანა ჩაჩუა

თბოელექტროსადგურის მართვაზე წინასწარ გამოცხადებულ ტენდერში Enel-ის და ESN Energo-ს კონსორციუმმა გაიმარჯვა. გამარჯვებული კომპანია თბოელექტროსადგურის მიმდინარე მართვას, სადგურის მეორე ენერგობლოკის მშენებლობის პროცესზე მეთვალყურეობის და მშენებლობის დასასრულებლად ფინანსების მოზიდვის ფუნქციას განახორციელებს. ამასთან, შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მმართველ კომპანიას სადგურის გაყიდვა კონტრაქტის დადებიდან ხუთი წლის ვადაში ეკრძალება.

თუმცა, იტალიას, ელექტროსადგურის მართვის გარდა, რუსეთის ელექტეროენერგეტიკაში კიდევ სხვა, უფრო შორი მიზნები გააჩნია. იტალიური კომპანია Enel-ი აპირებს მონაწილეობა მიიღოს რუსული ენერგეტიკის პრივატიზაციაში, - განაცხადა სკარონიმ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალზე. სკარონის სიტყვებით, მისი კომპანიისთვის სადგურის მართვის კონტრაქტი **"წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, გახდეს პირველი და ერთადერთი უცხოური კომპანია, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ელექტროსადგურის მართვას განახორციელებს."**

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თბოელექტროსადგურის მართვა Enel-ს საშუალებას მისცემს, **"მოადუნოს კუნთები, მანამ, სანამ თავის კონკურენტებთან აქტივებზე "სასტიკ" ბრძოლას დაიწყებს,"** - განაცხადა სკარონიმ.

თავის მხრივ, "რაო ეეს როსიის" მენეჯმენტი "გაზპრომთან" შეთანხმების მიღწევას ითვალისწინებს გაზის ჩრდილო-დასავლეთის სადგურით მოწოდების შესახებ, - განაცხადა ჩრდილო-დასავლეთის თბოელექტროსადგურის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი დუბინინმა. მისივე სიტყვებით, მეორე ბლოკის მშენებლობის დასამთავრებლად აუცილებელია გაზის მოწოდების მოცულობის გაზრდა, და მოცემულ მოლაპარაკებებში "გაზპრომის" პოზიცია, მთლიანობაში, კონსტრუქციულია.

# ერაყელებს მართვის სადავეები გადასცეს




*დათქმულ ვადაზე ორი დღით ადრე ერაყის დროებითი მთავრობის სრული სუვერენიტეტით აღჭურვის შესახებ განცხადებას ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ხოშიარ ზებარი გუშინ სტამბოლში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ტონი ბლერთან შეხვედრის დასრულებისთანავე აკეთებს.*

ხათუნა გაბიევი

ამგვარი ნაბიჯი ამბოხებულთა მხრიდან მოსალოდნელი ტერორისტული აქტების თავიდან აცილების მიზნით გადაიდგა. როგორც ცნობილია, კვირას, ნატო-ს სამიტის წინა დღეს, არაბულენოვანმა სატელიტურმა ტელეარხმა "ალ ჯაზირამ" გადასცა კადრები, სადაც წარმოდგენილი იყო თვალებახვეული, აშშ-ს საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რომლისთვის თავის მოკვეთით იმუქრებოდა "ალ ქაიდას" ერთ-ერთი ლიდერი აბუ მუსაბ ალ ზარქავი, ერაყელი ტყვეების არგათავისუფლების შემთხვევაში. აღნიშნული პირი მრავალი ტერორისტული აქტის დაგეგმვაშიცაა ბრალდებული, მათ შორის, წინა კვირას ასამდე ერაყელი მოქალაქისა და 3 ამერიკელი ჯარისკაცის მკვლელობაში. 28 ივნისს, ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, აყვანილ იქნა "ალ ქაიდას" ზემოაღნიშნული ლიდერი, თუმცა აშშ-ს ოფიციალური წყაროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

"აშშ-ს დროებითი ადმინისტრატორისგან სახელისუფლებო უფლებამოსილების გადმობარება დაგეგმილზე ორი დღით ადრე, ჩვენი გამოწვევაა ტერორისტების, კრიმინალებისა და სხვა ანტიდემოკრატიული ძალების მიმართ," - განაცხადა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა აიად ალავიმ.

ერაყის სუვერენიტეტის აღიარების ოფიციალური დოკუმენტი 28 ივნისს ერაყის ტერიტორიაზე აშშ-ს ყოფილმა ადმინისტრატორმა პოლ ბრემერმა ერაყის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული დოკუმენტი ერაყის პრეზიდენტს ღაზი ალ იავარს გადაულოცა.

გაერო-ს 1546-ე რეზოლუციის თანახმად, დროებითი კოალიციური მთავრობა ერაყის ტერიტორიაზე წყვეტს თავის უფლებამოსილებას და ძალაუფლებას ერაყის დროებით მთავრობას გადასცემს. ნატო-ს სამიტზე ხმამაღლა გაცხადებული "სრული სუვერენიტეტის" გადაცემის მიუხედავად, გარკვეული შეზღუდვები, უფლებამოსილების თვალსაზრისით, მაინც არსებობს. პირველ რიგში, ეს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს ეხება, რომლებიც ერაყის ტერიტორიაზე აშშ-ს გენერალიტეტის დაქვემდებარებაში მრავალეროვნული შეიარაღებული ძალების სტატუსით დარჩებიან. ერაყის დროებითი მთავრობა გააკონტროლებს მხოლოდ ერაყის ჯარს, პოლიციასა და ეროვნულ გვარდიას. ზემოაღნიშნული რეზოლუციის თანახმად, ერაყს შეუძლია, კოალიციური ძალების ქვეყნიდან გაყვანა მოითხოვოს, თუმცა ერაყის დროებითი მთავრობის ლიდერების განაცხადებით, ისინი ამის გაკეთებას არ აპირებენ.

ნატო-ს სამიტზე ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ერაყის შეიარაღებულ ძალებს ალიანსის ინსტრუქტორები გაწვრთნიან, მაგრამ წვრთნების ჩატარების ადგილი, ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი და გერმანია წვრთნის პროგრამების განხორციელებას ერაყის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოითხოვენ, თანაც არა ნატო-ს ეგიდით, არამედ მხოლოდ მისი კოორდინირებით.

ერაყის დროებით მთავრობას უფლებამოსილება ეროვნული არჩევნების ჩატარების შემდეგ შეუწყდება, რომელიც, სავარაუდოდ, 2004 წლის ბოლოს ან 2005 წლის დასაწყისში შედგება. მანამდე კი, დროებითი მთავრობის უმთავრესი ამოცანა დემოკრატიული არჩევნებისთვის ქვეყნის მომზადებაა. გარდამავალი ადმინისტრაციული სამართლის დამატების თანახმად, "დროებითი მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ერაყელი ხალხის კეთილდღეობა და უსაფრთხოება, ხელი შეუწყოს რეკონსტრუქციასა და ეკონომიკურ განვითარებას და იზრუნოს საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების მომზადებასა და სამართლიან ჩატარებაზე". დროებით მთავრობას არ შეუძლია, შესწორებები შეიტანოს კანონში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამგვარ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს ეროვნული ასამბლეის სამი მეოთხედი და პრეზიდენტის საბჭოს ყველა წევრი. მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არც ეროვნული ასამბლეისა და არც პრეზიდენტის საბჭოს ჩამოყალიბება არჩევნებამდე არ მოხდება, საკითხი თავისთავად გადაწყვეტილია.

რაც შეეხება ნავთობრესურსების გაკონტროლებასა და ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობას, აშშ და დიდი ბრიტანეთი ერაყის ნავთობსა და გაზზე კონტროლის განხორციელების უფლებას, რომელსაც ახლა გაერო-ს მიერ დამტკიცებული ერაყის განვითარების ფონდი ფლობს, დროებით მთავრობას გადასცემენ. თუმცა, ფინანსების ხარჯვაზე მონიტორინგს ისევ საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო განახორციელებს.

დროებით მთავრობას ზედამხედველობას, ბაღდადში ივლისში დაგეგმილ ეროვნულ კონფერენციაზე არჩეული დროებითი ეროვნული საბჭო გაუწევს, 100 კაცის შემადგენლობით. საბჭო გაუწევს ზედამხედველობას დროებითი პრეზიდენტისა და მინისტრების საქმიანობას. მას აქვს დროებითი მთავრობის აღმასრულებელ ბრძანებულებებზე ვეტოს დადების უფლება, ბრძანების გამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საბჭოს წევრთა ორი მესამედის თანხმობით.

სრული სუვერენიტეტის რეალურ განხორციელებამდე კი ერაყელ ხალხს, დროებით მთავრობასთან ერთად, მოუწევს დამტკიცება, რომ მას ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, უსაფრთხოების დაცვა და ტერორიზმის აღკვეთა ძალუძს.

# უსაფრთხოება ახალ ერაში

*ნატო-ს სამიტზე ალიანსის წევრი სახელმწიფოებისა და მათი პარტნიორებისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღეს. კავკასია და ცენტრალური აზია ბრიუსელის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა, რუსეთს კი საქართველოდან და მოლდოვადან ბაზების გაყვანისაკენ მოუწოდეს.*

რევაზ ბახტაძე

## ერაყი და ავღანეთი

ნატო-ს სტამბოლის სამიტის ძირითადი თემები ავღანეთი და ერაყი იყო. სამიტამდე არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გუშინ ნატო-ს ყველა წევრი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ ალიანსი ერაყის დროებითი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ ძალებს გაწვრთნის.

სამიტის დაწყებამდე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა საერთაშორისო თანამეგობრობა გააფრთხილა, რომ ერაყელებისთვის მმართველობის გადაცემის შემდეგ, ქვეყანაში ომის განახლება არ უნდა დაუშვან.

"არსებობს საერთო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სტაბილური ერაყი ყველა მოკავშირის ინტერესებში შედის," - აღნიშნა გენერალურმა მდივანმა.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ელჩები სტამბოლში სახელმწიფოს მეთაურების ჩასვლამდე შეიკრიბნენ და ერაყის შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გეგმა შეიმუშავეს. ეს შეკრება ერაყის პრემიერ-მინისტრის იად ალავის თხოვნის შემდეგ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგეები, პირველ ყოვლისა საფრანგეთი, ერაყში ნატო-ს როლის გააქტიურებას ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, პარიზმა მოგვიანებით პოზიციები შეიცვალა. სტამბოლში ლიდერები ერთიანობის დემონსტრირებას ცდილობდნენ. ერაყის ომის გამო დაწყებული დაპირისპირების შემდეგ, ტრანსატლანტიკური სოლიდარობის დაფიქსირებას ამერიკელებიც და ევროპელებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ნატო-ს ხელმძღვანელები, აგრეთვე, ავღანეთში ოპერაციების გაფართოებაზეც შეთანხმდნენ. ალიანსი სექტემბრამდე დამატებით ძალებს გააგზავნის ავღანეთში. ნატო-ს ეგიდით მყოფი შეიარაღებული ძალების რაოდენობა იქ 10 000-მდე გაიზრდება. აქამდე ნატო-ს ჯარები მხოლოდ დედაქალაქ ქაბულში იყო განლაგებული.

ნატო-ს სამიტამდე ცოტა ხნით ადრე, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ნატო-ს დამატებითი ძალების გამოყოფა სთხოვა, რადგან სექტემბერში არჩევნებია დაგეგმილი, ყარზაი კი რეგიონებში უსაფრთხოებას დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს.

## რუსეთი

იმის მიუხედავად, რომ ნატო-ს სტამბოლის სამიტს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, თითქმის, ყველა მეთაური დაესწრო, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სამიტზე დასწრებისაგან თავი შეიკავა.

მართალია, აღმოსავლეთ ევროპაში ნატო-ს ექსპანსიას მოსკოვში, უკვე კარგა ხანია, შეეგუენ, მაგრამ მათ დღემდე აღიზიანებთ ეს ფაქტი. სტამბოლის სამიტზე საბოლოოდ დასრულდა ბალტიისპირა სახელმწიფოების, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთისა და სლოვენიის გაწევრიანების პროცესი.

თუმცა, პუტინის ჩაუსვლელობის უფრო სერიოზული მიზეზები ცნობილმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა ვლადიმირ სოკორმა ერთი თვის წინ "უოლ-სტრიტ ჯორნალ იუროპში" გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურად ჩამოთვალა. სოკორის აზრით, პუტინი სამიტზე დასასწრებად რამდენიმე წინაპირობას აყენებდა: პირველი - 1999 წელს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების რუსეთის მიერ დარღვევაზე თვალის დახუჭვაა. აღნიშნული ხელშეკრულება ეუთო-ს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს შეიარაღების სხვადასხვა სახეობაზე კვოტებს უწესებს. იმის მიუხედავად, რომ რუსეთს ვალდებულებები აქვს აღებული, მოსკოვი მას დღემდე არ ასრულებს. მეორე - იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების ბალტიისპირა სახელმწიფოებზე გავრცელება, რაც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ნატო-ს შეიარაღებული ძალების განლაგებას შეზღუდავს.

პუტინს სურდა, რომ 2004 წლის ნატო-ს სტამბოლის სამიტზე 1999 წელს იმავე ქალაქში ჩატარებულ ეუთო-ს სამიტზე აღებული ვალდებულებები არ შეეხსენებინათ. 1999 წელს მიღწეული შეთანხმებების თანახმად, მოსკოვს საქართველოდან ვაზიანისა და გუდაუთის ბაზები უნდა გაეყვანა, ხოლო ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის გრაფიკი თბილისთან ორ წელიწადში შეეთანხმებინა, მოლდოვადან რუსული ჯარები გაეყვანა, დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში რუსული იარაღის საწყობები გაენადგურებინა და ამის შემდეგ, ეუთო-ს ინსპექტორებისათვის ნება მიეცა, სეპარატისტულ რეგიონებში მონიტორინგი ჩაეტარებინათ. რუსეთმა დღემდე მხოლოდ ვაზიანის სამხედრო ბაზა გაიყვანა, დანარჩენი შეთანხმებები კი დაარღვია.

გუშინ, ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ერთობლივი დეკლარაციის "ჩვენი უსაფრთხოება ახალ ერაში" მე-17 პუნქტში კი ხაზგასმით წერია, რომ საქართველოსა და მოლდოვას შესახებ 1999 წელს აღებული ვალდებულებები რუსეთმა უნდა შეასრულოს. "მნიშვნელოვანია, რომ ბაზების გაყვანის პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულდეს," - ვკითხულობთ დეკლარაციაში.

## კავკასია, ცენტრალური აზია და ახლო აღმოსავლეთი

სტამბულში კავკასია და ცენტრალური აზია ყურადღების ცენტრში იყო. საქართველოს, აზერბაიჯანსა და უზბეკეთს ახლა უკვე ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამები აქვთ. ამ პროგრამების მიხედვით განხორციელდება შეიარაღებული ძალების რეფორმები. ნატო თბილისს, ბაქოსა და ტაშკენტს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს.

გუშინვე ნატო-მ "სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივის" დაწყების შესახებ განაცხადა. ეს პროგრამა "ფართო ახლო აღმოსავლეთის" რეგიონის ქვეყნებთან ნატო-ს თანამშრომლობას გულისხმობს. ტერორიზმის საფრთხე დღეს სწორედ ამ რეგიონიდან მოდის და, დასავლური სახელმწიფოების გარდა, თავად რეგიონის ქვეყნებს ემუქრება. ლიდერების აზრით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ნატო-ს წევრი სახელმწიფოებისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს.

დეკლარაციაში ცალკე აღინიშნა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის აუცილებლობა, რასაც ნატო ყველანაირად შეუწყობს ხელს.

## ქუჩის არეულობა

სამიტის პარალელურად, ქუჩებში ასობით დემონსტრანტი ნატო-ს და ამერიკის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოდიოდა. დემონსტრანტებმა ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები ესროლეს პოლიციელებს, რომლებიც შეხვედრის ადგილს იცავდნენ.

შეტაკებების შედეგად, ბევრი პოლიციელი და დემონსტრანტი დაშავდა. თურქული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სამართალდამცველებმა ბევრი დემონსტრანტი დააკავეს.

სამიტის დაწყებამდე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს. სამხედრო თვითმფრინავები 24 საათის განმავლობაში პატრულირებენ ქალაქის თავზე, ხოლო ბოსფორის სრუტეს თურქი კომანდოსები იცავენ. სამიტის მსვლელობისას სრუტეში გემების მოძრაობაც შეიზღუდა. ხელისუფლებამ სტამბოლში იმდენი შეზღუდვა დააწესა, რომ ბევრმა კომპანიამ ორშაბათი და სამშაბათი დასვენების დღეებად გამოაცხადა.

# ლიტვას და სერბეთს ახალი პრეზიდენტები ჰყავთ

ნიკა თარაშვილი

კვირას ერთბაშად ორი პოსტ-კომუნისტური ქვეყანა ირჩევდა ახალ პრეზიდენტს. ამ არჩევნებს, სინქრონული მიმდინარეობის გარდა, თითქოს არაფერი ჰქონდათ საერთო. თუმცა, დასავლელი პოლიტიკოსების გასახარად, ორივე შემთხვევაში პროდასავლურმა ძალებმა გაიმარჯვეს. თუ ლიტვის არჩევნები, მეტნაკლებად, ყველასათვის პროგნოზირებადი იყო, სერბებმა მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი მოამზადეს.

შეგახსენებთ, ლიტვაში საპრეზიდენტო არჩევნები რიგგარეშედ იმართებოდა - აპრილში ლიტვის სეიმმა, იმპიჩმენტის წესით, თანამდებობიდან გადააყენა პრეზიდენტი რონალდას პაკსასი. პაკსასის მიმართ საკმაოდ მძიმე ბრალდებები იყო წაყენებული, მათ შორის - რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობის, თუმცა, ბოლოს მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევა დაუმტკიცდა. მაგრამ ლიტველ კანონშემოქმედთათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინ არჩეული პრეზიდენტი გადაეყენებინათ. ლიტველმა პარლამენტარებმა, კანონში ცვლილებების შეტანით, პაკსასს მეორედ კენჭისყრის უფლებაც კი მოუსპეს. ასე რომ, გუშინდელ არჩევნებში ერთმანეთს პირველი ტურის ორი გამარჯვებული - ლიტვის პირველი პრემიერ-მინისტრი კაზიმირა პრუნსკენე და ყოფილი პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი დაუპირისპირდნენ.

წინასწარი მონაცემების თანახმად, გამარჯვება დამოუკიდებელ კანდიდატ ადამკუსს დარჩა - ხმების 51,4 პროცენტით, პრუნსკენეს 48,5 პროცენტის წინააღმდეგ. მართალია, ეს წინასწარი მონაცემებია, მაგრამ პრუნსკენემ უკვე აღიარა კონკურენტის გამარჯვება და მიულოცა ადამკუსს. 77 წლის ადამკუსი არც ერთი პარტიის წევრი არ არის. იგი ცნობილია, როგორც დასავლეთის აქტიური მხარდამჭერი. უფრო მეტიც, ადრე იგი აშშ-ს მოქალაქე იყო. ადამკუსს უკვე ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა 1998-2003 წწ., მაგრამ 2003 წლის არჩევნები დღეს უკვე გადაყენებულ პაკსასთან წააგო.

სერბეთს რაც შეეხება, იქ გაცილებით რთული სიტუაცია იყო და პროგნოზებიც ნაკლებად ოპტიმისტურად ჟღერდა.

სლობოდან მილოშევიჩის ჩამოგდების შემდეგ, სერბეთს პრეზიდენტი აღარ ჰყოლია, თუმცა გუშინ ბალკანურ ქვეყანაში არჩევნები უკვე მეოთხედ ტარდებოდა. წინა სამი მცდელობის დროს სერბებმა არჩევნების ლეგიტიმაციისათვის საჭირო ამომრჩეველთა ოდენობის ურნებთან მიზიდვა ვერაფრით მოახერხეს. თითქოს, გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა და პრეზიდენტს არჩევა აღარც ეწერა, მაგრამ სერბებმა გამოსავალი მაინც მოძებნეს და საარჩევნო კოდექსიდან ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობის ცნება საერთოდ ამოიღეს.

უკანასკნელ პერიოდამდე დასავლელი ანალიტიკოსები გამარჯვებას ნაციონალისტ ტომისლავ ნიკოლიჩს უწინასწარმეტყველებდნენ. ის არა მარტო ჩაშლილ არჩევნებზე უსწრებდა კონკურენტებს, არამედ ახლანდელი არჩევნების პირველ ტურშიც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სერბებმა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს და მხარი პროდასავლელ პოლიტიკოსს ბორის ტადიჩს დაუჭირეს. თუმცა, ამგვარი ვარაუდები მაინც არსებობდა - ზოგი იმედოვნებდა, რომ სერბეთის ლიბერალური ძალები გაერთიანებას შეძლებდნენ და ნაციონალისტ პოლიტიკოსს არ აირჩევდნენ.

გამარჯვებულმა კანდიდატმა თავის პირველივე განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ მისი არჩევა სერბი ხალხის ევროპული სიმპათიების დამადასტურებელია. "ეს ჩვენი ევროპული მომავლის გამარჯვებაა," - განაცხადა ტადიჩმა სახელმწიფო ტელევიზიით. ტადიჩის აზრით, სერბეთის მომავალი ევროკავშირისა და ნატო-ს რიგებში გაერთიანებას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ მისი კონკურენტი გაცილებით რადიკალური შეხედულებების მომხრე იყო. გამარჯვების შემთხვევაში, იგი სერბებს ჰპირდებოდა, რომ აღარ გამეორდებოდა სერბი ეროვნების მოქალაქეების საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემის "სამარცხვინო" ფაქტები და სერბეთის დღეისათვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხიც დღის წესრიგში დადგებოდა. ნიკოლიჩის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საერთაშორისო ტრიბუნალისადმი შესაძლოა იმითაც არის გამოწვეული, რომ მისი პარტიის არაერთ წევრს მოუწევს ჰააგის სასამართლოს წინაშე წარდგომა, მათ შორის, პარტიის ლიდერ ვოისლავ შეშელს.

ამგვარად, კვირას ჩატარებული არჩევნებით ორივე ქვეყანამ დემოკრატიული დასავლეთისაკენ სწრაფვა კიდევ ერთხელ დაადასტურა და თავის ევროპულ კუთვნილებასაც გაუსვა ხაზი. ლიტვას თითქოს აღარაფერი აქვს დასამტკიცებელი - იგი ნატო-ს და ევროკავშირის წევრი ახლახან გახდა. აი, სერბეთს კი დასამტკიცებელიც და შესაცვლელიც ნამდვილად ბევრი აქვს. თუმცა, კვირას გაკეთებული არჩევანით სერბმა ხალხმა უკვე განაცხადა, რომ "ევროპელობის" პრეტენზია მათაც აქვთ.

# არეულობა "სიცოცხლეში"

*სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრ "სიცოცხლეში" გრძელდება დაპირისპირება დირექტორსა და თანამშრომლების ნაწილს შორის. ამ კონფლიქტში უკვე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილიც ჩართეს. 28 ივნისს საბოლოო სიტყვის სათქმელად მისულ მინისტრს სამკურნალო დაწესებულების დირექტორთან და მის მომხრეებთან ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოუხდა.*

თამარ ჭაჭანიძე

სამედიცინო ცენტრ "სოცოცხლეში" 21 ივნისს თანამშრომელთა ნაწილმა დირექტორის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო. ადგილზე მეორე დღესვე მივიდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და საწარმოთა მართვის სააგენტოს უფროსი ერეკლე ქიქოძე, რომელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, მოშიმშილეთა მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შესაბამისი ბრძანების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც გაუქმდა სამეთვალყურეო საბჭოს ადრინდელი შემადგენლობა და მოიხსნა დირექტორი, საკითხი მაინც არ გადაწყვეტილა, ვინაიდან დირექტორი ლია დეკანოსიძე ბრძანების შესრულებას, ანუ გადადგომას არ აპირებს.

ამის გამო შიმშილობა მჯდომარე აქციაში გადაიზარდა. პოლიკლინიკის თანამშრომლები არ დაშლილან, ისინი ამ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაფორმებას ელოდნენ. გუშინ ლადო ჭიპაშვილმა ცენტრში მომუშავე ყველა თანამშრომელი შეკრიბა და დახურული კრება ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ დირექტორის გადადგომას მხარს უჭერს 16 თანამშრომელი 12-ის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა გადაწყვეტილება დირექტორის გადადგომის შესახებ.

უკმაყოფილო დირექტორმა და მისმა მომხრეებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მინისტრს, რომელიც იძულებული გახდა, შენობა სასწრაფოდ დაეტოვებინა. ამასობაში დირექტორის ქალიშვილმა ვაზაში ჩადებული რევოლუციის სიმბოლო კედელს შეანარცხა. სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებმა პოლიციას გამოუძახეს. ოპერატიულად გამოცხადდა უბნის ინსპექტორი, რომელმაც საქმეში გარკვევა დაიწყო. "სიცოცხლეში" რევოლუცია მტკივნეულად მიმდინარეობს.

# კეთილი ნების ელჩი

## საქართველოს პირველი ლედი იოდდეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის სახე ხდება

მაკა ჭაიანი

*სპონტანური აბორტები, ნაყოფის სიკვდილობის ზრდა პერინატალურ პერიოდში, ნაადრევი მშობიარობები, მკვდრადშობადობა, ახალშობილის განვითარების მანკები, ნევროლოგიური კრეტინიზმი, გონებრივი ჩამორჩენა, ფიზიკური ზრდის შეფერხება, ფიზიკური სიმახინჯეები, რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა, უშვილობა - ეს გახლავთ მოკლე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელსაც ადამიანის ორგანიზმში იოდის დეფიციტი, როგორც ხალხში უწოდებენ - ჩიყვი იწვევს. ამ დაავადების მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი კი ასეთია: საზოგადოების განათლებისა და შრომითი პროდუქტულობის დაქვეითება, საერთო ეროვნული შემოსავლების შემცირება და სოციალურ სამსახურებზე მოთხოვნილების ზრდა. სამწუხაროდ, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც იოდდეფიციტი ენდემურ - ტრადიციულ დაავადებას წარმოადგენს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*სანდრა რულოვსი იოდდეფიციტის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის სახე ხდება.*

ეს ჩვენს წყალში, ნიადაგში და, შესაბამისად, აქ მოწეულ საკვებ პროდუქტებში იოდის დაბალი შემცველობის დამსახურებაა. ქართულ ისტორიულ წყაროებში ჩიყვი პირველად 1745 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ში არის მოხსენიებული. შემდეგი წყაროები უკვე საბჭოთა საქართველოს პერიოდისაა. იოდდეფიციტმა მაშინ ისეთი მასშტაბები მიიღო, ხელისუფლების მითითებით, იოდს ნიჩბებით ურევდნენ მარილს. 1939 წელს ქუთაისში გამართეს იოდიანი მარილის წარმოება, რომლითაც მარაგდებოდა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და სხვა მაღალმთიანი რაიონები. 1944 წლისთვის საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, სადაც ჩიყვი ყველაზე დიდი პრობლემა იყო, დაავადების სიხშირე 42,7 პროცენტიდან 14 პროცენტამდე შემცირდა.

1970 წელს საქართველომ ხელიდან გაუშვა რეალური შანსი, იოდდეფიციტი, როგორც დაავადება, საბოლოოდ აღმოეფხვრა; 80-იანი წლებიდან ამ საკითხს სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა; 1990-ში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ერთიანად მოიშალა იოდიანი მარილის იმპორტისა და მიწოდების სისტემა და შედეგმაც არ დააყოვნა - 1998 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 55-58 პროცენტი იოდდეფიციტის სხვადასხვა ფორმით იყო დაავადებული. დღეს ეს რიცხვი 38-39 პროცენტამდეა დასული, თუმცა, იმ სამუშაოების გათვალისწინებით, რასაც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა, შედეგი ბევრად უკეთესი უნდა ყოფილიყო.

იოდიზებული მარილის სახელმწიფო სტანდარტის შექმნას, იოდდეფიციტთან ბრძოლის სპეციალური ცენტრების შექმნასა და აღჭურვას რომ სულაც თავი დავანებოთ, 1997-2004 წლებში უფასო სამედიცინო კონსულტაცია გაეწია 500 000 პაციენტს, 2000-2001 წლებში კი იოდის ზეთის კაფსულები მიეწოდა 300 000 ბავშვს, ორსულს და მეძუძურ დედას. ამ საგანგებო ღონისძიების წყალობით, დაავადებამ ქვეყანაში მკვეთრად იკლო, თუმცა, მიღწეული შედეგის შენარჩუნება და, მით უმეტეს, გაუმჯობესება მხოლოდ იოდიანი მარილის მუდმივი მოხმარების გზით შეიძლება. სამწუხაროდ, საქართველოს დღემდე ვერ მოუგვარებია ქვეყანაში ამ სახის მარილის ექსპორტისა და რეიოდიზების საკითხი. წლების განმავლობაში თაროზე შემოდებული რჩებოდა კანონპროექტები და პროექტები, რომელსაც იოდის დეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის ეს უიაფესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა მოეგვარებინა.

კონფერენცია სახელწოდებით "გავაძლიეროთ თანამშრომლობა საქართველოში იოდდეფიციტის აღმოსაფხვრელად", რომელიც 25-28 ივნისს შერატონ მეტეხი პალასში, საქართველოს მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქველმოქმედო ფონდ SOCO-ს ორგანიზებით მიმდინარეობდა, იძლევა იმედს, რომ ეს საკითხი ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც გადაწყდება. გარდა იმისა, რომ საქართველოს მსოფლიოს წინაშე აქვს აღებული ვალდებულება, 2005 წლისთვის ქვეყანაში აღმოფხვრას იოდდეფიციტი და მარილის საყოველთაო იოდიზება უზრუნველყოს, საქმეში პირველი ლედი სანდრა რულოვსი ერევა. ამიერიდან იგი ჩვენს ქვეყანაში იოდდეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვარი სახე, კეთილი ნების ელჩი ხდება და გვპირდება, რომ ამ მიმართულებით მაქსიმალურად დაიხარჯება. **"იოდდეფიციტი დღეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ დროს მისი აღმოფხვრა ძალზე იოლია. ამისთვის საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ იოდიანი მარილის გამოყენება. ეს არის გზა ჩვენი შვილების ინტელექტუალური პოტენციალის გადასარჩენად,"** - თქვა მან გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

**"ჩვენი თანამშრომლობით ბევრი გაკეთდა, მაგრამ საბოლოო მიზნამდე ჯერ კიდევ შორია,"** - საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის ისმაილ ულდ შეიხ აჰმედის ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს ამ ოთხდღიანი კონფერენციის მიზანს - გაარკვიოს, თუ რა უშლის ხელს 2005 წლისთვის მარილის საყოველთაო იოდიზების უზრუნველყოფას და შეიმუშაოს საქართველოში იოდდეფიციტის აღმოფხვრისა და მარილის საყოველთაო იოდიზების 2004-2005 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი. გეგმის ძირითადი მიმართულებებია: კანონმდებლობის შევსება და დახვეწა, იოდიანი მარილის ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა; იოდით გამოწვეულ დარღვევათა მონიტორინგი და ეპიდზედამხედველობა; იოდდეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო მხარდაჭერა; დარგთაშორისი თანამშრომლობა და კერძო სექტორის როლის გაზრდა.

ამ უკანასკნელი მიმართულებით ერთი ნაბიჯი კონფერენცის მსვლელობისასვე გადაიდგა: მიღებულ იქნა მარილის იმპორტიორი კომპანიების დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც კერძო კომპანიები ადასტურებენ მზადყოფნას, ქვეყანაში შემოტანონ და კვებით მრეწველობაშიც გამოიყენონ მხოლოდ მაღალი ხარისხის იოდიზებული მარილი. ჯერი ხელისუფლებაზეა. მისი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი შტოების წარმომადგენელთა ნაკლებობას მეტეხში გამართული კონფერენცია არ უჩიოდა. არც დაპირებებისა და კეთილი ზრახვების აფიშირებას - მათი მხრიდან. თუ ეს განწყობა შესაბამის კანონმდებლობაზე მსჯელობისა და კენჭისყრის დროსაც შენარჩუნდა; თუ ჩვენმა ხელისუფლებმა მართლაც შეძლეს არაიოდიზებული მარილისთვის საქართველოს კარის სამუდამოდ ჩაკეტვა; თუ, ბოლოს და ბოლოს, შევირგეთ გაეროს ბავშვთა ფონდის საჩუქარი და ჩვენს ქვეყანაში მარილის რეიოდიზების ხაზი ავამოქმედეთ, აღარასოდეს ვიტყვით, რომ ჩვენი ბავშვების 38 პროცენტის განვითარების კოეფიციენტი, დიდების გულგრილობის წყალობით, 10-15 პროცენტით შემცირდა.

## უფასო განათლება ქალებს

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი** საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (Hellenic Aid) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს ქალთა უფლებებზე და აცხადებს 18-35 წლამდე ასაკის ქალების მიღებას უფასო კომპიუტერულ და ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. კურსები გათვალისწინებულია დროებით უმუშევარი შემდეგი კატეგორიის ქალებისათვის:

- მარტოხელა დედები
- ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული ქალები
- ტრეფიკინგის მსხვერპლნი
- ეთნიკური უმცირესობის მსხვერპლი

პროგრამის ხანგრძივობაა 5 თვე, რომლის განმავლობაშიც მოხდება საოფისე და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შესწავლა. გათვალისწინებულია იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ასევე, ტრეინინგები ადამიანის უფლებებისა და მენეჯმენტის სფეროში. შერჩეულ კანდიდატებს უნდა შეეძლოთ 5 თვის განმავლობაში დროის საკმაოდ დიდი ნაწილი დაუთმონ კურსებს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ 1 ივლისს 17 საათამდე. საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, ალმაშენებლის 89/24, მე-12 სართული ("თბილქალაქპროექტის" შენობა, მეტრო "მარჯანიშვილის" უკან)
ტელ: 95-10-03; ელ-ფოსტა: hric@internet.ge;
http://www.humanrights.ge

სამართალი

# იუსტიციის საბჭოდან იუსტიციის საბჭოში

ხელისუფლება მართლმსაჯულების რევოლუციურ ცვლილებას გეგმავს და ამისათვის მთავარი აქცენტი იუსტიციის საბჭოზე კეთდება. შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ სასამართლო ხელისუფლების მართვის და მოსამართლეთა საქმიანობის კონტროლის მთავარი ბერკეტი სწორედ იუსტიციის საბჭოს ეკისრება. რამდენად წარმატებული იქნება ამგვარი ნაბიჯი ქვეყნისთვის, ცალკე მსჯელობის საგანია, დღეს კი ფაქტია, იუსტიციის საბჭო საკანონმდებლო და საკადრო ცვლილებებით უკვე მობილიზებულია.

გუშინ, ვარდების რევოლუციის შემდეგ, იუსტიციის საბჭოში მეორე მდივანი პავლე კუბლაშვილი მივიდა. როგორც ამბობენ, იუსტიციის მინისტრის მოადგილის კოტე კუბლაშვილის ძმაზე ხელისუფლებამ აქცენტი, მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე გააკეთა. ამასთან, ყურადღება მიექცა იმ ფაქტსაც, რომ იუსტიციის საბჭოს ახალი მდივანი დღემდე არც ერთი გუნდის წარმომადგენლად არ ითვლებოდა.

საგულისხმოა ისიც, რომ კუბლაშვილმა კარიერა სწორედ იუსტიციის საბჭოში მუშაობით დაიწყო და უშიშროების საბჭოდან პირველ სამსახურში ხელმძღვანელის რანგში დაბრუნდა. თუმცა, მანამდე მან საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი გზა განვლო.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პავლე კუბლაშვილმა მუშაობა იუსტიციის საბჭოში დაიწყო და აქტიურად მონაწილეობდა იმ პერიოდში სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმებში. ამის შემდეგ, იგი მუშაოდა შემოსავლების სამინისტროში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ანტიკორუფციულ საბჭოში და საბოლოოდ, უშიშროების საბჭოში ანტიკორუფციული დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

განვლილი გზიდან გამომდინარე, კუბლაშვილის გამოცდილებაში ეჭვის შეტანა, ალბათ, გაგვიჭირდება. თუმცა, რის გაკეთებას აპირებს იგი იუსტიციის საბჭოში და რა მექანიზმებით გეგმავს იმ პრობლემების გადაჭრას, რასაც ხელისუფლება იუსტიციის საბჭოს უყენებს, ამ საკითხებზე ახალი მდივანი ვრცლად "24 საათში" რამდენიმე დღეში თავად ისაუბრებს.

# სახელმწიფოსთვის დაბრუნებული 5-მილიონიანი შენობა გაძარცვეს

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილის, ნუგზარ შევარდნაძის კომპანია "ივერია პლუსის" ყოფილი ოფისი, რომელიც მისმა მეპატრონემ სახელმწიფოს ნებაყოფლობით დაუბრუნა, გაიძარცვა. 5 მილიონ დოლარად შეფასებული 16-სართულიანი შენობის ძარცვაში ეჭვმიტანილმა 13-მა პირმა მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამორიგეოში მთელი ღამე გაატარა.

16-სართულიანი შენობა ნუგზარ შევარდნაძემ რამდენიმე დღის წინ გადასცა სახელმწიფოს, მას შემდეგ, რაც შსს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა განცხადება გააკეთეს იმის თაობაზე, რომ შემდეგი, ვისაც დაუსაბუთებელ ქონებას ჩამოართმევდნენ, სავარაუდოდ, ნუგზარ შევარდნაძე იქნებოდა.



*სამართალდამცველთა ინფორმაციით, შენობის ინტერიერი, ფაქტობრივად, განადგურებულია.*

სამართალდამცველთა ინფორმაციით, შენობის ინტერიერი, ფაქტობრივად, განადგურებულია. მძარცველები განაწილებული იყვნენ შენობის 16-ვე სართულზე და სამი დღის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდნენ. ყველა სართულზე აყრილია პარკეტი, დანგრეულია მარმარილოთი და კაფელით მოპირკეთებული კედლები, გაძარცულია მარმარილოთი მოპირკეთებული საუნები და საშხაპეები, ჩამოხსნილია შეკიდული ჭერი, ბრები და ჭაღები, შენობიდან გატანილია ავეჯიც. გაძარცულია ნუგზარ შევარდნაძის ყოფილი კაბინეტიც, თუმცა, მძარცველებმა ვერ მოასწრეს კაბინეტში არსებული ბუხრის დანგრევა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, კრიმინალური პოლიციის უფროსის პაატა ჟღენტის ინფორმაციით, ფაქტობრივად, მთლიანად არის გაძარცული შენობის 16-ვე სართული, წაღებულია, როგორც ავეჯი, ასევე სხვა ძვირადღირებული საგნები. პაატა ჟღენტის განცხადებით, პოლიციელთა შემოვლითმა ჯგუფმა შენობის ეზოში სატვირთო მანქანა შენიშნა. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ მანქანა ოფისიდან გამოტანილი ნივთებით იყო დატვირთული. თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსის ინფორმაციით, პოლიციელებმა დააკავეს 13 პირი, რომლებიც ძარცვავდნენ ოფისს და შენობიდან გამოტანილი ნივთებით მანქანას ტვირთავდნენ. ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ემზარ თათარაშვილმა შენობის კომენდანტს ბესო კვირკველიას და ელექტრიკოსს მერაბ მეთაფლიშვილს 700 ლარი გადაუხადა, რის სანაცვლოდაც, შენობაში შესვლისა და მისი გაძარცვის უფლება მიიღო.

პაატა ჟღენტის ინფორმაციით, დაკავებულია ემზარ თათარაშვილი და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმე სხვისი ქონების ქურდობის მუხლით აღიძრა.

*24 საათი*

# ლევან კენჭაძის და მისი ოჯახის ქონება დააყადაღეს

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელზე ლევან კენჭაძეზე და მისი ოჯახის წევრებზე რიცხული ქონება დააყადაღა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სტეფანე თუმანიშვილმა განაცხადა, გუშინ სოფელ დიღომში დააყადაღეს ლევან კენჭაძის დედის, რუსუდან კენჭაძის სახელზე გაფორმებული მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, გარდა ამისა, მარი ბროსეს ქუჩაზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც სასტუმრო მდებარეობს. იგივე ბედს გაიზიარებს სოფელ საგურამოში 1,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და თბილისში ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა.

კენჭაძის ქონების დაყადაღება გენერალური პროკურატურის მიერ საოლქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ხდება.

როგორც ცნობილია, გენპროკურატურაში ყოფილი ჩინოვნიკების მიერ დაუსაბუთებელი და უკანონო გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის საკითხი განიხილება. ყველა თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი ქონების ფინანსურ დასაბუთებას ვერ მოახერხებს, ქონება სასამართლოს გზით ჩამოერთმევა და სახელმწიფოს გადაეცემა.

გენერალურ პროკურატურაში მსგავსი საქმეები ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის მიმართაც არის აღძრული.

*ინტერ-პრესი*

# დისციპლინარული საბჭო "მოსამართლეთა ინკვიზიციის ორგანო" აღარ იქნება

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ყოფილი მოსამართლის ქეთევან ბახტაძის სარჩელის გამო და დაადგინა, რომ "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის რიგი მუხლები კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არ მოდის.*

რუსთავის ყოფილი მოსამართლე ქეთევან ბახტაძე და საქართველოს სახალხო დამცველი "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე, 74-ე და 75-ე მუხლების, აგრეთვე, "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის 46-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდნენ. მოსარჩელეების აზრით, ზემოთჩამოთვლილი საკანონმდებლო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და 29-ე მუხლების მოთხოვნებს.

ქეთევან ბახტაძე 2003 წლის აპრილში გაათავისუფლეს რუსთავის მოსამართლის თანამდებობიდან. მისი გათავისუფლების მიზეზი მსჯავრდებულთათვის სასჯელის გადავადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ, რომელიც უკანონოდ იქნა მიჩნეული და ბახტაძის მიმართ დისციპლინარული დევნა თავად უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ აღძრა.

ქეთევან ბახტაძე სადისციპლინო კომისიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებას მისი გათავისუფლების შესახებ უკანონოდ მიიჩნევს, თუმცა, საკუთარი სიმართლის დამტკიცების საშუალება მას არ მისცემია. სწორედ ამის გამო შეიტანა მან სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. ქეთევან ბახტაძე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმა არღვევს მისი, როგორც მოქალაქის უფლებას, სასამართლოში გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საქმე ის გახლავთ, რომ ზემოთნახსენები კანონმდებლობის მიხედვით, დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში არ საჩივრდება - სადავო მუხლების თანახმად, დისციპლინარული საბჭო წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოქმედებს, როგორც სასამართლო, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა, სავალდებულო შესასრულებლად და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

**"დისციპლინარული საბჭო მოსამართლეთა ინკვიზიციის ორგანოა"**, - ასეთი გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების აზრი, რომლებიც მოსარჩელე მხარის ინტერესებს იცავენ. მათივე თქმით, დისციპლინარული საბჭოს სახით საქართველოში მოქმედებს კონსტიტუციით აკრძალული სპეციალიზებული სასამართლო.

**"კანონის სადავო ნორმებიდან გამომდინარე, მოსამართლეს არ აქვს უფლება, საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში და მოხდეს მისი სამართლებრივი რეაბილიტაცია. სადავო ნორმებით, ქვეყანაში, პრაქტიკულად, შექმნილია სპეციალიზებული სასამართლო, რაც იკრძალება საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლით, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს,"** - ნათქვამია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ სამართლიანად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა და ანტიკონსტიტუციურად ცნო "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი, 74-ე და 75-ე მუხლები კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ დისციპლინარული საბჭო არ შეიძლება მოქმედებდეს როგორც სასამართლო, რადგან **"დაუშვებელია გაორებული - დუალისტური ბუნების მქონე ორგანოთა არსებობა"**. სასამართლოს ასევე ანტიკონსტიტუციურად მიაჩნია კანონის ის დებულებები, რომლებიც კრძალავენ აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას სასამართლოში. **"მოსამართლე, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა, ეფექტურად დაიცვას საკუთარი უფლებები, სხვისი უფლებების სამართლიანი განმსჯელი ვერ იქნება"**, - დასძინა სასამართლომ.

სამაგიეროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ბახტაძის მოთხოვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. ამ მუხლის მიხედვით, 46-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს, რომელიც დისციპლინარული სასჯელის სახით გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, მომავალში ამ თანამდებობაზე მუშაობის შესაძლებლობა აღარ ეძლევა. თუმცა კი, მიუხედავად მუხლის კონსტიტუციურად ცნობისა, სასამართლომ რეკომენდაციის სახით მიუთითა საქართველოს პარლამენტს, რომ აღნიშნული კანონი უნდა დაიხვეწოს, ისევე როგორც კანონი დისციპლინარული დევნის შესახებ. განსაკუთრებით კი, მკვეთრად უნდა განისაზღვროს დისციპლინარული პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილების და მარნეულის პოლიციის თანამშრომლებმა მარნეულის ტერიტორიაზე კონტრაბანდული საქონლით დატვირთული "კამაზი" დააკავეს. ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის კოკა წულაიას განცხადებით, სატვირთო ავტომანქანა "კამაზი" საქართველოს ტერიტორიაზე "წითელი ხიდიდან" შემოვიდა. მანქანის ძარაზე სხვადასხვა დასახელების საქონელი - ფეხსაცმელი, მაგნიტოფონები და სხვა ნივთები ზემოდან ქატოთი სავსე ტომრებით იყო შენიღბული. "ამჟამად მიმდინარეობს სასაქონლო ექსპერტიზა. ტვირთის ღირებულება, სავარაუდოდ, 10 000 ლარამდე იქნება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით აღიძვრება და შესაძლოა, "წითელი ხიდის" მებაჟეების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს," - აღნიშნა წულაიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ბათუმში, ჭავჭავაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების გადაკვეთაზე ლალი ქუთურიძე დააკავეს. მას პირადი ჩხრეკისას ყაყაჩოს თესლი აღმოაჩნდა. ყაყაჩოს თესლი ამოიღეს, აგრეთვე, მის მიერ არენდირებული ბაზრის შემნახველი საკნის ჩხრეკისას, რომლის საერთო წონა 4 კგ-ს აღემატებოდა. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერ-პრესი**

# ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# სიახლეები 2004 წელს მისაღებ გამოცდებზე

2004 წელს უნივერსიტეტში მიღება იქნება 21 ფაკულტეტის 115 სპეციალობაზე ქართულ სექტორზე, ხოლო 21 სპეციალობაზე - რუსულ და უცხოენოვან სექტორებზე. საბიუჯეტო სწავლებაზე მიიღება 1627, ხოლო არასაბიუჯეტო სწავლებაზე - 2542 სტუდენტი.

გამოვყოფთ რამდენიმე სიახლეს:

**<u>პირველი</u>. ცვლილებები ფაკულტეტების, სპეციალობებისა და ჩასაბარებელი საგნების ნუსხაში:**

**1.** უკანასკნელ წლებში ახალ გახსნილ სპეციალობებს დაემატა რიგი ახალი სპეციალობებისა, რომლებზეც წელს პირველად იქნება მიღება:

**ისტორიის ფაკულტეტზე -** "პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები".

**ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე -** "პოლიტიკური სოციოლოგია და სოციალური კომუნიკაცია"

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე -** "ელექტრონული ვაჭრობა და საბირჟო საქმე".

**2. ნაწილობრივ შეიცვალა ზიგიერთი სპეციალობების დასახელება, კერძოდ:**

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე -** ნაცვლად სპეციალობისა "ინგლისური ენა და ლიტერატურა" - "ანგლისტიკა", ნაცვლად სპეციალობისა "გერმენული ენა და ლიტერატურა" - "გერმანისტიკა", ნაცვლად სპეციალობისა "ფრანგული ენა და ლიტერატურა" - "რომანისტიკა (ფრანგული)", ნაცვლად სპეციალობისა "ესპანური ენა და ლიტერატურა" - "რომანისტიკა (ესპანური)", ნაცვლად სპეციალობისა "იტალიური ენა და ლიტერატურა" - "რომანისტიკა (იტალიური)".

**3. გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტი გაიყო ორ, დამოუკიდებელ, ფაკულტეტად:**

**გეოგრაფიის ფაკულტეტი -** ხუთი სპეციალობით ("ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია", "გეოგრაფია", "გეომორფოლოგია და გეოეკოლოგია", "ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია", მეტეოროლოგია- ატმოსფეროს ეკოლგია");

**გეოლოგიის ფაკულტეტი -** ორი სპეციალობით ("გეოლოგია", "სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები").

**4. სიახლეა სპეციალობების მიხედვით ჩასაბარებელი საგნების ნუსხაშიც:**

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე -**მხოლოდ შემოქმედებითი კონკურსის ნაცვლად ჩატარდება გამოცდა "ქართული ენა და ლიტერატურა (წ.) - შემოქმედებითი კონკურსი".

ცვლილებაა ისიც, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე არასაბიუჯეტო სწავლებაზე მისაღებად ცალკე ტესტირებული გამოცდა აღარ ჩატარდება. ამ ფაკულტეტზე კონტინგენტით გათვალისწინებულ ყველა ადგილზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ყველა საგანში მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ გავიდნენ კონკურსში.

**ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე -** აბიტურიენტები ნაცვლად ოთხი გამოცდისა, ჩააბარებენ სამ გამოცდას. მოიხსნა გამოცდა საზოგადოებათმცოდნეობაში.

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე -** აბიტურიენტები ნაცვლად ოთხი გამოცდისა, ჩააბარებენ სამ გამოცდას. მოიხსნა ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე -** სპეციალობაზე "ეკონომიკური ინფორმატიკა" ნაცვლად ფიზიკისა (ზეპირი), ჩაბარდება მათემატიკა (ზეპირი).

**ქიმიის ფაკულტეტზე -** ყველა სპეციალობაზე ჩატარდება საერთო კონკურსი.

**<u>მეორე</u>. უნივერსიტეტი გადავიდა ტესტირებულ მისაღებ გამოცდებზე.**

ტესტირებულ გამოცდაზე გადასვლით არ შეცვლილა ჩასაბარებელი საგნების პროგრამები, არ შეცვლილა ჩასაბარებელი საგნები, არ შეცვლილა აბიტურიენტთათვის წაყენებული მოთხოვნები. შეიცვალა მხოლოდ აბიტურიენტთა გამოცდის ფორმა.

**1.** მისაღები ტესტირებული გამოცდები ტარდება ცალკეული საგნების მიხედვით ორი ან სამდღიანი შუალედით. რაც, ჯერ ერთი, აბიტურიენტს გამოცდებს შორის არსებულ შუალედებში მასალის გამეორების საშუალებას აძლევს; მეორეც, ერთდროულად სამ და ოთხ საგანში ტესტირებული გამოცდა, ბუნებრივია, აბიტურიენტისაგან მოითხოვს დიდ გონებრივ დაძაბვას, გადაღლას და ხელს უშლის ცოდნის სრულყოფილ გამოვლენას.

**2.** გარდა სპეციალობებისა, დანარჩენ საგნებში ტარდება ტესტირებული გამოცდები.

**3.** წერითი და ტესტირებული გამოცდებისათვის ცალკეულ საგნებში განსაზღვრულია ცალ-ცალკე დრო. დროის დამთავრებისთანავე აბიტურიენტი ვალდებულია ნამუშევარი ჩააბაროს მიმღები კომისიის წარმომადგენელს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, დაგვიანებით, ნამუშევარი აღარ მიიღება და არ გასწორდება.

**ქართულ ენასა და ლიტერატურაში** წერით გამოცდაზე:

**ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე** (გარდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა) აბიტურიენტს ჯერ ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 20 შეკითხვით. ტესტში ყველა შეკითხვა იქნება პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების შინაარსიდან და მართლწერიდან. მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. 20 კითხვიანი ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

ტესტის შესრულების შემდეგ გამოცხადდება 3 თემა. დასახელებული სამი თემიდან აბიტურიენტი იეჩევს ერთ-ერთს. საგმოცდო თემები შეირჩევა საპროგრამო მასალის მიხედვით და გულისხმობს: ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვას, თხზულების მხატვრული თავისებურებების ანალიზს, პერსონაჟის დახასიათებას და სხვა.

თემა ფასდება 10 ქულით. თემის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ქულათა ჯამში არ შედის.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 3 საათი.

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე** შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ტარდება: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) - შემოქმედებითი კონკურსი.

აბიტურიენტს ჯერ ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 30 შეკითხვით, რომლის მიზანია შეამოწმოს აბიტურინტის ზოგადი განათლება (ძირითადად საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში)

ტესტში მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა ერთი საათი.

ტესტის შესრულების შემდეგ გამოცხადდება 4 თემა. მათგან 2 საპროგრამო თემა და 2 თავისუფალი თემა, სადაც უნდა გამოჩნდეს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტუალურ პრობლემებსა თუ მოვლენებზე აბიტურიენტის თვალთახედვა. დასახელებული ოთხი თემიდან აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს.

თემა ფასდება 10 ქულით. თემის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ქულათა ჯამში არ შედის.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 3 საათი.

**გ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე** ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტარდება ტესტირებული გამოცდა.

გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 20 შეკითხვით. მათგან: 10 შეკითხვა პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების შინაარსიდან, 10 შეკითხვა - მართლწერიდან.

მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. 20 კითხვიანი ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია. ტესტის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება კონკურსიდან.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**რუსულ ენასა და ლიტერატურაში** ფილოლოგიის ფაკულტეტზე (რუსულ სექტორზე) წერით გამოცდაზე აბიტურიენტს მიეცემა ორი საპროგრამო და ერთი თავისუფალი თემა. აბიტურიენტი საწერად ირჩევს ერთ-ერთს. თემა ფასდება 10 ქულით.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 4 საათი.

ყველა დანარჩენ ფაკულეტებსა და სპეციალობებზე წერითი და ტესტირებული გამოცდები ტარდება ისეთივე ფორმით, როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

**საქართველოს ისტორიაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 20 შეკითხვით, ხოლო საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე - 15 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**სამართლისმცოდნეობაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**გეოგრაფიაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 20 შეკითხვით, ხოლო საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე - 15 შეკითხვით, მათგან ერთი - კონტურულ რუკაზე სამუშაოს შესრულება. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**მათემატიკაში:**

**ა)** წერით გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ბილეთი. აქედან: ტესტი 12 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე პასუხი ფასდება 0,5 ქულით.

ორი ამოცანა ან მაგალითი ალგებრიდან და ელემენტარული ფუნქციებიდან და გეომეტრიიდან (პლანიმეტრია, სტერეომეტრია). თითოეულ ამოცანაზე და მაგალითზე პასუხი ფასდება 2 ქულით. ბილეთის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტისა და წრითი გამოცდისთვის აბიტურიენტს ეძლევა 4 საათი (ორ-ორი საათი თითოეულისათვის).

**ბ)** ზეპირ გამოცდაზე მათემატიკას **გამარტივებული პროგრამით** აბარებენ: ქიმიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტებზე, აგრეთვე "სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის" სპეციალობაზე შემსვლელი აბიტურიენტები, ხოლო ყველა დანარჩენ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე შემსვლელნი კი **- ძირითადი პროგრამით.**

**ბიოლოგიაში** ტესტირებულ გამოცდაზე, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით (ბოტანიკის გარეშე). თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**ქიმიაში** ტესტირებულ გამოცდაზე, მედიცინის ფაკულტეტზე, აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**უცხო ენებში** ტესტირებული გამოცდები ტარდება: ისტორიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, იურიდიულ, გეოგრაფიის, ეკონომიკის, კომერციისა და მარკეტინგის, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტებზე.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**<u>მესამე</u>. არასაბიუჯეტო (ფასიან) სწავლებაზე მისაღებ გამოცდებსა და ჩარიცხვებთან დაკავშირებული ცვლილებები**

**დასწრებული სწავლება**

არასაბიუჯეტო (ფასიან) სწავლებაზე, ისევე როგორც გასულ წლებში, აბიტურიენტები აბარებენ ერთ ან ორ ტესტირებულ გამოცდას სპეციალობაში. ცვლილებები კი შემდეგია:

1. არასაბიუჯეტო (ფასიან) სწავლებაზე მისაღები ტესტირებული გამოცდები წინ უსწრებს საბიუჯეტო სწავლების გამოცდებს და 3 აგვისტოს ნაცვლად ჩატარდება **15 ივლისს.**

კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტს მოეთხოვება იგივე საბუთები, რაც საბიუჯეტო სწავლებაზე და **სწავლის პირველი წლის საფასურის გადახდის ქვითარი.**

აბიტურიენტს, რომელიც ვერ გავა კონკურსში, სწავლის საფასურის გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდება.

**2**. არასაბიუჯეტო (ფასიან) სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატ აბიტურიენტს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში საბიუჯეტო სწავლებაზე. ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდილი თანხა უკან უბრუნდება.

**3. არასაბიუჯეტო დასწრებული სწავლების ყველა სპეციალობაზე** (გარდა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სპეციალობებისა) **კონტინგენტით გათვალისწინებულ ადგილებზე** ჩაირიცხებიან:

ა) აბიტურიენტები, რომლებიც ფასიან სწავლებაზე 15 ივლისს ჩატარებული მისაღები ტესტირებული გამოცდების შედეგების მიხედვით გახდნენ ჩარიცხვის კანდიდატები.

ბ) აბიტურიენტები, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ჩააბარეს ყველა გამოცდა, ვერ გავიდნენ კონკურსში, მაგრამ გახდნენ ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატები.

გ) აბიტურიენტები, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ჩააბარეს ერთი, ან რამდენიმე გამოცდა და არ გავიდნენ, ან ჩაიჭრნენ მომდევნო გამოცდაზე, მათ უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლების იმ სპეციალობებზე, სადაც მათ მიერ ჩაბარებული საგანი ბარდება, როგორც სპეციალობა, ტესტირებული გამოცდების დროს (თუ კონკურსის შედეგად აუთვისებელი დარჩება კონტინგენტით გათვალისწინებული ადგილები).

**4. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის** ფაკულტეტების სპეციალობებზე არასაბიუჯეტო სწავლებისათვის ცალკე ტესტირებული გამოცდა არ ჩატარდება. ამ სპეციალობებზე კონტინგენტით გათვალისწინებულ ადგილებზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ყველა საგანში მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ გავიდნენ კონკურსში.

**5. უცხო ქვეყნის მოქალაქეები არასაბიუჯეტო სწავლების ყველა სპეციალობაზე** ჩ ა ი რ ი ც ხ ე ბ ი ა ნ  გ ა ს ა უ ბ რ ე ბ ი თ.

**6. ბრძანება** არასაბიუჯეტო სწავლებაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ დაიწერება სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

აბიტურიენტებმა, რომლებიც საბიუჯეტი სწავლების ფორმაზე მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით გახდნენ ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატები, ჯერ უნდა გადაიხადონ **სწავლის პირველი წლის სრული საფასური** და შემდეგ გააფორმონ სათანადო ხელშეკრულება.

**ხელშეკრულების გაფორმების ვადებია: დასწრებულ სწავლებაზე - 5-დან 26 აგვისტომდე** (ჩათვლით) **უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში.**

**დაუსწრებელი სწავლება.**

**1.** დაუსწრებელ სწავლებაზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან **უგამოცდოდ** სპეციალური ანკეტის შევსებისა და **სწავლის პირველი წლის სრული საფასურის** გადახდის შემდეგ.

**2.** დაუსწრებელ სწავლებაზე მიღება იქნება შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე:

**ისტორიის ფაკულტეტზე -** სპეციალობა - "ისტორია".

**იურიდიულ ფაკულტეტზე -** "სამართლისმცოდნეობა" (ქართული და რუსული სექტორი).

**ფილოლოგიის ფაკულტეტზე -** "ქართული ენა და ლიტერატურა", "რუსული ენა და ლიტერატურა სლავური და აღმოსავლური ენების გაძლიერებული შესწავლით".

**გეოგრაფიის ფაკულტეტზე -** "გეოგრაფია", "ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია".

**ეკონომიკის ფაკულტეტზე -** "ფინანსები და საბანკო საქმე", "აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი".

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე -** "ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები", "სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში", "კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში".

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე -** "ეკონომიკური ინფორმატიკა", "მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა", "სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა", "ბიზნესის ადმინისტრირება", "ინფორმატიკა ბიზნესში".

**საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე -** "საერთაშორისო ბიზნესი", '"ბიზნესის სამართალი (ბიზნეს-იურისტი)", "საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართალი", "საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი", "სასტუმრო და ტურისტული ბიზნესი".

**3. დაუსწრებელ სწავლებაზე სწავლის პირველი წლის საფასურია:**

| ფაკულტეტები | სპეციალობა | სწავლის საფასური აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში |
|---|---|---|
| ისტორიის | ისტორია | $ 300 |
| ფილოლოგიის | ქართული ენა და ლიტერატურა | $ 300 |
| | რუსული ენა და ლიტერატურა | $ 300 |
| იურიდიული | სამართლისმცოდნეობა | $ 700 |
| გეოგრაფიის | გეოგრაფია | $ 300 |
| | ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია | $ 300 |
| ეკონომიკის | ფინანსები და საბანკო საქმე | $ 400 |
| | აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი | $ 400 |
| კომერციისა და მარკეტინგის | ყველა სპეციალობაზე | $ 300 |
| მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის | ყველა სპეციალობაზე | $ 300 |
| საერთაშორისო ბიზნესის | ყველა სპეციალობაზე | $ 500 |

**4. უნივერსიტეტის დასწრებული სწავლების სტუდენტებს** ყოველი ახალი სასწავლო წლიდან შეუძლიათ გახდნენ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებიც.

თსუ დასწრებული სწავლების სტუდენტები, პარალელურად დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისას, იხდიან დაუსწრებელი სწავლის საფასურის ნახევარს, გარდა იურიდიული ფაკულტეტის "სამართლისმცოდნეობის" სპეციალობისა.

**5. უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტს**, თუკი იგი მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხება დასწრებულ სწავლებაზე, გაუნახევრდება დაუსწრებელ ფორმაზე სწავლის საფასური, გარდა იურიდიული ფაკულტეტის "სამართლისმცოდნეობის" სპეციალობისა.

**6. ხელშეკრულების გაფორმების ვადებია: დაუსწრებელ სწავლებაზე 1-დან 14 ივლისამდე და 5-დან 26 აგვისტომდე** (ჩათვლით) **უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში.**

**დამატებითი ინფორმაცია**

**1.** არასაბიუჯეტო სექტორზე კონტრაქტს (ხელშეკრულებას) აფორმებს აბიტურიენტი. კონტრაქტის გაფორმებისას აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

**2.** სპეციალობაზე, თუ 5-ზე ნაკლები სტუდენტი იქნება, ჯგუფი არ გაიხსნება. ასეთ შემთხვევაში ჩარიცხვის კანდიდატ აბიტურიენტებს შეუძლიათ მონათესავე სპეციალობაზე გადასვლა, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

**მიმღები კომისიის საინფორმაციო ბიურო იმუშავებს:**
**1 ივლისიდან 4 აგვისტომდე.**
9-დან 15 საათამდე (გამოცდების დაწყებამდე),
8-დან 20 საათამდე (გამოცდების პერიოდში).
ტელეფონი: 30 47 74

**ჩვენი მისამართია:** ქ.თბილისი, საბურთალო, უნივერსიტეტის ქ.1. თსუ მაღლივი ( X ) კორპუსი, ოთახი 201
ტელეფონი: 30 36 70.

*თსუ მიმღები კომისიის სამდივნო*

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

### თათია მეტრეველი
*143-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

საქართველოს და კერძოდ თბილისის პრობლემაა გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან. ქალაქში კატასტროფული მდგომარეობაა ეკოლოგიური თვალსაზრისით, ქუჩები დაბინძურებულია სხვადასხვა ნაგვით და ეს გარკვეული თვალსაზრისით ჯანდაცვასთანაცაა დაკავშირებული, რადგან ჰაერის დაბინძურება მოჰყვება ამ ყველაფერს და დაავადდება ადამიანი. ჩვენი ერთიანი მოვალეობაა გარემოს დაცვა და არა მარტო დაცვა, არამედ ყველა იმ პირობის შესრულება, რაც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან . თბილისში გატარდა რამდენიმე ღონისძიება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ეს უნდა გახდეს ხშირი და ცხოვრების ნორმად უნდა იქცეს.

### სალომე გაგნიძე
*145-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

მე ვცხოვრობ ვარკეთილში, სადაც საერთოდ არ არის ურნები. ამიტომ ბავშვი, როდესაც ყიდულობს ნაყინს, მზესუმზირას, შოკოლადს, რაიმე გამაგრილებელ სასმელს, მას ამ ყველაფრის დაყრა ძირს უხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე. ყველა სადარბაზოს აქვს ნაგავსაყრელი, სადაც ხვდება კორპუსში დაგროვილი ნაგავი, ეს კი ძალიან კარგია, მაგრამ საქმე ის არის , რომ ამ ნაგვის დროულ;ად გატანა არ ხდება, რის გამოც მრავლდება ბუზები, თაგვები, სხვადასხვა დაავადების გადამტანი მწერები. ეს ყოველივე კი გარემოზე და საერთოდ ადამიანებზე ცუდ გავლენას ახდენს. ეს ცუდი გავლენა იმაში გამოიხატება, რომ ბუზებს მრავალი დაავადება გადააქვთ იმ საკვებზე, რომლითაც ადამიანი იკვებება. თავისთავად, ამით ადამიანი ავადდება. ჩემი სანუკვარი ოცნებაა ვიცხოვრო სუფთა ქვეყანაში, სადაც დაცული იქნება ეკოლოგია.

ამას გარემოს დაცვის მინისტრმა, ქალაქის მერმა და რაიონის გამგებლებმა უნდა უხელმძღვანელონ და უზრუნველყონ.

### გიორგი ცომაია
*46-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

ნებისმიერ ქვეყანაში კანონით იკრძალება ქუჩის დაბინძურება. მე მინდა მივმართო საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით, რომ სანაგვე ურნები დადგან ქუჩებში, რადგან ეს უბრალოდ ჩვენი სირცხვილია. მოვიყვანოთ უბრალო მაგალითი: ვთქვათ, რომელიმე ქვეყნიდან ჩამოვიდა უცხოელი, მოგეხსენებათ, საქართველო ლამაზი ქვეყანაა და ამ უცხოელს სმენია საქართველოს სილამაზეზე და იგი ჩამოვიდა , რომ ამაში დარწმუნდეს, თავისი თვალით ნახოს. ამის სანაცვლოდ მას დაბინძურებული ქუჩები ხვდება. გარემოს დაცვის მინისტრს თუ შევხვდები, ავუხსნი ჩემს გულისტკივილს.

### ვახტანგ მაზმიშვილი
*მე-9 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

მიუხედავად იმისა რომ ქართულ ჯარს დიდი ყურადღება ექცევა პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიერ, ქართული ჯარი მაინც არ იმყოფება ევროპის სტანდარტულ დონეზე. თანამედროვე მსოფლიოში ყველაფერი იარაღზეა დამოკიდებული, ძლიერი ჩაგრავს სუსტს, მაგრამ არსებობენ ისეთი ქვეყნები, მაგალითად ამერიკა, საფრანგეთი, იტალია. რომლებიც ცდილობენ პატარა ქვეყნების (მაგალითად, როგორიც საქართველოა) დახმარებას. სწორედ ქართული ჯარის აღმავლობით შეძლებს საქართველო ნატოში შესვლას. უფრო მეტად უნდა გაუმჯობესდეს პირობები ჯარში და მეტი ფული უნდა დაიხარჯოს შეიარაღებისთვის.

გეკითხებით:

1. შეძლებს თუ არა ქართული ჯარი აფხაზეთში კონფლიქტური სიტუაციის შემთხვევაში იარაღით პრობლემის მოგვარებას?
2. იქნება თუ არა უმაღლეს სასწავლებელში უფასო სწავლება?

### გიორგი დადვანი
*97-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

ჩვენ გვინდა შეისწავლონ 31-ე ქარხნის უბნები და გაასუფთაონ, გააკეთონ , რასაც ხალხი მოითხოვს. არ უნდა გაიყიდოს ძველი პროდუქტი, გააშენონ პარკები, აშენდეს სახლები, რომ არ იყვნენ უსახლკარო ოჯახები. ყველგან უნდა იყოს ნაგვის ყუთები და არა მარტო ქალაქში და სახლებში. ყოველდღიურად უნდა იცლებოდეს ნაგვის ყუთები. ამის თანხა უნდა გამოყოს მთავრობამ, ხოლო მოსახლეობამ, რაც შეუძლია უნდა გააკეთოს.

ჩვენ გვინდა დახმარება სკოლის საკითხებში: გამოგვიყონ მერხები და სკამები, გაარემონტონ სკოლები, კლასები. დაგვეხმარონ სახელმძღვანელოების შეძენაში. ჩვენი სკოლის სტადიონი დანგრეულია და უნდა შეკეთდეს.

### თიკო ქიზიყურაშვილი
*74-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

ჩემი სკოლა აშენდა 1938 წელს. ამ სკოლაში ჩემი მშობლები და ჩემი ბებიაც სწავლობდნენ. სკოლა მიწისძვრისგან დაზიანებულია. სკოლის დირექტორი და მასწავლებლები საკუთარი ძალებით ცდილობენ მის შეკეთებას. მე მყავს შესანიშნავი დირექტორი, რომელიც ყველა ბავშვის მეგობარია. იგი ითვალისწინებს მოსწავლეების მოთხოვნილებებს, მხარში უდგას სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მშობლებს. ბავშვების თხოვნაა მეტი ყურადღება მიაქციონ ჩვენს სკოლას. ჩვენს სკოლაში სწავლის დონე მაღალია. გვყავს რესპუბლიკურ ტურებში გამარჯვებული ბავშვები. ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა დღეები. ეს ღონისძიება მოსწავლეებს საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ჩვენი შესაძლებლობები.



გიორგი ხარცილავას ფოტო

### ანა სტურუა
*67-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

მე ვცხოვრობ ლესელიძის ქუჩაზე. ჩემი სკოლის და სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოტანიკური ბაღია. ბაღს აქვს ორი შესასვლელი: ერთი ბოტანიკური ბაღის მხრიდან, მეორე გვირაბიდან, რომლის შესასვლელი უკვე ორი წელია ჩაკეტილია. გვირაბის კარი უკანონოდაა ჩაკეტილი. ამ გვირაბში მდებარეობს ღამის კლუბი, რომელიც გაურკვეველ საქმიანობას ეწევა. ღამე ყოფილა ადამიანის ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ კლუბის საქმიანობას, გასარკვევია, რომ აქვთ თუ არა ეს კლუბი კანონიერი გზით.

ჩვენს ქუჩაზე შიგნიდან გამოფიტული ხეები დგას. 6 ივნისს ერთ-ერთი ტოტი ჩამოტყდა და სერიოზულად დააზიანა გამვლელი. "რუსთავი 2"-მა გააშუქა ეს შემთხვევა, მაგრამ სახელმწიფოს მხრივ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. გთხოვთ ყურადღებას.

### ცისია ქარჩავა
*46-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

მე ვთვლი, რომ საქართველოში ყველაზე აქტუალური და პრობლემური თემა არის სიღარიბე და ეკოლოგია. ჩვენს ქვეყანაში მომრავლდნენ მათხოვრები და მიუსაფარი ადამიანები. მათ არ გააჩნიათ საარსებო მინიმუმი და იძულებულები არიან გამოსავალი ქუჩაში ეძებონ. მთავრობა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს მათი საკითხით და დაეხმარის მათ.

რაც შეეხება ეკოლოგიას, ჩვენს ქვეყანაში უხარისხო საწვავის, გაუმართავი მანქანების და სიბინძურის გამო უამრავი ადამიანი ზარალდება. ისინი ავადდებიან სიმსივნით და სხვა დაავადებებით. ყველა ადამიანი ვალდებულია, რომ დაიცვას სისუფთავე და მთავრობაც უნდა დაინტერესდეს ამ პრობლემის მოგვარებით.

ჩვენი სკოლის წინ არის ნაგავსაყრელი, სადაც ზაფხულში ქვეწარმავლები ბინადრობენ. ანტისანიტარია და ბუზები მოსახლეობას აწუხებს. ხალხმა კი უნდა დაიცვას სისუფთავე, მაგრამ პრობლემა იმდენად რთულია, რომ მოსახლეობა დამოუკიდებლად ვერ წყვეტს. თუ მთავრობა მოინდომებს ჩვენს დახმარებას, ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ.



# წერილები მთავრობას



### თათია ბიბილეიშვილი
*191-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

ნურავინ იფიქრებს, რომ ის გარემო, რაც ჩვენს ირგვლივაა, ჩვენზე, ბავშვებზე არ მოქმედებს. ჩვენ თანაბრად ვართ იმ მოვლენების თანამონაწილენი, რაც ჩვენს ირგვლივ და ჩვენს ოჯახებში ხდება. ამიტომ ბევრი ჩემი თანატოლი ასაკისთვის შეუფერებელი პრობლემითაა დაკავებული. თხოვნით მივმართავ განათლების მინისტრს, სკოლებში მოეწყოს ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტი, სადაც იმუშავებს გამოცდილი ფსიქოლოგი და ბავშვებს გულახდილად შეგვეძლება ვილაპარაკოთ ამა თუ იმ პრობლემაზე . ამ ფუნქციას ახლა ჩვენს სკოლაში ჩვენი დამრიგებელი, ხან სასწავლო ნაწილის გამგე და ხანაც დირექტორი ასრულებს, მაგრამ ამას კვალიფიციური სპეციალისტი უკეთ გაართმევს თავს და სკოლაში ამით ძალიან ბევრი პრობლემა გადაიჭრება.

### ანა პაპავა
*191-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

მე ძალიან მინდა, რომ სკოლაში ტარდებოდეს ისეთი ღონისძიებები, რომელიც იქნება შემეცნებითი ხასიათის. ბიბლიოთეკა უნდა მარაგდებოდეს მაღალმხატვრული ლიტერატურით, უნდა ეწყობოდეს შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან. ბავშვს უნდა შეეძლოს თავისი აზრის გამოხატვა სკოლაში. აგრეთვე უნდა ტარდებოდეს გასართობი ღონისძიებები, სპორტული ტურნირები. სასურველია სკოლას ჰყავდეს ფსიქოლოგი. ჩემი აზრით, ბავშვი ასეთ სიტუაციაში უფრო თავისუფალი იქნება და სწავლის მეტი ინტერესი გაუჩნდება.

### ქრისტინე შანავა
*22-ე საავტორო სკოლის მოსწავლე*

თბილისში მრავლად არიან სოციალურად დაუცველი ბავშვები. თითოეული მოქალაქე მათ შეძლებისდაგვარად ეხმარება, მაგრამ ისინი დღიურ სარჩოს მაინც ვერ შოულობენ და, ყველაფერთან ერთად, ბავშვები ვერ სწავლობენ. არის კატეგორია, რომელიც ცდილობს, რომ ყველაფრის მიუხედავად ისწავლოს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ისინი სკოლებში აწყდებიან პრობლემებს -განიცდიან ჩაგვრას და ზეწოლას სხვებისგან, რადგან მათ სათანადოდ არ აცვიათ, ან ვერ იხდიან სკოლაში ელემენტარულ გადასახადს - ფონდის ფულს. სწავლაზე გულაცრუებულნი ქუჩაში აღმოჩნდებიან ხოლმე. მრავლად წამიკითხავს სტატიები ჟურნალებში, სადაც დაბეჭდილი იყო ინტერვიუ მათხოვარ ბავშვებთან. ისინი აცხადებენ, რომ ზეწოლას განიცდიან პოლიციისგან. ნუთუ არ არსებობს საშუალება, რომ მათ რამენაირად დავეხმაროთ და მზრუნველობა გავუწიოთ?

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 13 ივლისს

## “სტუმრად ჩაიკოვსკისთან”



საბოლოო ჯამში ყველა ბავშვი ნასიამოვნები დარჩა

B2

## “ფრთხილად, რელიგია!”

მას-კულტურა, რომელიც დღეს, ლამისაა, თანამედროვე რელიგიად იქნეს მიღებული.



B3

## შარაპოვა მეოთხედფინალშია

პირველი რუსი ჩოგბურთელი, რომელიც 17 წლის ასაკში უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.



B8

# მრავალფეროვანი ჯაზი

## 29 ივნისი - ფესტივალის ყველაზე დატვირთული დღე

*დღეს საღამოს თბილისის ჯაზფესტივალის სიმხურვალე თავის აპოგეას მიაღწევს. ფილარმონიის სცენას ჯერ 90-იანი წლების ჯაზპოპის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და სახელოვანი მესაყვირე დაიკავებს; კრის ბოტი ქართულ სტუმარმასპინძლობას ხარკს ნატო მეტონიძესთან დუეტში შესრულებული გია ყანჩელის სიმღერით გადაუხდის; რის შემდეგაც ფესტივალს ათი "გრემის" მფლობელი, უნიკალური მუსიკოსი, ლეგენდარული ვოკალისტ-იმპროვიზატორი ბობი მაკფერინი გააგრძელებს.*

ვერა ნეფარიძე

### საყვირის მესაიდუმლე

**“ჩემი მასწავლებლებისგან ვისწავლე საყვირის სიმარტივე, ჩაწვდომა. ეს ძალიან ჰგავს ჭადრაკის თამაშს”**, - ასეთი შედარება გუშინ კრის ბოტმა “შერატონ-მეტეხი პალასში” გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ჭადრაკი ამ მუსიკოსისთვის მეტად ახლობელი სფეროა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ამერიკელი მესაყვირე საქართველოსაც სწორედ დამსახურებული მოჭადრაკეების, ქართველი ჩემპიონი ქალების წყალობით იცნობს: **“მე ვიცი, რომ საქართველო დიდი მოჭადრაკეების ქვეყანაა”**, გვითხრა სტუმარმა. **“როგორც მოყვარული, ყველგან ვითამაშებ, მაგრამ საჭირო მომენტში უკან დავიხევ”**, - ითამაშა თუ არა თბილისის კონცერტამდე მუსიკოსმა, ვერ გეტყვით, გუშინ ჩამოთვლილ გეგმებში კრის ბოტს ჭადრაკი არ უხსენებია. იოგა, მასაჟი, რეპეტიცია, ვახშამი, - ასეთი იყო ახალგაზრდა ამერიკელი მესაყვირის სამზადისი დიდ საკონცერტო დარბაზში გამოსასვლელად.

კრის ბოტი საქართველოს ბანკის თბილისის მერვე საერთაშორისო ფესტივალის სტუმრებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ამას გარდა, მისი სახელი ფესტივალის დანარჩენ მონაწლეებთან შედარებით ცოტა უცნობიცაა ჩვენთვის. უფრო კონკრეტულად, აი, რას ვგულისხმობ: ჯონ მაკლაფლინი თავად არის ლეგენდა, ისევე როგორც ბობი მაკფერინი; მაიკლ ფრენქსსაც (იმის მიუხედავად, რომ ამ მუსიკოსების დაპყრობილ მწვერვალებს ალბათ ვერ გაიმეორებს) ჰყავს თაყვანისმცემელთა უზარმაზარი არმია (მათ შორის, საქართველოშიც); ვარსკვლავია კრის ბოტიც, მაგრამ არა უნიკალური. ალბათ, სწორედ ეს განასხვავებს ამერიკელ მუსიკოსს მაკლაფლინისგან თუ მაკფერინისგან. სხვა დანარჩენი, მუსიკოსს უხვად აქვს. მის შემოქმედებით ბიოგრაფიას თუ გადაავლებთ თვალს, უდავოდ შეგშურდებათ - იმდენ და ისეთი კალიბრის ვარსკვლავებთან შეახვედრა განგებამ. ფრენკ სინატრა, პოლ საიმონი, ჯონი მიტჩელი; ბოლო დროის თანამშრომლობიდან ყველაზე ხმაურიანი კი სტინგის საკონცერტო ტურნეა.

კრის ბოტი ორეგონის შტატის მკვიდრია; დაიბადა პორტლენდში, გაიზარდა კორვოლისში. ყველაზე ადრეული მუსიკალური ზეგავლენა კლასიკურ განათლებამიღებულ პიანისტზე დედამ მოახდინა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ბოტი დღემდე საკუთარ ნაწარმოებებს ჯერ ფორტეპიანოზე ქმნის და ამის შემდეგ გადააქვს ის საყვირზე. ბოტის მასწავლებლებს შორის არიან დიდებული პედაგოგები: დევიდ ფრიზენი, დეივ ბეიკერი; ხოლო ბოტის ნიუ იორკში გადასვლის შემდეგ საყვირის უკანასკნელი ოსტატი ვუდი შოუ. **“ნიუ იორკში გადასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ არ მსურდა ჯაზმუსიკოსობა. ნამდვილად მიყვარს იმპროვიზაცია, მაგრამ ბი ბოპის ტრადიციაზე უნდა იყო გაზრდილი, ეს რომ დაუკრა”**, - ამბობს ბოტი და ალბათ ამიტომაც გადაწყვეტს შემოქმედებითი კარიერა პოპ-ჯაზს დაუკავშიროს. რაც შეეხება ჯაზის ავტორიტეტებს, ისევე როგორც მრავალი მისი თანატოლის გემოვნებაზე, კრის ბოტზეც უდიდესი შთაბეჭდილება მაილს დევისმა მოახდინა. ლეგენდარული მუსიკოსი ბოტმა თბილისშიც გაიხსენა: **“12 წლის ვიყავი დევისის მუსიკა რომ შევიგრძენი. რა თქმა უნდა, მანამდეც იყვნენ დიდებული მესაყვირეები, თუნდაც ლუი არმსტრონგი, მაგრამ, ჩემი აზრით, დევისი უფრო შინაგანი სამყაროსკენ მიილტვის, რაც ასე ძალიან მხიბლავს მასში”.**

კრის ბოტის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მუსიკის ავტორიტეტებს. ნიჭიერი მესაყვირე ბევრ მათგანს ამოურჩევია საკონცერტო ტურნეებისათვის თუ სტუდიაში სამუშაოდ. 1990 წელს, როდესაც პოლ საიმონმა მსოფლიო ტურნე მოაწყო, კრის ბოტი გახდა წამყვანი, მოწვეულ ბრაზილიელ და აფრიკელ მუსიკოსებს შორის. ბოტის პირველი სოლო ჩანაწერი - First Wish 1995 წელს გამოვიდა. კრის ბოტს გაკეთებული აქვს სტუდიური ჩანაწერები ისეთ შემსრულებლებთან ერთად, როგორებიც არიან: ბობ დილანი, ჯონი მიჩელი და ნატალი მერჩანტი. არის 1996 წელს გადაღებული ფილმის, Caught-ის მუსიკის ავტორი. 2000 წელს კი ბოტი ორი წლით უერთდება სტინგის ბენდს. სწორედ ამ პერიოდში გამოდის სტინგის ერთ-ერთი ალბომი Brand New Day; მონაწილეობას იღებს ტურნეში, რომლის ერთ-ერთი კონცერტიც იწერება ფირზე. სწორედ ეს ჩანაწერი - Sting in Tuscany: All This Time ხდება სტინგის პირველი ცოცხალი კონცერტი უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. 2003 წლიდან მუსიკოსი ჯგუფთან ერთად წარადგენს საკონცერტო პროგრამას A Thousand Kisses Deep. დღეს ამ პროგრამაში მცირედი ცვლილებებია მოსალოდნელი. კრის ბოტთან ერთი დღით ითანამშრომლებს ქართველი მომღერალი ნატო მეტონიძე. სახელდახელო დუეტი ორ ნომერს შეასრულებს. ერთი იქნება კრის ბოტის კომპოზიცია მისივე ალბომიდან, მეორე კი - გია ყანჩელის მუსიკა ნიკა მემანიშვილის არანჟირებული ვერსიიდან. “ეს მუსიკა ძალიან ამაღლებული და რომანტიკულია”, - ასე შეაფასა ქართული ჩანაწერი ამერიკელმა სტუმარმა. რამდენად რომანტიკულად შესრულდება ის ფილარმონიის სცენაზე, ამაში დღეს საღამოს დავრწმუდნებით.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*“ნიუ იორკში გადასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ არ მსურდა ჯაზმუსიკოსობა. ნამდვილად მიყვარს იმპროვიზაცია, მაგრამ ბი ბოპის ტრადიციაზე უნდა იყო გაზრდილი, ეს რომ დაუკრა”*

### საშინლად ნიჭიერი, ჭკვიანი, განათლებული და წარმატებული

“გრემის” ათგზის მფლობელი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ვოკალისტ-იმპროვიზატორი, შესანიშნავი იმიტატორი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უკვდავი ჰიტის (Don’t Worry, Be Happy) ავტორი, სიმფონიური დირიჟორი, - თუკი ამ რეგალიებისა და სტატუსის მიხედვით ვიმსჯელებთ, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დონის მუსიკოსი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ძნელი წარმოსადგენი არაა, ასეთი მრავალხმრივი შემსრულებელი ჯაზფესტივალის დღევანდელ საღამოს როგორ გაამრავალფეროვნებს. მის კონცერტებზე ვერ მოიწყენ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი არ შეასრულებს თავის მეგაჰიტს Don't Worry Be Happy-ს.

მას შემდეგ, რაც ბობი მაკფერინი სასწაულმოქმედი ჯაზმენიდან შიშველ სხეულზე თეთრ პიჯაკშემოცმულ მსოფლიო მასშტაბის პოპვარსკვლავად იქცა, თითქმის ოცი წელიწადი გავიდა. თავისი იმიჯის მიუხედავად, ბობი მაკფერინი სერიოზულ მუსიკოსად მიიჩნევა. “ექსცენტრულობა”, - ეს არის სიტყვა, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად შეესატყვისება მაკფერინს სცენაზე. მაკფერინი მხოლოდ მომღერალი როდია. ის თავის შემოქმედებაში აერთიანებს ჯაზს, ფოლკს და უამრავ სხვა მუსიკალურ მიმდინარეობას და ამ ყველაფერს საკუთარი იმპროვიზაციით ამდიდრებს. ოთხი ოქტავის დიაპაზონი, დირიჟორის აბსოლუტური სმენა და იმიტატორის ნიჭი, - ეს ყველაფერი მაკფერინს შეუძლებელს შეაძლებინებს. მას ძალუძს საკუთარი ხმით შეასრულოს საყვირის პარტიები ჯაზურ კომპოზიციებში, ფლეიტისა თუ ვიოლონჩელოს ფორესა თუ ვივალდის ნაწარმოებებში, ან თუნდაც შექმნას საკუთარი ხმების სამყარო.

მაკფერინის ვოკალური კარიერა 1979 წელს დაიწყო, როდესაც შეხვდა ჯაზის შემსრულებელს ლინდა გოლდშტეინს (რომელიც მისივე პროდიუსერი ხდება). მთლიანად იმპროვიზაციებზე აგებული კეიტ ჯარეტის გამოსვლებით შთაგონებულებმა ბობიმ და ლინდამ ერთად გადაწყვიტეს მაკფერინის სოლო გამოსვლებზე მუშაობა. იმის მიუხედავად, რომ ასეთი გადაწყვეტილება იმ დროისათვის ნოვაციური იყო, მაკფერინი 1983 წელს ტურნეში გაემგზავრა (ყოველგვარი აკომპანიმენტის გარეშე). რისკმა გაამართლა - აუდიტორია აღფრთოვანებული დარჩა მოსმენილით.

თავისი პოპ-კარიერის გაფურჩქვის დროს მაკფერინი დირიჟორობით დაინტერესდა და დაიწყო მეცადინეობა. მან კლასიკურ მუსიკაშიც მიაღწია წარმატებას. ნადირიჟორები აქვს გერშვინის სპექტაკლებზე: “პორგი და ბესი” და “კაროლინას ოპერა”; ამას გარდა, გამოდიოდა ყველა დიდ ამერიკულ ორკესტრთან ერთად. მათ შორის, ლოს ანჯელესისა და ნიუ იორკის ფილარმონიის ორკესტრებთან. უდირიჟორა არაამერიკულ ორკესტრებსაც - ლონდონისა და როტერდამის ფილარმონიის, მიუნხენის რადიოს.

მაკფერინს აღტაცებული ჰყავს პუბლიკა არამარტო როგორც ვირტუოზ ვოკალისტს, არამედ როგორც დიდებულ შოუმენს. ყოველ მის წარმოდგენაში მაყურებელია ჩართული. და მეტიც: მის გამოსვლებს განსაკუთრებული კონცერტების სახეობას მიაკუთვნებენ.

მაკფერინის შემოქმედებაში ყველაზე გამორჩეული ადგილი Saint Paul Chamber Orchestra-ს უჭირავს, რომელთან ერთადაც მუსიკოსი წერს ალბომებს ჯაზის, გოსპელისა და კლასიკური მუსიკის ჟანრებში; ასევე ბახის, მოცარტის, გერშვინისა და ჩაიკოვსკის ინტერპრეტაციებს. მაკფერინს უცნაური, კლასიკასთან მიახლოებული მუსიკა აქვს ჩაწერილი დიდებულ მუსიკოსებთან: ჩიკ კორეასთან, იო იო მასთან და ჰერბი ჰენკოკთან ერთად. ჯაზ-ალბომები გაკეთებული აქვს “მანჰეტენ ტრანსფერთან” და “იელოვ ჯაკეტსთან” ერთად. ყველაფერთან ერთად, მაკფერინი პოპ-ჯაზითაც სერიოზულადაა გატაცებული. ის იყო პირველი, რომელმაც ვოკალური ალბომი აკომპანიმენტის გარეშე ჩაწერა; როდესაც მის შესახებ ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს Voicestra - პატარა ვოკალური ორკესტრი, სადაც ადამიანები მუსიკალური ინსტრუმენტების იმიტაციას მიმართავენ. დანარჩენს, თავისი შემოქმედებითი გეგმების, საინტერესო პროექტებისა თუ, უბრალოდ, მოგონებების შესახებ, ამერიკელი მუსიკოსი, იმედია, დღეს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გულწრფელად ისაუბრებს.



*მას შემდეგ, რაც ბობი მაკფერინი სასწაულ-მოქმედი ჯაზმენიდან შიშველ სხეულზე თეთრ პიჯაკშემოცმულ მსოფლიო მასშტაბის პოპვარსკ-ვლავად იქცა, თითქმის ოცი წელიწადი გავიდა. თავისი იმიჯის მიუხედავად, ბობი მაკფერენი სერიოზულ მუსკოსად მიიჩნევა.*






## კონცერტები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი
კრის ბოტი და მისი ბენდი
დას: 20:00 სთ.

ბობი მაკფერინი
დას: 22:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ა. ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**"გლობუსი"**
სანდრო მრევლიშვილი
"მარტორქები ორკესტრში"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"სკუბი დუ 2"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"მოკალი ბილი"
დას: 20:00; 22:30 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ბავშვთა კერამიკული სტუდიის მოსწავლეების - გიგიშა პაჭკორიასა და მაკა მზარეულიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**TMS**
ნინო ჩაკვეტაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ორიენტი"**
"ცნობილი და მივიწყებული სახელები"
XX საუკუნის მხატვრობა

**"ქარვასლა"**
გამოფენა "საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა"

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლადო გრიგოლიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
სახვითი ხელოვნების სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "სტუმრად ჩაიკოვსკისთან"

სალომე კიკალეიშვილი

ზოგი კიბეებზე ჩამწკრივებული, ზოგი კი აქა-იქ იმპროვიზაციით დაკავებული, ფოტო და ვიდეო აპარატებით "შეიარაღებული" მშობლები - ასეთი იყო გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი, სადაც პირველი გიმნაზიის საბალეტო სტუდიამ ახალი სპექტაკლი წარმოადგინა -"სტუმრად ჩაიკოვსკისთან". ჩაიკოვსკის მუსიკაზე ორ სურათად წარმოდგენილი Гадкий утёнок-ი და "მძინარე მზეთუნახავი", რომლის ორგანიზება და დასპონსორება ფირმებმა "ორიფლეიმმა", "კლონდაიკმა" და სლოვენიის რესპუბლიკის საკონსულომ ითავა.

ის, რომ ქართველი მაყურებელი პუნქტუალობით არ გამოირჩევა, დიდი ხანია, ვიცოდი, მაგრამ ის ელემენტარულიც თუ არ იცოდა, რომ, როცა სცენაზე ფარდა დაეშვება და შუქი არ ინთება დარბაზში, ეს ანტრაქტს არ ნიშნავს და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ადგომა, სიარული და ხმამაღალი საუბარი - უკვე აღარ მეგონა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა ფაცხაფუცხი ატყდებოდა პარტერში, როცა ნახევრად დაშლილ დარბაზში ჩაიკოვსკის მუსიკა გაისმა და სპექტაკლის მეორე სურათი, "მძინარე მზეთუნახავი" დაიწყო.


ვახო ბესელიას ფოტო

*საბოლოო ჯამში ყველა ბავშვი ნასიამოვნები დარჩა, რასაც თეატრიდან გამოსული პატარების ბედნიერი თვალები და ფარდაჩამოშვებულ სცენაზე მონაწილეთა მხიარული ჟრიამული მოწმობდა.*

მაგრამ მეორე სურათამდე მაყურებელს ფერმა და მისი მხიარული ბინადარნი ელოდა - ვარდისფერი გოჭები, გრძელი ჭრელი მუხლუხო (სადაც მუხლუხოს გრძელ კოსტიუმში რამოდენიმე პატარა ბალერინას გამოეყო თავი და "პაკლონზე" ერთმანეთის აქეთ-იქით ქაჩვით კარგა ხანი აცინეს მაყურებელი), ფერად-ფერადი ქათმები და დიდი მარაოებით მოცეკვავე ფარშევანგები - ასეთი იყო სპექტაკლის პირველი სურათი, სადაც "გედის ტბის" მუსიკაზე შექმნილი Гадкий утёнок -ი იხილა მაყურებელმა. იხვების დედის როლში კი სტუდიის ხელმძღვანელი - მაკა მახარაძე, რომელსაც კუდში დაჰყვებოდნენ პაწაწინა ყვითელი იხვები, პატარა გედების მუსიკაზე - სამი "გემრიელი" გოჭი (მათ შორის ერთი გოჭი, მთელი სპექტაკლის მანძილზე იმპროვიზაციით იყო დაკავებული სცენის კუთხეში) და თეთრი გედის ოდეტას ვარიაციაზე - იხვის ჭუჭული.

რაც შეეხება "მძინარე მზეთუნახავს", აქ "პატარა" მსახიობებთან ერთად "დიდი" მსახიობებიც გამოჩნდნენ სცენაზე: ონისე ონიანი (ჯადოქარი), ზაალ ჩიქობავა (მეფე) და ეკა ჩხეიძე (დედოფალი).

ისევე როგორც სტუდიის სხვა სპექტაკლები: "მაკნატუნა" "ლურჯი ფრინველი" "კოპელია" და "მძინარე მზეთუნახავი", გუშინდელი წარმოდგენის ქორეოგრაფი - თამაზ ვაშაკიძე გახლდათ, კოსტიუმების მხატვარი კი ანკა კალატოზიშვილი, რომელიც არ შეიძლება ცალკე, ხაზგასმით არ აღინიშნოს. არაჩვეულებრივი კოსტიუმები თავისი სილამაზით და მრავალფეროვნებით ამშვენებდა სპექტაკლს.

დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო ჯამში ყველა ბავშვი ნასიამოვნები დარჩა, რასაც თეატრიდან გამოსული პატარების ბედნიერი თვალები და ფარდაჩამოშვებულ სცენაზე მონაწილეთა მხიარული ჟრიამული მოწმობდა. ნასიამოვნები დარჩა, როგორც "უფროსი" მაყურებელი, რომელმაც გემოვნებიანი (დღევანდელ საბავშვო სპექტაკლებისა თუ კონცერტების უმრავლესობა ძალიან აკლია, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ ზოგს საერთოდ არაფერი აქვს საერთო სიტყვა - გემოვნებასთან) სპექტაკლი იხილა, სადაც ბავშვი ბავშვად რჩება, და არც პატარა მაყურებელმა მოიწყინა, რომელთა უმრავლესობა წარმოდგენის მსვლელობისას პარტერსა და კიბეებზე საკუთარი ნომრების შესრულებით იყო დაკავებული.

# მაპატიეთ

## პრეზენტაცია კინოთეატრ "ამირანში"

თამარ სუხიშვილი

გაგიჟდები კაცი. ვერცერთ ქვეყანაში ვერ გაიგებენ, თუ რატომ და რისთვის უნდა ელოდო მთელი ერთი საათი, თუნდაც ორმოცდახუთი წუთი, ჩახუთულ ფოიეში სულ რაღაც სამწუთიანი კლიპის ჩვენებას, თუნდაც ეს ახალი კლიპი იყოს. რას ვიზამთ, თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. თუმცა, პარადოქსიც არის და პარადოქსიც... გაზის კამერაში მგონია თავიო, - შემომჩივლა ერთმა ნაცნობმა, კინოთეატრ "ამირანის" ფოიეში რომ შევედი. სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა. ახალი კლიპის მოლოდინში სიცხისგან კინაღამ გავიგუდეთ. მაგრამ, რას ვიზამდით, მაინც ველოდით, მორჩილად, დიდი მოთმინებით. და რაღა თქმა უნდა, როგორც, ჩვეულებისამებრ, ასეთ დროს ხდება ხოლმე, ვსაუბრობდით ქართულ პუნქტუალობაზე. თუმცა, მინდა გითხრათ, ქართული პუნქტუალობა თურმე არაფერ შუაში ყოფილა. ისე, შეიძლება ჯობდა კიდეც ქართული პუნქტუალობის ბრალი ყოფილიყო და არა ქართული დაუდევრობისა თუ არაპროფესიონალიზმის. ვინ იფიქრებდა - თურმე კინოთეატრში აპარატურა გაფუჭდა და კაცი არ აღმოჩნდა, ახალი აპარატურისთვის რომ მიეხედა. პრეზენტაციის ორგანიზატორებს სრულიად შემთხვევით მაყურებლებში ამ საქმის ერთი კარგი სპეციალისტი რომ არ დაელანდათ, ცუდად იყო საქმე, პუბლიკა ახალი კლიპის უნახავი რჩებოდა. მაგრამ, ვერაფერს იტყვით, ბედი ჰქონიათ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს... სანამ პრეზენტაცია დაიწყებოდა, თინეიჯერები ფოიეში უწყვეტად ყაყანებდნენ და MTV-ს ვიდეორგოლების ყურებით ირთობდნენ თავს. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ალბათ, მათ სკოლაში ასეთ დავალებას მისცემდნენ დასაწერად: ქართული და დასავლური შოუბიზნესის შეპირისპირებითი დახასიათება. ისე, საინტერესო კია, რას დაწერდნენ.


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*სიმღერის შემსრულებელი ირაკლი ნოზაძე და კლიპის ერთ-ერთი რეჟისორი დაჩი დარჩია*

როგორც იქნა, კინოთეატრის დარბაზშიც შევაღწიეთ, გვეშველა, დარბაზში სანიავო სისტემა შესანიშნავად მუშაობდა და სუნთქვაც გაგვიადვილდა. ასე დაიწყო პრეზენტაცია მუსიკალური კლიპისა "მაპატიე შეცდომები". ისე გუშინდელი პრეზენტაციის მოსაწვევს რომ დავხედე, თავიდან ვერც კი მივხვდი, რა ღონისძიებაზე გვეპატიჟებოდნენ. "წარმოგიდგენთ ირაკლი, ბასა და დაჩი". მიდი და გაიგე, ვინ არის ან ერთი, ან მეორე, ან მესამე. თუმცა, ახლავე აგიხსნით. ირაკლი - ირაკლი ნოზაძე ყოფილა, იგივე პიკასო, იგივე ყოფილი "ქუჩის ბიჭი", შემსრულებელი სიმღერისა - "მაპატიე შეცდომები"; ბასა და დაჩი კი კლიპის რეჟისორები - ბასა სამხარაძე და დაჩი დარჩია აღმოჩნდნენ. სანამ ამას გავიგებდი, ერთმა მაყურებელმა ასეთი ვერსია მომაწოდა: ირაკლი "ქუჩის ბიჭია", ბასა და დაჩი კი იმ ძაღლისა და კატის სახელებია, კლიპში რომ გადაიღესო. აი, ასეთი სასაცილო გაუგებრობაც მოხდა.

ახალი ვიდეორგოლი აჩი ფურცელაძემ წარმოგვიდგინა. მანვე გვითხრა, რომ ეს სიმღერა ახალი არ არის, ეს რეი ჩარლზის სიმღერაა, რომელიც გადმოაქართულეს და ვიდეორგოლიც გადაიღეს. ვერ გეტყვით, რეი ჩარლზის რომელ სიმღერაზეა ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ძალიან პოპულარული სიმღერა არ უნდა იყოს. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რახან თქვეს, ალბათ, არსებობს კიდეც. პრეზენტაციის წამყვანმა იქვე დარბაზს სთხოვა "ბაბუა რეი ჩარლზის ხსოვნის აპლოდისმენტები". ხსოვნის აპლოდისმენტები - ეს რაღა უბედურებააო, იკითხავთ; ნამდვილად უბედურებაა. თუმცა, პუბლიკამ მშვენივრად გაიგო და მქუხარე ტაშიც დასცხო (?) საწყალ ბაბუა რეი ჩარლზს კი ასე თუ ჰპარავდნენ სიმღერებს, ალბათ, გულიც იმიტომ გაუსკდა. მერე ვნახეთ კლიპი. თანაც ერთხელ კი არა, სამჯერ. და ისინი, ვისაც ძალა აღარ ეყო, მესამედ ველარ გაუძლო და, შესაბამისად, დარბაზი დატოვა, შოუბიზნესის არამეგობრად (ალბათ, მტრად) მოიხსენიეს; ხუმრობით, რა თქმა უნდა. თუ გუშინდელ პრეზენტაციას ვერ დაესწარით, მაინცდამაინც გული ნუ დაგწყდებათ, ამიერიდან ალბათ მილიონჯერ გაუშვებენ ტელეეკრანზე. პრეზენტაციის დასასრულს დარბაზი "ბრავოს" ყვიროდა, მიუხედავად იმისა, რომ, მგონი, ახალი აღარაა არც ჩამწვარი სიგარეტის, და არც ქალის შიშველი ფეხების (თუნდაც გრძელის) თემა. პირადად მე ერთი კადრი განსაკუთრებით მომეწონა - შავი ფეხსაცმლიდან წვრილი შავი კატა რომ ამოძვრება. ძალიან საყვარელი კატაა. სიმღერა? სიმღერა კი, როგორც გვითხრეს, რეი ჩარლზისა ყოფილა... დაბოლოს, თუ რამე სწორად ვერ ვთქვი, მეც მაპატიეთ.

# თურქეთის ქართული რეგიონები ისტორიულ მემკვიდრეებს ელის

ნანა ბასილაშვილი

*საქართველო-თურქეთს შორის მეგობრული, საქმიანი, ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტები აქტუალური და საკმაოდ ხშირი თემაა. ჩვენი პრეზიდენტი ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე მეორედ იმყოფება მეზობელ რესპუბლიკაში. საზღვრების გახსნის შემდეგ, ტაო-კლარჯეთის, კაბადოკიის, ლაზეთისა და თურქეთის ტერიტორიაზე სხვა ისტორიულ ქართულ რეგიონებში შემორჩენილი უძველესი ქართული ძეგლები ქართველი მეცნიერების კვლევის ობიექტი გახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე დაარსებული სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელმა ცენტრმა, უნივერსიტეტის რექტორის ხელმძღვანელობით, თურქეთის ტერიტორიაზე უკვე რამდენიმე ესქპედიცია მოაწყო. დაახლოებით 3-4 ექსპედიციის ამსახველი ფოტომასალა გუშინ თსუ-ს კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გამოიფინა. ფოტოგამოფენა თურქეთის ექსპედიციის ხუთკაციანი ჯგუფის (ზურაბ ბატიაშვილი, ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია) ერთ-ერთ წევრს, ბუბა კუდავას ეკუთვნის.*

"რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ დროის სამ განზომილებაში. წარსულში, დღევანდელ დღეს და მომავალში. ჩვენი წარსული დიდებულია, დიდებულია საქმენი ჩვენი წინაპრებისა, დღეს ჩვენ წინაშე დგას პრობლემები, რომ ეს შესანიშნავი სიწმინდე, ეს ძეგლები, არ დავკარგოთ და შევინარჩუნოთ და მომავალს მე, ასევე, ვხედავ დიდებულს და იმედი მაქვს, რომ აღდგება არა მარტო ტაძარი, არამედ აღდგება წირვა-ლოცვა ამ ტაძრებში. მე მინდა მოგახსენოთ, რომ წმინდა სინოდმა მიიღო ისტორიული დადგენილება ახალციხის მთავარეპისკოპოსს მიემატა ტიტული ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის. ასე, რომ ჩვენი მომავალი ნათელია და დიდებულია. ღმერთმა დაგლოცოთ! მე მინდა დავლოცო ის ჯგუფი, რომელმაც გააკეთა ეს შესანიშნავი გამოფენა და მე მინდა ვთქვა, რომ ეს კიდევ ერთხელ გვაგონებს იმას, რომ ტაო-კლარჯეთი ელოდება ქართველ ადამიანს", - გამოფენის გახსნას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ესწრებოდა.

ბუნება, ეკლესიები, ციხეები, შემორჩენილი ფრესკები, იმერხევი, ლაზეთი, ჩამოქცევის პირას მიტანებული ოშკისა და ხანძთის ტაძრები, საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები და ა.შ. ექსპედიციის დროს გადაღებული დაახლოებით 600 ფოტო, რუბრიკების მიხედვით 20 სტენდზე თემატურადაა წარმოდგენილი; "ჩვენებურები", "ისე ლამაზია, სიზმრის გეგონება", "წარსული დღე", "SOS"...


ვახო ბესელიას ფოტო

*გამოფენის გახსნას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ესწრებოდა.*

ექსპედიციის მიზანი სწორედ ამ ტერიტორიების შესწავლა იყო. აღსანიშნავია, რომ ცენტრმა არა მხოლოდ არქიტექტურული, არამედ საისტორიო ხასიათის კომპლექსური კვლევები აწარმოა. ექსპედიციის წევრებმა გარკვეული პუნქტები შეისწავლეს. "მოვინახულეთ ისტორიული ქართული პროვინციების თითქმის უმრავლესობა. თითქმის ყველა ძირითადი ძეგლი, მცირე და ნაკლები მნიშვნელობის ძეგლები, შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას. გადავიღეთ მათი ყოფა-ცხოვრება, ტიპაჟები, პორტრეტები. გარდა ამისა, გვქონდა გარკვეული სამეცნიერო სიახლეები და აღმოჩენები. გვინდოდა ჩვენი მოგზაურობის შედეგები გაგვეცნო ფართო საზოგადოებისათვის და ამას გარდა, კიდევ ერთხელ გარკვეული სტიმული მიგვეცა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს რეგიონი ძალიან აინტერესებს და კიდევ უფრო მეტად მოგვეხდინა პოპულარიზაცია იმ თემისა და პრობლემატიკის, რაც თურქეთის ქართულ რეგიონებში დგას", - აღნიშნა ფოტოგამოფენის ავტორმა ბუბა კუდავამ.

ქართული ექსპედიცია თურქეთის ერთ-ერთ ქართულ პროვინციაში - იმერხევში გამართულ ფესტივალს დაესწრო. ბუბა კუდავამ ამ ფესტივალის შესახებაც მიამბო. იმერხევი მესხეთის ტერიტორიაზე, ქართველების ყველაზე უფრო კომპაქტურად დასახლებული ისტორიული რეგიონია. იმერხევში მაღალ მთაზე არის ადგილი, რომელსაც "სათავეს" ეძახიან. სწორედ ამ ადგილას, ყოველი წლის აგვისტოში ტარდება ფესტივალი ამავე სახელწოდებით "სათავე". აქ იკრიბება ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა 90 პროცენტი ქართველები არიან. ამას გარდა, სხვადასხვა ქალაქებიდან - სტამბულიდან, ბურსადან, ანკარადან, ის ქართველებიც ჩადიან, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით სწორედ ამ პროვინციიდან გადასახლდნენ. "სათავის" სამდღიანი ფესტივალი, ქართველი მკვლევარებისთვის, მეცნიერებისა და რასაკვირველია, არა მხოლოდ მათთვის, თურქეთის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში მცხოვრები უამრავი ქართველის ერთად ნახვის უნიკალური საშუალებაა. ცხადია, ექსპედიციის წევრებს ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვიათ. 3 ივლისამდე უნივერსიტეტში გამართულ ფოტოგამოფენაზე, "სათავის" ფესტივალზე გადაღებული ფოტოებიც შეგიძლიათ იხილოთ.

ფოტოგამოფენაზე სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელი ცენტრის ახალი წიგნის პრეზენტაციაც მოეწყო. "კაბადოკია", რომლის ავტორი ექპედიციის ერთ-ერთი წევრი ზურაბ ბატიაშვილი გახლავთ. სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, ამ რეგიონით დაინტერესებული ადამიანებისთვის ერთგვარი მეგზურიც შეიძლება გახდეს.

რეცენზია

# ბულბულების გადაფრენა

თათა ცოფურაშვილი

ქართულმა მწერლობამ, დაწყებული მეცხრამტე საუკუნიდან, ამოცანა დაისახა - სარკესავით ასახოს და აირეკლოს პრობლემური რეალობა. ეს, თავის მხრივ, ჰომეროსისა და მალარმეს გაკვალული გზით სიარულია და მალარმეს მსგავსად იმ ფიქრის გამოძახილი, რომ "სამყარო იმისთვის არსებობს, რომ იგი წიგნში აღიბეჭდოს". ბორხესის კვალად რომ ვთქვათ, ეს ტანჯვის ესთეტიკური გამართლებაცაა და ეს თეზისი ქართულად რომ განვავრცოთ - პრობლემურ რეალობაში ესთეტიკურის ძიების მცდელობაც.

პრობლემებს კი რა გამოლევს საქართველოში?

ჰოდა ნესტან კვინიკაძემაც ემიგრაციის - პოლიტიკოსების ენაზე რომ გადავრთარგმნოთ, - ქართული სახელმწიფოს ნათელი მომავლის აქილევსის ქუსლის სურათი დაგვიხატა.

ის ცოტა ჰოლანდიას გადასწვდა, ცოტა კოელიო და მისი "ალქიმიკოსი" მოიშველია, ცოტაც დოსტოევსკის გამახსენებელი პეტერბურგის თეთრი ღამეები, კორტასარის "კლასობანა", ამირანის ზღაპარი თუ უძღები შვილის ლეგენდა.

მოკლედ, მიქსი (თუ რემიქსი სახელწოდებით, "ისპაჰანის ბულბულები") შედგა და გასულ კვირას კაფე "პარნასში" პრეზენტაცია (თუ საზოგადოებრივი "ინიციაცია") გამოიარა.

მაინც რაზე ჭიკჭიკებენ ისპაჰანის ბულბულები? მართალია, რომანის სათაური უფრო აღმოსავლურ ასოციაციებს აღგიძრავთ, მაგრამ მას დასავლური ტიპის რომანი უფრო ეთქმის. მართალია, აღმოსავლეთისა და დასვლეთის ოპოზიცია, საქართველოს გეოპოლიტიკის მსგავსად, რომანის კონცეფციასაც გასდევს ფონად, მაგრამ აღმოსავლეთი რომანის სტრუქტურული კულისებისთვის თავისი იოგათი თუ კაბალას სიბრძნით, უფრო ეფემერულ რეალობას ქმნის კლიმატურად ცივი, დასავლეთის თბილი კომფორტის სანაცვლოდ.

ამასთანავე, მწერლის მიერ რომანის ქარგად არჩეული უძღები შვილის დაბრუნების მარადიული თემა რემბრანდტის პანოებით დაწყებული, განვითარების ევროპული მოდელით დამთავრებული (რომელსაც ჰეგელისა და გეოგრაფიის სითეზის კვალი ეტყობა) - საკუთარი გეოგრაფიული სივრციდან გარეთ გასვლა და უკან დაბრუნება (რაც აუცილებლი პირობაა პროფესიონალად განვითარებისათვის), - ერთობ ევროპული თემატიკაა და ბუნებრივია, მოქმედება სწორედ ევროპაში ვითარდება. თუმცა მოქმედი პირები ქართველები არიან - ასე ვთქვათ, გადამფრენ-გადმომფრენი ჩიტები, ან კონტინენტიდან კონტინენტზე "მოხეტიალე მტრედები", რომლებიც გადაფრენის ორიენტირად თბილი ქვეყნების ნაცვლად ცივს ირჩევენ და თავს ჰოლანდიას და ამსტერდამის ჰაშიშით გაჟღენთილ "კოფი-შოპებს" აფარებენ. ამ თავის შეფარებას კი თან ახლავს იმის აღმოჩენის შიში, რომ რეალობა შეიძლება სულაც არ არის ისეთი, "როგორც ეს მათ ულტრაახალგაზრდულ ფანტაზიებშია".

მთავარი პერსონაჟი ასტამური ორნითოლოგია და ჩიტებს იკვლევს. ეს კვლევა მას ერთობ აკავშირებს მეცნიერებასთან და ამით მკითხველისთვის უკვე ჩნდება ასოციაციები ჩვენს მაღაზიებში ახლადგამოჩენილ კოელიოს "ალქიმიკოსთან". ამ ასოციაციებს კი ერთობ შეგნებულადაც გვიმყარებს ავტორი არაერთგზის ნახსენებ და მოხსენიებულ "კავკასიელი ალქიმიკოსების" სახელით მონათლული წინაპრების სახით. "კავკასიელი ალქიმიკოსები" ხომ ამსტერდამში ქართული დიასპორის ერთ-ერთი უსაყვარლესი სადღეგრძელოა.

მაგრამ, მხოლოდ სადღეგრძელოს სახით არ თამაშობს ავტორი სამხრეთ ამერიკელი კოლეგის თამაშის წესებით: მთავარი პერსონაჟი ისპაჰანის ბულბულების მისთვის ოცნებად ქცეულ გადაფრენას სწორედ სამშობლოში დაბრუნებული იხილავს, ანუ რასაც განსწავლის სურვილით აღტკინებული მთელი მსოფლიოს მასშტაბებით ეძებდა, სამშობლოში იპოვნის და ამით უძღები შვილის მოგზაურობათა წრეც დასრულდება. მოკლედ, ნაწარმოების დედააზრი იმდენად იმეორებს კოელიოს "ალქიმიკოსისას", რომ პედანტი მკითხველი, უბრალოდ პლაგიატს დაარქმევდა მას, მაგრამ ასეთი მკაცრი დასკვნების გამოტანამდე შეგახსენებთ, რომ თავად კოელიოს რომანის ფაბულაც უძღები შვილის ძველ ამბავს ვერ გასცილებია. მარადიული მითები ხომ არავისი საკუთრება არ არის. ნესტან კვინიკაძეც უძღები შვილის ქართულ "თარგმანს" გვთავაზობს.

მოკლედ, ეს თამაშია. შეიძლება ემიგრაციაში მყოფი ქართველების ქოთან-ball-ივით უმიზნო არა, მაგრამ ლიტერატურული ტექსტების თამაში, რომელიც მოთამაშედ აქცევს არა მხოლოდ პერსონაჟებს, არამედ მკითხველსაც, რომელიც ავტორის მიერ არჩეული ჰიპერ-ტექსტის ანუ არათანმიმდევრული თხრობის წყალობით, სიუჟეტის აგებითა თუ შეკოწიწებითაა დაკავებული.

ამით კი თავად მკითხველი კოლაჟისტ ნიკას ემსგავსება, პერსონაჟები კი - ამ კოლაჟებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეკოწიწებული და მთლიანობის ჰარმონიადაკარგული ყოფის სიმბოლოა.

"წყალში სამოგზაუროდ ისინი მიდიან, ვისაც ხმელეთზე არ დაედგომება" - ნესტან კვინიკაძის ეს ფრაზა შეგვეძლო განგვევრცო და გვეთქვა - საზღვარგარეთ ისინი მიდიან, ვისაც სამშობლოში არ დაედგომება.




მიქსი (თუ რემიქსი სახელწოდებით, "ისპაჰანის ბულბულები") შესდგა და გასულ კვირას კაფე "პარნასში" პრეზენტაცია (თუ საზოგადოებრივი "ინიციაცია") გამოიარა.

მაგრამ, ასტამურისა და ნატაშას თბილისური ყოფის შესახებ ავტორი არცთუ დიდ ინფორმაციას გვაწვდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ ასტამურმა ბაბუის დანატოვარი სახლი გაყიდა და შემდეგ "მწვანე ფულის გათეთრებას" შეუდგა ჰოლანდიურ პიცერიებსა თუ "კოფი-შოპებში". ამ დიდი თავგადასავლების დასაწყისს კი ასტამურის განსწავლულობის დაჟინებული სურვილი უდევს საფუძვლად.

მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ასტამურმა არ იცის, ევროპაში ბუდასავით რომ ვერ გასხივოსნდება და ამისათვის ცოტა აღმოსავლეთის მზეც რომ არის საჭირო.

ამიტომაცაც, ასეთი ეფემერული მოლოდინით სავსე მსოფლიო ხეტიალის ჟამს ყველაზე დიდ რეალობად, არც მეტი არც ნაკლები, "ზღვის ფსკერზე ხიზილალაგამოტენილი თევზების" ანცობა რჩება, რადგან "მათი სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე შენი". აქ კი ავტორი ამ რეალურობის კრიტერიუმსაც გვთავაზობს: იგი რეალურია, იმიტომ, რომ "უფრო ზუსტია და აშკარა".

სიზუსტეზე აქცენტით კი რომანის სიუჟეტური განვითარების ფონის შემქმნელი ოპოზიცია ახალ კონტექსტში იშლება: ეს ქაოსისა და კოსმოსის დაპირისპირებაა.

როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, მოწესრიგებულ ჰოლანდიაში აღმოჩენის მიუხედავად, გმირები თავს ერთობ დიდი ქაოსის მონაწილედ აღიქვამენ: "კიდევ იყო გამოთქმები, აკვიატებული რეპლიკები, რასაც წლების მანძილზე იგონებდნენ ახალგაზრდა ქართველები. მოკლედ, ქაოსი"; "ტურისტების გაუცხოებული მზერა არნახულ ქაოსს ქმნიდა"; "ყველგან ქაოსია".

ქაოსში, ან მის სიმბოლო ბნელ ოთახში "ვერ ხედავ და არ იცი სად რა არის. ასეთ ადგილას ხომ ვერ იქნები ბედნიერი". ბედნიერების კრიტერიუმი კი ერთობ მარტივია და მას მიზანი ქვია. ჰოლანდიაში მოხვედრილი ქართველების ყოფა კი ისეთი უმიზნო ხდება, როგორიც ქოთან-ball-ის თამაშია. ეს ქაოსი არა იმდენად გარეგნული დისკომფორტის, რამდენადაც მშობლიური სივრციდან (გეოგრაფიულიდან თუ ინდივიდუალურიდან) "გამოსულ" გმირთა ღირებულებითი ქაოსია. ისინი დასაწყისში თითქოს ივიწყებენ ყველას და ყველაფერს, ცეკვავენ "თეთრი საცვლების გამოჩენამდე" და ავტორის პერიფრაზით რომ ვთქვათ, როდის როდის ხვდებიან, რომ "მათ ფილტვებში კოკაინი უფრო მეტია, ვიდრე ჰაერი".

ღირებულებითი ქაოსის კოსმოსად ქცევა - აი გამოსავალი, რომელიც ერთგვარი უკან-დაბრუნების მოტივით შემოდის რომანში.

ასტამური ჯერ ბავშვობის სიყვარულს - "ადამიანს, რომელზეც უარი თქვა და რომლის მსგავსადაც არავინ ჰყვარებია ქვეყანაზე" - უბრუნდება ცოლის, ნატაშას ღალატის ხარჯზე, ხოლო შემდეგ ამ პროცესს სამშობლოში დაბრუნებით ასრულებს. ანუ კლიმატურად ცივი და კომფორტულად თბილი ქვეყნიდან ისევ იქ ბრუნდება, სადაც "არც ევროპაა და არც აზია", არამედ ამ ორის ერთგვარი სამადჰი - "ევროპელებმა ნირვანა რომ უწოდეს, ქართულად კი, როგორც შერწყმას, ისე ვთარგმნით".

მოკლედ რომ ვთქვათ, წიგნის არსი მცირედ დიდაქტიკურიცაა და იმაში მდგომარეობს, რომ როგორ კარგადაც არ უნდა განისწავლოთ ორნითოლოგიაში საზღვარგარეთ (ასტამურის მსგავსად), ან კი იმუშაოთ წამყვანი ჟურნალის დიზაინერად (ნიკას მსგავსად), სანატრელად ქცეულ ისპაჰანის ბულბულების გადაფერნას მხოლოდ საკუთარ სამშობლოში თუ იხილავთ და პერსონალურ გამოფენასაც მხოლოდ იქ თუ მოიწყობთ; საზღვარგარეთ კი თურმე მხოლოდ სხვადასხვა, საქართველოში ჯერაც გაუგონარი მოსაწევი საშუალებებით აღჭურვილი "კოფი-შოპებში" დროის კვლის და ქოთან-ball-ის თამაშის მეტი ბევრი ვერაფერი ხალისი ელოდება ქართველს.

რომანი, რა თქმა უნდა, სიყვარულზეა (აბა რა რომანი იქნებოდა, სასიყვარულო სიუჟეტი რომ არ გამორეულიყო), მაგრამ ეს სიყვარული სამკუთხედშია ჩაკეტილი და ერთი დიდი ვნებათაღელვის მიზეზია.

მოქმედ გმირთა ცხოვრებაში დიდ ცვლილებებს კი პაროდიული, არარეალური სურათი უსწრებს წინ: ტატას უხსოვარ დროს საბერძნეთში გაუჩინარებული მამაც, ინდოეთისკენ გეზაღებული ნათლია ანანოც, მისი პირველი სიყვარულიც და საუკეთესო დაქალიც აქ, ამსტერდამში არიან. მოკლედ, მსოფლიოს ყველა მიმართულებით მოძრავი ქართველების ყველა გზა, ერთ დროს რომისა არ იყოს, ამჟამად ამსტერდამისკენ მიდის. ამსტერდამი ახალი რომია, ყოველ შემთხვევაში ქართველებისთვის და ახალი რომი ახალ რეალობას სთავაზობს მათ დისკოთეკად გადაკეთებული მართლმადიდებლური ეკლესიით. ახალი რეალობა ემიგრანტთა გრძელ სიასთან საკუთარი სახელის შეერთების უალტერნატივო პერსპექტივას ნიშნავს, ანუ: "სულ ერთსა და იმავეს ჰყვებოდნენ, დარდობდნენ, ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდათ და ისევ სხვა ენაზე განაგრძობდნენ ცხოვრებას." ხოლო ამ მოყოლაში კი "ინტელექტუალური სენტიმენტალიზმის" ის ნოტა სჭარბობს, რომელიც მხოლოდ "ჯილდომინიჭებული მწერლის სამადლობელო ლექციებს" სჩვევია.

სიუჟეტის ფაბულად ქცეული სასიყვარულო სამკუთხედიც, რა თქმა უნდა, გრძნობების დიდი გარდასახვის ფონზე ვითარდება. ფინალში ასტამურიც დიდი დილემის წინაშე დგება. მომაკვდავი ტატას შემყურე აცნობიერებს, რომ ვერ გაუგია რატომ არჩია მას, რომლის მსგავსადაც არავინ ჰყვარებია, "გარანტირებული ბიოლოგიური დერეფანი" - ნატაშა.

მაგრამ ავტორი ხომ მკითხველს თავისი წერის მანერით, ასე ვთქვათ, ეთამაშება. თამაში და კერძოდ, სიტყვებით თამაში კი ირონიის გარეშე წარმოუდგენელია. და ამიტომაც, ეს ასტამური არც არის ასტამური, რადგან იგი მთელი ცხოვრება სხვისი, კერძოდ კი, გარდაცვლილი ტყუპისცალის ცხოვრებით ცხოვრობს, იმდენად, რამდენადაც მის სახელს ატარებს და თავადაც ვერ გაუგია, ვინ არის: "მე დღემდე არ ვიცი, რომელი ვარ - ფარვიზი, რომელზეც ამბობენ, რომ მოკვდა, თუ ასტამური, რომელზეც ამბობენ, რომ გადარჩა." ეს გაუგებრობა არ გეგონოთ ლეონ ბლუას მიერ 1912 წელს დაფიქსირებული საკაცობრიო დილემა: "არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი კაცი, ვინც დარწმუნებით იტყვის, თუ ვინ არის იგი. ... კაცმა საკუთარი ჭეშმარიტი სახელიც კი არ იცის". არა, ეს გაუგებრობა ადამიანის ზოგადექზისტენციალური სუბსტანციალური არსის გამოხატვის ნაცვლად, უფრო კარგად ცნობილ "დიონისოს ღიმილს" ენათესავება. მოკლედ, ასტამურის ისტორია ერთი ძვირფასი თუ იაფფასიანი გაუგებრობაა, რომელსაც საფუძვლად ადამიანის მიერ საკუთარი თავის (ყაზბეგის ენაზე რომ ვთქვათ, საკუთარი "გორის") არცოდნა უდევს.

ასტამურის ისტორია მისი ცხოვრების, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, "მოხეტიალე მტრედობის" განმსაზღვრელი, ბავშვობაში თავსგადახდენილი ინციდენტით - ველური ბატების გაფრენის ნიადაგზე შეყრილი ბატონებით იწყება და სამშობლოში დაბრუნებული გმირისთვის ისევ ბატონების სახადის მოხდით სრულდება.

ანუ სრულდება ერთგვარი ციკლური წრე - ბატონებიდან ბატონებამდე, რომლის შესალოცი ლექსიც ექსკლუზიურად "ისპაჰანის ბულბულებისთვის" რატი ამაღლობელის მიერაა დაწერილი. ავადმყოფობით იკვრება ხალხური სიბრძნის ქარგაც: რაც ასნეულებს, ისვე კურნავს.

ასე და ამგვარად იფრინეს ისპაჰანის ბულბულებმა და მათმა პროტოტიპმა "მოხეტიალე მტრედებად" ქცეულმა ქართველებმაც. ნესტან კვინიკაძის მიერ შემოთავაზებული ჩიტის ეს ანალოგია ჩვენს ექს, თუ რეპატრიანტ თანამემამულეებთან მიმართებაში, ჩიტთან დაკავშირებულ იმ სიმბოლიკათა ფართო ველს უერთდება, რომელიც ნიცშეს "მორალის გენეოლოგიასა" თუ პაზოლინის "დიდი და პატარა ჩიტებს" უდევს საფუძვლად.

და ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ავტორის მხრიდან მკითხველისთვის შეგნებულად შემოჩეჩებული სიმბოლიკათა ფართო სპექტრი ხომ არ არის მინიშნება იმაზე, რომ "ახალი მორალის", იგივე ახალი ღირებულებების ფუძემდებლები ჩვენს რეალობაში ის ძლიერი ჩიტები გახდებიან, რომლებიც კომფორტულად მყუდრო, თბილი ქვეყნების მომხიბვლელობის მიუხედავად, მაინც ბრუნდებიან შინ?

# "ფრთხილად, რელიგია!"

## ამბები მოსკოვიდან

თეონა ჯაფარიძე

რუსეთში, საზოგადოების ფართო ფენებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ერთმა სასამართლო პროცესმა, რომელიც, უკვე ერთი წელია, რაც გრძელდება და ივნისის თვეში კულმინაციას მიაღწია. საქმე ეხება მოსკოვში, "სახაროვის ცენტრში" 2003 წლის 14 იანვარს გახსნილი გამოფენის დარბევას. გამოფენის სახელწოდება გახლდათ "ფრთხილად რელიგია!". საქმეს მოსკოვის ტაგანკის სარაიონო სასამართლო იძიებს. მომჩივანი მხარე მოსკოვის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან არსებული "რუსეთის ზნეობრივი აღორძინების კომიტეტია", რომელიც გამოფენის ორგანიზატორებს ბრალს სდებს "მართლმადიდებელთა რწმენის დამცირებაში, რუსული კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიური წესჩვეულებების აბუჩად აგდებაში".

სასამარლო პროცესი და თავად ეს საქმე თავისთავად მრავალ ასპექტს შეიცავს. მაგალითად, ერთ-ერთი კონკრეტული ასპექტი რეაქციული რუსეთის მიერ "სახაროვის სახელობის ცენტრისა და მუზეუმის" წინააღმდეგ მიმართული აქციაა. ცენტრი ხომ ჩეჩნეთში ომის შეჩერების ლოზუნგით გამოდიოდა. ბრალდებაში მას "მარგინალურ და ანტისაზოგადოებრივ ორგანიზაციად" მოიხსენიებენ და მის დახურვას მოითხოვენ, თანაც ცენტრს ბერეზოვსკი აფინანსებს და გასაგებია რუსი "პატრიოტების" პოზიცია. მაგრამ ჩვენ საქმის სხვა ასპექტები გვაინტერესებს; კერძოდ: **ა) თანამედროვე ხელოვნებისადმი მასების დამოკიდებულება და მათი რეაქცია** და **ბ) მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ახალი მოვლენა - ცენტრით რუსეთში**. გ) და კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ამ სასამართლო პროცესით დავინტერესდით, ის გახლავთ, რომ გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, რომლის ნამუშევარიც დარბევას შეეწირა, ქართველი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე **ილიკო ზაუტაშვილია.**

ქართველი მხატვარი დღეს გამოფენის დამცავი ორგკომიტეტის - "ხელოვნება თავისუფლების სახელით" - წევრია და საქართველოდან "ხელოვნებისა და კულტურის გლობალური კოორდინაციის ცენტრის" სახელით მოქმედებს. მისი ნაამბობის მიხედვით კი ყველაფერი ასე მომხდარა:

გამოფენაში 40-მდე მხატვარი მონაწილეობდა რუსეთიდან, ჩეხეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, კუბიდან.

ექსპონანტები გამოფენის გახსნიდან სამი დღის შემდეგ ექვსმა მართლმადიდებელმა აქტივისტმა დაარბია, რომლებიც ხულიგნობის ბრალდებით მაშინვე დააპატიმრა მოსკოვის ტაგანკის პოლიციამ. საქმე მას შემდეგ გართულდა, რაც სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტ კირილეს გამოფენის ორგანიზატორები და მხატვრები საჯაროდ დაუდანაშაულებია "მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფაში." მიტროპოლიტ კირილეს გამოსვლამ, ფაქტობრივად, რუსეთში "მართლმადიდებლური მრევლის" აგრესია ააგორა. გავრცელებულია ე.წ. "ლისტოვკები", სადაც მოითხოვენ, რომ დაისაჯონ "ნეოფაშისტთა ჯგუფის წევრები, რომლებიც თავიანთ თავს მხატვრებს უწოდებენ და დასცინიან ჯვარსა და ხატებს. რწმენის ჯალათებმა პასუხი უნდა აგონ ქრისტიანული სიმბოლიკისა



ფრაგმენტი ილია ზაუტაშვილის ფოტოტრიპტიხიდან - ყურსასმენიანი ბავშვი (ისევ მას-კულტურა, რომელიც დღეს, ლამისაა, თანამედროვე რელიგიად იქნეს მიღებული).

და მართმადიდებლური ხატების წაბილწვისათვის," - ნათქვამია მოწოდებებში. დღესდღეობით მხატვრებისა და ორგანიზატორების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე რუსეთის ფედერაციის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლის დარღვევის გამო (რაც გულისხმობს რელიგიური რწმენის შეურაცხყოფას), გამოფენის ორგანიზატორსა და სახაროვის ცენტრის დირექტორს იური სამადუროვს კი, სასამართლოს ბოლო მონაცემებით, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მაინც რას გულისხმობენ მართლმადიდებელი აქტივისტები და "რწმენის დამცველები" "**ქრისტიანული სიმბოლიკის წაბილწვაში**?" მაინც როგორ გამოიყურებოდა გამოფენაზე - **"ფრთხილად რელიგია!"** წარმოდგენილი ნამუშევრები?

"ჩემი აზრით, გამოფენაზე წარმოდგენილი არც ერთი ნამუშევარი არ იყო აგრესიული ან ირონიული. პირიქით, ეს ხელოვნების თანამედროვე ენით (ფოტო, ინსტალაცია) გადმოცემული ის ნაკლოვანებები გახლდათ, რომლებიც დღევანდელ ყოფაში და რწმენაში ასე თვალში საცემია. მაგალითად, გამოფენაზე ასეთი ნამუშევარიც იყო: შვარცნეგერის ხატად ქცევა, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს რელიგიასთან და ის მას-კულტურის გაფეტიშებაზე მიგვანიშნებს.

ჩემი ნამუშევარი ფოტოტრიპტიხი გახლდათ: ყურსასმენიანი ბავშვი (ისევ მას-კულტურა, რომელიც დღეს, ლამისაა, თანამედროვე რელიგიად იქნეს მიღებული), ფოტო, რომელზედაც გამოსახულია სამხედრო თვითმფრინავებით დასერილი ცა, (ცის მილიტარიზაცია) და ქალის შიშველი სხეული, რომელსაც სამათხოვროდ ხელი აქვს გაწვდილი (ასეთ ორმაგ სტანდარტებს ხომ ჩვენ ყოველდღე ვხვდებით: ეკლესიის სახელით მათხოვრობა, ეკლესიის სახელით პროსტიტუცია და ა. შ.). ტრიპტიხის წინ კი დანა იყო დარჭობილი, რომელსაც სიტყვა "რელიგია" ეწერა (დანა შეიძლება გამოიყენებოდეს ჩვეულებრივ ყოფაში და შეიძლება აგრესიის საგანიც გახდეს). მოსკოვის გამოფენამდე ეს ნამუშევარი ბრიუსელში, სალონიკში და ათენშიც მქონდა გამოფენილი. საბერძნეთში, რომელიც ძლიერ ორთოდოქსალურ ქვეყნად ითვლება, ამ ნამუშევარს არანაირი აგრესია არ გამოუწვევია. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან არც ერთი არ ეხებოდა მართლმადიდებლურ დოგმატს, ლიტურგიას ან რჯულის კანონს. **ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, ხელოვნების სივრცეში განგვეხილა რელიგიური ფასეულობები**" - მიამბობს ილიკო ზაუტაშვილი.

და რადგანაც რუსი და ქართველი მართლმადიდებელი აქტივისტების რეაქციები და ბრალდებები (ტრადიციებისა და რელიგიური ადათ-წესების დაცვის სახელით) მსგავსი მოვლენების მიმართ ხშირად იდენტურია და კვლავაც ცენტრიდან პროვინციისათვის ნაკარნახევ ქმედებებსა და ქცევებს მოგვაგონებს, ამიტომ მათ გასაგონად, ისევ პროგრესული რუსეთის წარმომადგენელთა რამდენიმე საინტერესო შენიშვნას შემოგთავაზებთ:

რუსი ხელოვნებათმცოდნე მიხეილ რილკინი გამოფენის დარბევას ასეთ კომენტარს უკეთებს: "თქვენ დანაშაული რელიგიის, წმინდანებისა და ღმერთის სახელით ჩაიდინეთ. გაათავისუფლეთ თქვენი ჟესტიკულაცია ამ მოტივაციებისაგან და დაარბიეთ გამოფენა მხოლოდ ძალის პრინციპით. ცოტა ხნის წინ ხომ ზუსტად ასევე იქცეოდნენ თქვენი ათეისტი წინამორბედები - ბოლშევიკები."

გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე ალინა გურევიჩი კი ამბობს: "არსებობს საზოგადოების პლასტი, რომელიც თვლის, რომ სიტყვა რელიგია პრივატიზებულია და მხოლოდ მათ ეკუთვნით. სხა ყველამ, ვინც ამ სიტყვას შეეხება, აუცილებლად თავი უნდა დახაროს მის წინაშე"

"სინდისის თავისუფლებამ (ანუ არჩევანმა, რომელ ეკლესიას, რწმენას მიაკუთვნოს თავი), ადამიანი შეიძლება, ერთი მხრივ, სულიერების სიღრმემდე, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა სხვაგვარად მორწმუნეებისა და სხვაგვარად მოაზროვნეების ვერატანამდე, ანუ რელიგიურ ფანატიზმამდე მიიყვანოს." - ეს გახლავთ ნაწყვეტი გამოფენის პრესრელიზიდან.

**P.S.** გამოფენის ორგანიზატორებისა და მხატვრების დასაცავად დასავლელი სამართალდამცველებისა თუ არტკრიტიკოსების მოძრაობა დაიწყო. მათ თქვენც შეგიძლიათ შეუერთდეთ შემდეგ მისამართზე: artforfreedom@yahoo.com

## მარო მაჩხაანელის კუთხე



# რაგუნატი

- ჰენც! ჰენც! - ყვიროდა გოგიას ბიჭი ჭანჭიკა, მაგრამ გამოქცევა არც უცდია, დინჯად მოდიოდა, თან თეთრი პერანგის სახელოთი შუბლიდან ოფლსა და ჭუჭყს იწმენდდა.

- რა ჰენც, მხარზე მომხვდა, - ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ჩიკორამ.

მე, რა თქმა უნდა, კარში ვიდექი - მაშინ გოგოებს ბეკადაც არავინ დაგვაყენებდა - და კამათში ჩარევას არც ვაპირებდი. ვიცოდი, ბიჭები, ბოლოს და ბოლოს, მორიგდებოდნენ. უმსაჯოდ და უყველაფროდ.

ახლა სხვა დროა. ახლა, როცა დიდ, ძალიან დიდ ფულზეა თამაში, ვერც ეგრე იოლად მორიგდებიან და ვერც უმსაჯობა იქნება. უმსაჯობა კი არა, ჰოკეიში, კალათბურთში და კიდევ ზოგიერთ თამაშში რამდენიმე მსაჯია, გოლი, ესე იგი, შაიბა გავიდა თუ არა, ტექნიკა წყვეტს, რაგბიში ყოველ სადავო სიტუაციას ვიდეოს დახმარებით რაღაც კოლეგია განიხილავს. ტანვარჯიშს, წყალში ხტომასა და კიდევ ბევრ სახეობას, სულ ცოტა, ექვსი მსაჯი უთვალთვალებს. ისეთი სახეობებიც არის, მსაჯიც არ სჭირდებათ, სულ ტექნიკა აგებს პასუხს ყველაფერზე...

ეს ერთი თამაშიღა დარჩა, სადაც ერთი კაცის ხოშზეა დამოკიდებული ჯარიმაც, აუტიც, ფერადი ბარათების ჩვენებაც და, პანალტს ვინ ჩივის, გოლის ჩათვლა-არჩათვლაც კი.

ინგლისელებმა კი გამოიგონეს, მაგრამ ნაღდად პლებეების თამაშია. ფეხბურთს, უფრო ზუსტად, ფეხბურთის მსაჯობასა და მსაჯებს რომ ვუყურებ, ავარა ხომ გახსოვთ, რაჯ კაპური და რიტა, სუდია რაგუნატიც გეხსომებათ. დღეს ყველა თუ არა, ყოველი მეორე მაინც სუდია რაგუნატია. თბილისის "დინამოს" სტადიონზე, თუ არ ვცდები, ბერიას სახელობისა იყო, თურმე ავყია მსაჯებს კარგა ხანს ეძახდნენ - სუდია რაგუნატ! არა, ცხადია, სხვა რამეებსაც ეძახდნენ. აბა, ერთი მითხარით, რომელ სახეობაში ნახავთ ეგეთ თაიგულს - "სუდიუ ნა მილო", "სუდია ბალაკინ", "სუდია ცაპოვეცკი". ამ ბოლო დროს კი საერთოდაც გაუშინაურდნენ მსაჯებს - თუ წინაპრების გახსენებითა და "პედერასტოს" ძახილით დაკმაყოფილდნენ, ხომ კარგი, თუ არადა, გაიგდებენ ფეხქვეშ შავებში კოპწიად გამოწყობილ ამ თქვენს სუდიას და...

არა, ხომ ვამბობ, პლებეების თამაშია-მეთქი.

აი, ასე უსირცხვილოდ, მილიონი მაყურებლის წინაშე, კიტრიაო, იტყვის შავი კაცი და, თუ გინდა, გასკდი გულზე. აღარც ვიდეოზე რამდენჯერმე გამეორება შველის საქმეს და აღარც მაყურებლის აღშფოთება.

ამან უნდა თქვას, მერე რა, რომ შავები აცვია, სწორედ ამან უნდა თქვას, კაცი ვარო.

საქართველოშიც კი გადაწყვიტეს, ქვეყანაში, ღერი ულვაში რომ სამართლის მაგივრობას სწევდა, რომ დღევანდელ ამ ჩვენს სინდის-ნამუსით სავსე მოსამართლეებს ნაფიც მსაჯულთა გუნდი შეაშველონ.

ეს ფეხბურთი რა გახდა! ლამის დავიჯერო ჩემი მეზობლის, ზურას ნათქვამი, ყველაფერი იქ, სულ თავში წყდებაო. ვინ მოიგოს, ვინ წააგოს, ფრე ვინ უნდა ითამაშოს და ჩემპიონიც წინასწარ ჰყავთ დანიშნულიო.

ტოტალიზატორი და ტატოშნიკები უძახე და, მართალია ეს ხალხი. ერთს ხელით გატანილ გოლს უთვლიან, მეორეს თავით გატანილს - არა. იმის გარკვევას რაღა უნდა, შიგ იყო თუ არა. მე ამ ჩემი დასაბრმავებელი თვალით დავინახე, შიგ რომ იყო. ქალობას გეფიცებით, დავინახე და ისიც დავინახე, როგორ გამოიღო და მერე მიამიტი თვალებით იყურებოდა სუდიასკენ. ფრანგებზე და იმათ მეკარეზე, ბარტეზი როა, იმაზე და ბერძნებთან თამაშზე გიყვებით. არადა, ეგეთი რამდენი იყო!

არა, ძმებო და დებო, ხომ ამბობენ, ქალებმა უწესო, დაუნდობელი ჩხუბი იციოთ. ეგეთი უწესო და დაუნდობელი, ფეხბურთის მსაჯები რომ არიან, არც არავინ მინახავს და არც არსად გამიგონია. დავიჯერო კი არა, ამ ჩემპიონატის შემყურე, ლამის უკვე მჯერა, რომ იქ, ზევით, როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ საქმეებს.

ატრიალებენ და ატრიალებენ, ჯანდაბას მაგათი თავი, მე ამ ჩვენი ხალხისა მიკვირს, როგორ ასულელებინებენ თავს. რას გადააკვდნენ ამ მართლა პლებეების თამაშს. ა, ძმაო, ჩოგბურთი. გინახავთ ან გაგიგონიათ, ვინმე ვინმეს დაუწვაო? ახლა მსაჯები? თუ ცოტა ეჭვი შეეპარა, ჩამოვა იმ თავისი კოშკიდან, მივა ბურთის დაცემის ადგილზე და ან დაადასტურებს თავის ნათქვამს, ან შეცვლის.

არა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, იმ დაჩამიჩებული ბარტეზისა და მელოტი ზიდანის ყურებას, ბოლოს და ბოლოს, კაცები ხართ, იმ ლერწამივით გოგოს ყურება, შარაპოვაზე გეუბნებით, არ გირჩევნიათ? ანდა, ეს ივანისევიჩი, შეხედავ, კაცია, ან ეს ავსტრალიელი ბიჭი, ჰიუიტი, თვალებიდან რომ სულ ნაპერწკლები სცვივა. ეეჰ, დაკარგა ხალხმა გემოვნება...

და განა მარტო გემოვნება. ძალიან მაინტერესებს, ამ უნამუსობის ცქერას კიდევ დიდხანს აპირებთ? თქვენი ბავშვობა მაინც არ გახსოვთ? თქვენც ხომ გყავდათ თქვენი ჭანჭიკა და თქვენი ჩიკორა.

- პენალია, ძმაო! - იტყოდა ვინმე და მერე რამდენიმე ბიჭი ყოველგვარი რაგუნატების გარეშე სამართლიანად გადაწყვეტდით - იყო პენალი თუ არა.

არ ვიცი, ერთთავად კარში კი ვიდექი - გოგოს წინ ვინ მათამაშებდა - მაგრამ ჩვენ უბანში ეგრე წყდებოდა საქმეები.

მარო მაჩხაანელის ყმაწვილქალობას გეფიცებით, ეგრე იყო.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 29 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: უილის რიდი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1976. ყველა ვარსკვლავთა მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ვერდერი"
15:00 "წვრილმანები". "ალანია" შეკრებაზე
15:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "სპარტაკი" - "რეალი"
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ინტერი"
19:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "ბოლტონი"
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "პანათინაიკოსი"
23:20 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" - "ბარსელონა"
01:05 ფუტზალი. ევროპის თასების თასი ესპანეთში
02:05 02:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1976. ყველა ვარსკვლავთა მატჩი

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 16:40, 22:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
14:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
15:05 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. ნაწილი მეორე
16:05 "ნადირობის სეზონი"
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "ბილიარდის მეუფენი"
23:00 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
23:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
01:15 ახალი ამბები
01:30 "დიდი თავგადასავალი ბორნეოზე". ნაწილი პირველი

**EUROSPORT**

10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური პუერტო-რიკოში
13:30 მძლეოსნობა. გრან-პრი ჩეხეთში
15:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
17:00 კრივი
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
19:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
20:00 მძლეოსნობა. გრან-პრი ჩეხეთში
21:45 ფეხბურთის სიახლენი
22:00 მძლეოსნობა. გრან-პრი ხორვატიაში
00:00 კრივი
01:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. სერიები აშშ-ში
03:45 ინდიკარის ავტორბოლები. სერიები აშშ-ში
04:15 ახალი ამბები

## EURO-2004



# თქვენ იმედი გაგვიცრუეთ!

### პორტუგალიაში ვარსკვლავები ცვივა








*ევროპის ჩემპიონატის ანტიგმირები: ტოტი, ბექჰემი, რაული, ვიერი, ანრი, მოსტოვოი.*

*დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნების ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონატს გამოემშვიდობნენ. იტალია, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი - მათ ისღა დარჩენიათ, თვალი ადევნონ ყოფილ მეტოქეთა თამაშებს. ის, რომ ფავორიტებმა კრახი განიცადეს, ამ გუნდების კაშკაში ვარსკვლავების ბრალიცაა. "24 საათი" წარმოგიდგენთ იმ ფეხბურთელთა სიას, ვინც ყველაზე მეტად გაგვიცრუა იმედი.*

**ფრანჩესკო ტოტი (იტალია)**

სერია A-ს გასულ სეზონში "რომას" ლიდერმა 20 გოლი გაიტანა, თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე ის თავის აჩრდილს ჰგავდა. ტურნირი მისთვის იტალიის ნაკრების პირველივე მატჩის შემდეგ დასრულდა. დანიელი კრისტიან პოულსენის შეფურთხებისთვის ტოტის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მართალია, ნახევარფინალში ის შეძლებდა მოედანზე დაბრუნებას, მაგრამ ამაში მას თანაგუნდელთა დახმარებაც სჭირდებოდა. თანაგუნდელებმა კი ისე ითამაშეს, რომ იტალიის ნაკრები ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე გამოეთიშა ასპარეზობას. თუმცა, ამ წარუმატებლობაში ტოტის წვლილიც ძალიან დიდია - თავისი უღირსი საქციელით მან გასაჭირში დატოვა თავისი გუნდი.

**დევიდ ბექჰემი (ინგლისი)**

ინგლისელთა კაპიტანს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, თუმცა, ოთხივე მატჩში ის მეტისმეტად მიჯაჭვული იყო თავის საყვარელ მარჯვენა ფლანგს. ამის შედეგი კი ის იყო, რომ თითქმის ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა თამაშის მსვლელობაზე. გამოვიდა, რომ თანაგუნდელები "მიათრევდნენ" ბექჰემს. ოთხი მატჩში ბექჰემმა 8-ჯერ დაარტყა მეტოქის კარში და მხოლოდ ორი დარტყმა მოუმზადა პარტნიორებს. სტანდარტულ სიტუაციებში ბექჰემი ვერავითარ ხიფათს ვერ უქმნიდა მეტოქეებს. მას ორჯერ მიეცა პენალტის დარტყმის საშუალება და ეს შანსი ვერც ერთხელ ვერ გამოიყენა. საფრანგეთის წინააღმდეგ მატჩში დანიშნული პენალტი ფაბიენ ბარტეზმა მოიგერია, ხოლო პორტუგალიასთან მეოთხედფინალურ მატჩში, პენალტების სერიაში, ბექჰემმა ლისაბონის ცას აზიარა ბურთი. ინგლისი ევროპის ჩემპიონატს გამოეთიშა და, ისე როგორც სხვა დიდ ტურნირებში, აქაც დიდია ბექჰემის დამსახურება.

**რაული (ესპანეთი)**

რაული არც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ბრწყინავდა და ვერც ამ ტურნირზე გამოიჩინა თავი. გასული სეზონის 35 მატჩში მან მხოლოდ 11 გოლი გაიტანა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს ყველაზე ცუდი შედეგია რაულისთვის. წარუმატებლობების სერია ევროპის ჩემპიონატზეც გაგრძელდა. სამ მატჩში მან შვიდჯერ დაარტყა, თუმცა, გოლის გატანა... მშობლიურმა პრესამ რაული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ფეხბურთელი, რომელიც აქამდე ლამის ეროვნულ გმირად იყო მონათლული, ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხის მთავარ დამნაშავედ გამოაცხადეს. ესპანურმა პრესამ სწორედ რაული და მწვრთნელი ინიაკი საესი აქცია განტევების ვაცად. ჟურნალ "მარკას" მიერ მოწყობილ გამოკითხვაში რესპონდენტთა 84-მა პროცენტმა რაული დაადანაშაულა ესპანელთა დამარცხებაში.

**კრისტიან ვიერი (იტალია)**

იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა აურაცხელი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან. 30 წლის ვიერი თავით ძლიერი თამაშით არის ცნობილი, თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე ვიერიმ ვერც თავით ითამაშა და ვერც ფეხით. იმის ნაცვლად, რომ თავისი შესაძლებლობები საფეხბურთო მინდორზე გამოევლინებინა, ვიერიმ პრესასთან პაექრობა გადაწყვიტა და ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს საქმეც გაურჩია. "როგორც ფეხბურთელს, შეგიძლიათ, ყველაფერი მითხრათ, მაგრამ არავის აქვს უფლება, ჩემს ადამიანობაზე ისაუბროს, რადგან მე ბევრად უფრო დიდი ადამიანი ვარ, ვიდრე თქვენ, ყველა ერთად. დილით რომ ავდგები, შემიძლია, სარკეში ჩავიხედო, თქვენ კი - არა, რადგან ნამუსი არ გაქვთ. ბასტა!" - უთხრა მან ჟურნალისტებს. ალბათ, ეს მონოლოგი ერთადერთი რამაა, რითაც ამ ჩემპიონატზე კრისტიან ვიერიმ დაგვამახსოვრა თავი.

**ტიერი ანრი (საფრანგეთი)**

ლონდონის "არსენალის" ფრანგმა თავდამსხმელმა ევროპის ჩემპიონატზე ორი გოლი გაიტანა და ერთი პენალტი "აიკიდა", თუმცა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელისგან ყველანი მეტს მოველოდით. საბერძნეთის წინააღმდეგ მეოთხედფინალურ მატჩში ანრი ისევე სწრაფად მოქმედებდა, როგორც ლოკოკინა. მისგან და მისი პარტნიორი ტრეზეგესგან ბერძნების კარს არავითარი ხიფათი არ ემუქრებოდა და, ცხადია, საფრანგეთის დამარცხებაში ანრის დიდი დანაშაულიც არის. 26 წლის თავდამსხმელს სამშობლოში მკაცრად აკრიტიკებენ, ის კი თვითკმაყოფილებით აღსავსე პასუხობს: "რომელი ვარსკვლავი დაინახეთ ევროპის ჩემპიონატზე? ალბათ, მხოლოდ უეინ რუნი, სხვა არავინ. მე ორი გოლი გავიტანე და ეს საკმარისია".

**ალექსანდრ მოსტოვოი (რუსეთი)**

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი რუსეთის ნაკრების არაჩვეულებრივი ნახევარმცველის კარიერის უკანასკნელი დიდი ტურნირი იყო. ყველა ელოდა, რომ მოსტოვოი კარგი თამაშით გამოემშვიდობებოდა დიდ ფეხბურთს. თუმცა, 35 წლის ნახევარმცველი ბევრად უფრო მალე აღმოჩნდა სამშობლოში, ვიდრე რუსი გულშემატკივრების მიერ თავ-თავიანთ ოჯახებში გაგზავნილი საფოსტო ბარათები. ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ პირველ მატჩში მოსტოვოი სრულიად შეუმჩნეველი იყო და მეტოქის კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამს. შემდეგ მან გიორგი იარცევის სამწვრთნელო მეთოდები გააკრიტიკა. იარცევმა კი მოსტოვოი გუნდიდან გააგდო. მოსტოვოის გარეშე დარჩენილმა რუსეთის ნაკრებმა დანარჩენი მატჩები უკეთესად ჩაატარა და სწორედ მის გარეშე დაამარცხა საბერძნეთი.

# რეჰაგელის ბერძნული სასწაული



*"მეფე ოტომ" ბერძნული მითები რეალობად აქცია.*

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ამ ტურნირის მონაწილე გუნდები ფავორიტებად, საშუალო დონის გუნდებად და აუტსაიდერებად დაყვეს. საბერძნეთის ნაკრებიც ამ უკანასკნელთა შორის სახელდებოდა. მაშინ, როდესაც ეგრეთ წოდებული ფავორიტები: იტალია, ინგლისი, ესპანეთი და საფრანგეთი შინ გაემგზავრნენ, საბერძნეთის ნაკრები სასწაულებს ახდენს და უკვე ნახევარფინალური მატჩის მოლოდინშია. როგორც არ უნდა დასრულდეს ჩეხების წინააღმდეგ მომავალი შეხვედრა, საბერძნეთის ეს ნაკრები უკვე შევიდა ქვეყნის ისტორიაში. ამ ფეხბურთელებს და ამ მწვრთნელს უკვე აღარავინ დაივიწყებს. გერმანელი ოტო რეჰაგელის ძეგლი კი ათენს დაამშვენებს. ქვეყნის მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეჰაგელს ძეგლი დაუდგან.

ოტო და მისი ბიჭები თბილისშიც გვესტუმრებიან და ათენშიც გვიმასპინძლებენ - საბერძნეთის ნაკრები ხომ ჩვენი მეტოქეა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში. თუმცა, სანამ ჩვენი მატჩი შედგება, ალბათ, ჯობს, ოტო რეჰაგელის სიხარული გავიზიაროთ - მან და მისმა გუნდმა ხომ საქართველოშიც ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინა.

**- საბერძნეთმა სენსაცია მოახდინა და ტურნირის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი - საფრანგეთის ნაკრები გამოთიშა ასპარეზობას. რას ნიშნავს ეს გამარჯვება იმ ქვეყნისთვის, რომელიც სულ ცოტა ხანში ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს?**

- ჩვენი წარმატების ამბავმა მთელი მსოფლიო შემოიარა. ამის შესახებ ყველამ შეიტყო, რიო დე ჟანეიროში, ნიუ იორკში, ტოკიოში... ჩვენ შესანიშნავად გამოვიყენეთ აუტსაიდერის პოზიცია.

**- წინ ნახევარფინალი გაქვთ. ჩეხეთის წინააღმდეგ მატჩშიც გამარჯვებას ხომ არ გეგმავთ?**

- ამ წუთში ჩვენ იმით ვართ ბედნიერი, რომ მომდევნო მატჩში თამაშის შესაძლებლობა მოგვეცა.

**- რა ტაქტიკით მოახერხეთ საფრანგეთის დამარცხება?**

- სტრატეგიაზე არაფერს ვიტყვი. ხომ არ შეიძლება, საკუთარი კარტი სხვების დასანახად მაგიდაზე დადო? მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ფრანგებს ჩვენ შევთავაზეთ ის, რის შესახებაც მათ აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ჩვენ უფრო ახლოს ვეთამაშეთ მათ. შევეცადეთ, გამარჯვების დიდი სურვილით, თავდადებითა და მონდომებით მოგვეხერხებინა შეუძლებელი. ჩემმა ბიჭებმა მოგება დაიმსახურეს.

**- იმანაც ხომ ითამაშა თავისი როლი, რომ საფრანგეთი ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე?**

- არის ასეთი გამოთქმა: თამაში მხოლოდ ისე შეიძლება, როგორც ამის საშუალებას მოწინააღმდეგე გაძლევს. ჩვენ საშუალება არ მივეცით ფრანგებს, უკეთ ეთამაშათ.

**- ამ წარმოუდგენელმა გამარჯვებამ მთელი საბერძნეთი თავდაყირა დააყენა.**

- ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მათ უკვე ევროპის ჩემპიონობა სურთ, ხოლო წაგების შემთხვევაში მზად არიან, ზღვაში დაიხრჩონ თავი. ის, რასაც უკვე მივაღწიეთ, სასწაულია ბერძენი ხალხისთვის. ჩვენ უნდა გვიხაროდეს ეს გამარჯვება, მაგრამ აქვე იმასაც გეტყვით, რომ მიწაზე უნდა დავრჩეთ და ილუზიებს არ უნდა მივეცეთ.

**- როგორ მოახერხეთ, რომ საშუალო დონის ინდივიდუალისტებისგან ძლიერი კოლექტივი შეგექმნათ?**

- გერმანიაში ბევრი ფიქრობდა, რომ საბერძნეთში მხოლოდ დროგამოშვებით ჩავდიოდი და არცთუ ისე დიდი მონდომებით ვმუშაობდი. ეს არ არის სწორი. მთელი სამი წლის განმავლობაში მე და ჩემი ასისტენტი დღედაღამ ვმუშაობდით.

**- რა მეთოდით მუშაობთ? გერმანელებისთვის დამახასიათებელ დისციპლინას, ალბათ, დიდ ყურადღებას უთმობთ.**

- მე მათ ვუთხარი, რომ 30-კაციან კოლექტივთან მუშაობისას ვერ დავუშვებ, ყველამ ის აკეთოს, რაც მოესურვება. ბერძენი ფეხბურთელები ყოველთვის დიდი ინდივიდუალისტები იყვნენ. ადრე ყველა იმას აკეთებდა, რაც თვითონ უნდოდა. ახლა კი ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია. მე შევეცადე, რომ მათ გუნდური სულისკვეთება გასჩენოდათ.

**- რუდი ფიოლერის გადადგომის შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე თქვენს კანდიდატურასაც განიხილავენ. არ გინდათ გერმანიის ნაკრებში მუშაობა?**

- მე უკვე განვაცხადე, რომ ამ თემასთან დაკავშირებით არაფერს ვიტყოდი, სანამ რუდის არ დაველაპარაკები. ზოგიერთებმა უკვე დაწერეს, რომ მე უარი განვაცხადე, მაგრამ მე ჯერ არავისთან არაფერი მითქვამს. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ამ შემთხვევაში ემოციური ინტელექტის გამოჩენაა საჭირო. ეს ჩემი საყვარელი სიტყვაა, ადრე მეც ხომ ვულკანი ვიყავი...

ჩოგბურთი

# გოგო-ბიჭები და რენას თასი

გიგა გურასაშვილი

*წელიწადის ამ დროს "დინამოს" კორტებზე განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა. ასეა 1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც სახელოვანი მწვრთნელისა და ჩოგბურთელის რენა აბჟანდაძის სახელობის თასი თამაშდება. ტურნირი ტრადიციულია და იგი საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელებს უყრის თავს. ერთი სიტყვით, 21-27 ივნისს "დინამოს" ჩოგბურთის კორტებმა "რენას თასს" უმასპინძლა. ტურნირში 150 ახალგაზრდა მონაწილეობდა, თუმცა, საკუთარი ძალები 60-მდე მოყვარულმაც მოსინჯა.*



ვახო ბესელიას ფოტო

*რენა აბჟანდაძის სახელობის ტურნირის გამარჯვებულები პრიზებით ხელში*

რით განსხვავდება "რენას თასი"-2004 წინამორბედებისგან? წლეულს პირველად მოეწყო შეჯიბრებები წყვილთა თანრიგში. გარდა ამისა, თვალშისაცემი გამოდგა შეჯიბრების სპონსორთა რაოდენობაც - რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცენატი ანზორ კიკალიშვილი, "ჯეოსელი, "შერატონ მეტეხი პალასი", "ალდაგი", "საქართველოს ბანკი", "თელასი", მაკა ასათიანი, ბორჯომი", "ყაზბეგი", "სამგორი", "თბილღვინო", "მაკდონალდსი", "ლიპტონი", "ნესტლე", "პეპსი", "დიროლი", "სვოჩი", "უილსონი"; ფასდაკლების ბარათების ფირმა "ზებრა"; თბილისის მერიის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახური და ჩოგბურთის ფედერაცია.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს, თეიმურაზ კაკულიას თქმით, "ტურნირში კარგი ბავშვები მონაწილეობდნენ, მაგრამ ცუდია ის, რომ ისინი ცოტანი იყვნენ. ამიტომ ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. ამ ბავშვებმა რომ დიდი ჩოგბურთი ითამაშონ, მთლიანად სისტემაა შესაცვლელი. პრობლემა ის არის, რომ ბევრ მშობელს არა აქვს საშუალება, ოთხი-ხუთი საათით ავარჯიშოს ბავშვი. ამის გამო ძალზე ცოტანი აგრძელებს კორტებზე სიარულს. 16 წლამდელთა შორის რვა ბავშვიც კი არ იკრიბება ხოლმე. ერთი სიტყვით, მცირეა იმის ალბათობა, რომ დიდ შედეგებზე ვიფიქროთ".

ძნელია, არ დაეთანხმო ამ სიტყვების ავტორს. ბევრზე გვსმენია, პერსპექტიული ბავშვი იყო და ნეტა რა მოუვიდა, სად დაიკარგაო. მიზეზი მარტივია: განვითარებისთვის საჭირო პირობების არარსებობა. "რენას თასზეც" გამოჩნდა რამდენიმე ჩოგბურთელი, რომელსაც განვითარებისთვის უცხო კლიმატი სჭირდება - ის, რაც საჭირო იყო, უკვე ისწავლეს და ახლა, დიდ ჩოგბურთელობაზე რომ იფიქრონ, უცხოეთში წასვლა და იქ დაოსტატებაა საჭირო. ერთ-ერთი ასეთია სალომე ჩაჩქუნაშვილი, რომელმაც 16 წლამდელთა ფინალში თანაკლუბელ მარია ოსაძეს სძლია - 6:2; 6:1. ისინი წლეულს საქართველოს პირველობაზეც შეხვდნენ ერთმანეთს. ის ორთაბრძოლაც ჩაჩქუნაშვილის გამარჯვებით დასრულდა.

შარშან, ამავე გათამაშებაზე, ჩაჩქუნაშვილმა 14 წლამდელებში მეორე ადგილი დაიკავა, წლეულს კი პირველობა და "რენას თასი" დაისაკუთრა. წლეულსვე საქართველოს სამ მნიშვნელოვან ტურნირზე საუკეთესო შედეგების ჩვენებით ამავე ასაკის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება მოიპოვა. ევროპის ჩემპიონატს ბელგია უმასპინძლებს. ერთეულებში გამარჯვების შემდეგ ჩაჩქუნაშვილმა წყვილთა თანრიგშიც იყოჩაღა. ლაგვილავა-კუპრეიშვილის წინააღმდეგ მეწყვილედ ყოფილი მეტოქე მარია ოსაძე ჰყავდა. ოსაძე და ჩაჩქუნაშვილი სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები არიან. მხოლოდ მწვრთნელები ჰყავთ სხვადასხვა. "რენას თასის" გამარჯვებულს მიხეილ ბუთხუზი - რენა აბჟანდაძის აღზრდილი წვრთნის.

თასის გათამაშების დასკვნითი დღე უფრო ხალხმრავალი გამოდგა. თუ წინა დღის ასპარეზობებს რამდენიმე ათეული გულშემატკივარი ადევნებდა თვალყურს, კვირას, გათამაშების ბოლო დღეს, სამასამდე გულშემატკივარმა თუ ტურნირის საპატიო სტუმარმა მოიყარა თავი. ერთი სიტყვით, ბოლო დღის შეჯიბრება უფრო აზარტული გამოდგა. ვგულისხმობთ ვაჟთა ფინალს, სადაც ნოდარ ქარჩაიძე და ნიკა ქურდაძე არკვევდნენ ურთიერთობას. მათი დაპირისპირება იმდენად უშეღავათო გამოდგა, რომ რამდენჯერმე ბურთიც გაუსკდათ. ქურდაძემ გაიმარჯვა. მანამდე კი ერთეულთა თანრიგში მეტოქეები დაზავდნენ და წყვილებში გაიმარჯვეს.

# შარაპოვა მეოთხედფინალშია



REUTERS

*მარია შარაპოვა პირველი რუსი ჩოგბურთელია, რომელიც 17 წლის ასაკში უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.*

ტყუილად როდი ამბობდა ჟიუსტინ ენინ-არდენი, "რუსები მოდიანო". 17 წლის მარია შარაპოვა უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. გუშინ მან ორ სეტში დაამარცხა ანასტასია მისკინას მძლეველი ემი ფრეზერი. საინტერესოა, რომ ამერიკელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყო, როგორც პირველ, ისე მეორე სეტში, მაგრამ უამრავი ორმაგი შეცდომა უარყოფითად აისახა მის თამაშზე და საბოლოო შედეგზეც.

პირველ სეტში ფრეზერი - 4:3 იგებდა და გეიმ-პოინტიც ჰქონდა. თუმცა, შარაპოვამ გადამწყვეტი ბურთი მოიგო და ამის შემდეგ ზედიზედ სამი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სეტ-ბოლზე კი ფრეზერმა ორმაგი შეცდომა დაუშვა და პარტია წააგო.

სიტუაცია მეორე სეტშიც განმეორდა. ფრეზერი თავის მოწოდებაზე - 5:4 იგებდა, მაგრამ როცა შარაპოვას ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ფრეზერმა ისევ ორმაგი შეცდომა დაუშვა. შარაპოვამ ზედიზედ ორი გეიმი მოიგო. საინტერესოა, რომ გადამწყვეტ გეიმში ამერიკელმა კვლავ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 7) - კარლოს მოია (ესპანეთი, 9) | 6:4, 6:2, 4:6, 7:6 (7:3) |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 6:3, 7:6 (7:3), 7:6 (7:5) |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 10) - რობი ჯინეპრი (აშშ, 27) | 6:2, 6:2, 7:6 (7:4) |
| სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 12) - ვინსენტ სპადეა (აშშ, 30) | 6:2, 7:5, 3:6, 6:2 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - ხავიერ მალისე (ბელგია) | 7:5, 3:1 |
| | მალისემ თამაში შეწყვიტა. |
| ფლორიან მაიერი (გერმანია) - იოაკიმ იოჰანსონი (შვედეთი) | 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:4 |
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - ალექსანდრ პოპი (გერმანია) | 7:5, 6:4, 6:4 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 5) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 11) | 6:2, 7:5, 6:7 (3:7), 7:6 (7:5) |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 12) | 6:4, 6:4 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 13) - ემი ფრეზერი (აშშ, 31) | 6:4, 7:5 |
| ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) - ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) | 6:3, 2:6, 6:3 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია, 14) - ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) | 2:6, 6:4, 7:5 |
| აი სუგიამა (იაპონია, 14) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) | 6:3, 7:5 |
| კაროლინა სპრემი (ხორვატია) - მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 21) | 6:4, 6:4 |

აღსანიშნავია, რომ შარაპოვა პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში. მანამდე ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელის ყველაზე დიდი მიღწევა უიმბლდონის ტურნირის მერვედფინალი იყო, რომელშიც ჩოგბურთელი შარშან, 2003 წელს გავიდა. მეოთხედფინალში შარაპოვა შეხვდება იაპონელ აი სუგიამას, რომელმაც ორ სეტში - 6:3, 7:5 დაამარცხა ტამარინ ტანასუგარნი. აღსანიშნავია, რომ სუგიამა პირველი აზიელია, ვინც 1997 წლის შემდეგ უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

# კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 29 ივნისისთვის და მათი პროგნოზები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქალაქი | ქ | პროგნოზი ფინალისტები | | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 119 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 2. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 3. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 110 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 4. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 108 | საფრანგეთი | ჰოლანდია | საფრანგეთი |
| 5. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | თბილისი | 106 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 6-8. | დარჯანია გიორგი რევაზის ძე | თბილისი | 104 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 6-8. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 104 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 6-8. | ონიანი დავით როლანდის ძე | თბილისი | 104 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 9. | ფილია ვიქტორ ანზორის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 10-13. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 100 | ჩეხეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 10-13. | გელაძე გელა ტარიელის ძე | თბილისი | 100 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 10-13. | დოლიძე დავით პაატას ძე | თბილისი | 100 | ჰოლანდია | იტალია | იტალია |
| 10-13. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 100 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 14-20. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | თბილისი | 99 | ბულგარეთი | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 14-20. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | ქუთაისი | 99 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 14-20. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | თბილისი | 99 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 14-20. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 99 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 14-20. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 99 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 14-20. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | თბილისი | 99 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 14-20. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 99 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 21-25. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 98 | საფრანგეთი | ჩეხეთი | საფრანგეთი |
| 21-25. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 21-25. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 98 | საფრანგეთი | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 21-25. | ჩარგაზია კოტე გიორგის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 21-25. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 98 | ესპანეთი | პორტუგალია | ესპანეთი |
| 26-27. | ახობაძე დავით მურმანის ძე | თბილისი | 97 | ჰოლანდია | ჩეხეთი | ჰოლანდია |
| 26-27. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | თბილისი | 97 | ჰოლანდია | საფრანგეთი | ჰოლანდია |
| 28. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | თბილისი | 96 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 29-33. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 95 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 29-33. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 95 | ინგლისი | პორტუგალია | ინგლისი |
| 29-33. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | ბათუმი | 95 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 29-33. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 95 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 29-33. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 95 | ინგლისი | ჰოლანდია | ინგლისი |
| 34-41. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 94 | ინგლისი | ჩეხეთი | ინგლისი |
| 34-41. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 94 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 34-41. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 94 | ჩეხეთი | ჰოლანდია | ჩეხეთი |
| 34-41. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 94 | იტალია | ესპანეთი | იტალია |
| 34-41. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | თბილისი | 94 | ჩეხეთი | იტალია | იტალია |
| 34-41. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | თბილისი | 94 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 34-41. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | თბილისი | 94 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 34-41. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | თბილისი | 94 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 42-50. | გიორგი უშვერიძე თამაზის ძე | თბილისი | 93 | იტალია | ჩეხეთი | იტალია |
| 42-50. | იმნაიშვილი ია ზაზას ასული | თბილისი | 93 | ესპანეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 42-50. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 93 | ჩეხეთი | საფრანგეთი | ჩეხეთი |
| 42-50. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 93 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 42-50. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | თბილისი | 93 | ჰოლანდია | იტალია | იტალია |
| 42-50. | უშვერიძე გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 93 | იტალია | ჩეხეთი | იტალია |
| 42-50. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | თბილისი | 93 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 42-50. | წირქვაძე გიორგი ბიძინას ძე | თბილისი | 93 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 42-50. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 93 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 51-56. | ბერიძე თორნიკე მუხრანის ძე | თბილისი | 92 | იტალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 51-56. | თევდორაშვილი ალექსანდრე ავთანდილის ძე | თბილისი | 92 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 51-56. | მეტრეველი გიორგი ზაურის ძე | თბილისი | 92 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 51-56. | სულთანოვი მიხეილ ნურის ძე | თბილისი | 92 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 51-56. | ძურძუკი ვოვა სერგოს ძე | თბილისი | 92 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 51-56. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 92 | ჩეხეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 57-59. | თაყნიაშვილი დავით თამაზის ძე | თბილისი | 90 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 57-59. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 90 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 57-59. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | თბილისი | 90 | საფრანგეთი | იტალია | საფრანგეთი |
| 60-77. | აიდოევი ზვიად შალვას ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 60-77. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 60-77. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 60-77. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 89 | იტალია | ესპანეთი | იტალია |
| 60-77. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | თბილისი | 89 | საფრანგეთი | ჩეხეთი | საფრანგეთი |
| 60-77. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 89 | საფრანგეთი | ჰოლანდია | საფრანგეთი |
| 60-77. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | თბილისი | 89 | საფრანგეთი | ესპანეთი | საფრანგეთი |
| 60-77. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | თბილისი | 89 | იტალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 60-77. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | თბილისი | 89 | ჩეხეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 60-77. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 89 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 60-77. | ისმაილოვი რუსლან ნიაზის ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 60-77. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 89 | იტალია | ინგლისი | იტალია |
| 60-77. | მელაშვილი დავით დიმიტრის ძე | თბილისი | 89 | ინგლისი | ჰოლანდია | ინგლისი |
| 60-77. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 60-77. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | თბილისი | 89 | საფრანგეთი | იტალია | საფრანგეთი |
| 60-77. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | თბილისი | 89 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 60-77. | ცხაკაია რეზო ვასილის ძე | თბილისი | 89 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 60-77. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 89 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 78-87. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | თბილისი | 88 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 78-87. | კაციტაძე კახაბერ ჯემალის ძე | თბილისი | 88 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 78-87. | კოპალეიშვილი პაატა ალექსანდრეს ძე | თბილისი | 88 | იტალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 78-87. | მაკრახიძე ნოდარ დიმიტრის ძე | თბილისი | 88 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 78-87. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 88 | იტალია | ესპანეთი | იტალია |
| 78-87. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 88 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 78-87. | ქაჯაია ლევან კარლოს ძე | თბილისი | 88 | საფრანგეთი | იტალია | საფრანგეთი |
| 78-87. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 88 | გერმანია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 78-87. | ჩხაიძე გიორგი შოთას ძე | თბილისი | 88 | ესპანეთი | იტალია | იტალია |
| 78-87. | ხუნდაძე ვაჟა სიმონის ძე | სამტრედია | 88 | იტალია | ინგლისი | იტალია |
| 88-94. | ასვანუა ლევან პაატას ძე | თბილისი | 87 | პორტუგალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 88-94. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 87 | ჰოლანდია | ესპანეთი | ჰოლანდია |
| 88-94. | დანელია არველოდ ილიას ძე | თბილისი | 87 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 88-94. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 87 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 88-94. | კალმახელიძე აკაკი დავითის ძე | თბილისი | 87 | იტალია | ჩეხეთი | იტალია |
| 88-94. | მინდორაშვილი დავით გიორგის ძე | რუსთავი | 87 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 88-94. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 87 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 95-99. | გეგეშიძე კონსტანტინე ველოდის ძე | თბილისი | 86 | ჰოლანდია | ჩეხეთი | ჰოლანდია |
| 95-99. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | თბილისი | 86 | შვეცია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 95-99. | კურტანიძე მეგი ავთანდილის ასული | თბილისი | 86 | ესპანეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 95-99. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 86 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 95-99. | ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე | თბილისი | 86 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 100-101. | დარბინიანი ვოსკან ძე | თბილისი | 85 | ესპანეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 100-101. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | თბილისი | 85 | საფრანგეთი | იტალია | საფრანგეთი |
| 102-114. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | თბილისი | 84 | იტალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 102-114. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | გერმანია | გერმანია |
| 102-114. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | თბილისი | 84 | იტალია | ჰოლანდია | იტალია |
| 102-114. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | თბილისი | 84 | ინგლისი | ჰოლანდია | ინგლისი |
| 102-114. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 102-114. | რაზმაძე ნიკოლოზ ავთანდილის ძე | თბილისი | 84 | ესპანეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 102-114. | რაზმაძე ნიკოლოზ ავთანდილის ძე | თბილისი | 84 | ჩეხეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 102-114. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 84 | ჩეხეთი | ჰოლანდია | ჩეხეთი |
| 102-114. | შაყულაშვილი ვასილ გურამის ძე | თბილისი | 84 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 102-114. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 102-114. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 84 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 102-114. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 84 | ესპანეთი | საფრანგეთი | ესპანეთი |
| 102-114. | ჯოგლიძე ბესიკ ბეჟანის ძე | ონი | 84 | იტალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 115-144. | აბშილავა ლუკა თამაზის ძე | თბილისი | 83 | იტალია | ჰოლანდია | იტალია |
| 115-144. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 115-144. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | თბილისი | 83 | ესპანეთი | ჰოლანდია | ესპანეთი |
| 115-144. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 83 | იტალია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 115-144. | თავართქილაძე მირიან იოსების ძე | თბილისი | 83 | ინგლისი | იტალია | იტალია |
| 115-144. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 115-144. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | თბილისი | 83 | გერმანია | ჩეხეთი | გერმანია |
| 115-144. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 115-144. | ლეჟავა გურამ ზურაბის ძე | თბილისი | 83 | ინგლისი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 115-144. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | თბილისი | 83 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 115-144. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 115-144. | მიროტაძე დავით ჯუმბერის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 115-144. | მუმლაძე ლეგა ბახვას ძე | თბილისი | 83 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 115-144. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 115-144. | მხატვარი გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 115-144. | ნათელაშვილი სოსო ვალიკოს ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 115-144. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 115-144. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | თბილისი | 83 | იტალია | ჰოლანდია | იტალია |
| 115-144. | როგავა რეზო თამაზის ძე | თბილისი | 83 | იტალია | ჩეხეთი | იტალია |
| 115-144. | სიმონიშვილი ვასილ თეიმურაზის ძე | თბილისი | 83 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 115-144. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 83 | იტალია | ინგლისი | ინგლისი |
| 115-144. | ცინცაძე ნელი გენოს ასული | თბილისი | 83 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 115-144. | ძაძამია ლაშა მირიანის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 115-144. | ძიმისტარიშვილი თეიმურაზ მურთაზის ძე | თბილისი | 83 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 115-144. | ჭოჭუა შალვა გურამის ძე | თბილისი | 83 | საფრანგეთი | ჩეხეთი | საფრანგეთი |
| 115-144. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | თბილისი | 83 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 115-144. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 83 | იტალია | პორტუგალია | იტალია |
| 115-144. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 83 | ხორვატია | იტალია | იტალია |
| 115-144. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 83 | ინგლისი | იტალია | ინგლისი |
| 115-144. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 83 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

[illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული. მაგრამ სახე გარკვეულად უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

თუ კითხულობთ ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და შეავსოთ შეკითხვის ფორმა.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# გმადლობთ, კარგად

## ორიოდე სიტყვა კოლეგებს

ანა კორძაია-სამადაშვილი

მენეჯმენტისა და მარკეტინგის უთვალავი კურსის გავლის შემდეგ ქეთევან კორძახიამ (ხელოვნებათმცოდნემ, გალერისტმა და უბრალოდ, ჭკვიანმა ქალმა) ამ საქმის ერთ-ერთი ძირითადი კანონი ამიხსნა: არასოდეს უნდა დასვა კითხვა, რომელზეც შესაძლებელია პასუხად მოკლე და კონკრეტული "არა" მიიღო. მაღაზიაში შესულ მუშტარს არ უნდა ჰკითხო: "ხომ არ დაგეხმაროთ?", რადგან პასუხი შეიძლება "არა" იყოს, და "არას" შემდეგ საუბარი მთავრდება. არა და მორჩა.

იგივე კანონი ვრცელდება ჟურნალისტებზეც: თუკი რამის გაგება გსურთ, ისეთი კითხვა მაინც დასვით, რომ მასზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რესპონდენტის მიმართ დიდად კეთილგანწყობილნი არა ხართ და რატომღაც - რატომ, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია - მისი საძაგლად წარმოჩინება გაქვთ განზრახული. ალაპარაკეთ! გარწმუნებთ, ისეთ სისულელეებს ათქმევინებთ, რომ თქვენი იქედნური და, როგორც წესი, უგემოვნო კომენტარიც აღარ იქნება საჭირო.

ჭორები ყველას უყვარს. უბრალოდ, ჭორს გააჩნია: ზოგი მეზობლის ღამეულ ცხოვრებას არჩევს, ზოგს ბრიტნი სპირსის ქალწულობის ამბავი აინტერესებს, ზოგი თვლის, რომ დიდად ინტელექტუალური არსება ბრძანდება და ამიტომ ანა ახმატოვას ზნეობრივ სახეზე ლაპარაკობს, ზოგსაც პოლიტიკოსთა წარსულში ქექვა უთბობს გულს - მოკლედ, ყველა ჭორაობს, და ეს სავსებით ბუნებრივია. ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ ჟურნალ-გაზეთები ჭორებითაც ცდილობენ მკითხველის ყურადღების მიპყრობას, და რაც უფრო მადლიანად ჭორაობს ესა თუ ის გაზეთი, მით უფრო მეტი ადამიანის გული აქვს მოგებული.

ჭორაობაცაა და ჭორაობაც. მაგალითად, მე გერმანული "ბილდი" მიყვარს. უნდა ვაღიარო, რომ ჰაიდი კლუმის ბავშვის მამის ვინაობა და ჯენიფერ ნიჩის გარდაცვალების მიზეზები ძალიან ნაკლებად მადარდებს. მე "ბილდის" კორესპონდენტებით ვარ მოხიბლული, რომლებიც დიდებულად ჭორაობენ, ისე, რომ ნებისმიერი სისულელე სახალისო წასაკითხი ხდება.

სამწუხაროდ, ჩემს ქართველ კოლეგებს ამას ვერ დავაბრალებ. მაგალითს მოგახსენებთ: ერთ ჩემს მეგობართან ინტერვიუზე მისულმა ქართველმა ჟურნალისტმა გოგონამ მრავალ სხვა გულისამაჩუყებელ სისულელესთან ერთად (ის ალბათ დარწმუნებულია, რომ ლამაზ ქალს სისულელეც უხდება) ასეთი კითხვაც დასვა: "ცოლის მოყვანას აპირებთ?" მას ძალიან აინტერესებდა რესპონდენტის მომავალი მეუღლის ეროვნების საკითხი. თავის კითხვაზე მან სავსებით გასაგები პასუხი მიიღო: რომ ქალის ეროვნებას ამ მამაკაცისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამის შედეგად, ჟურნალისტი გოგონას სტატია ასეთი სათაურით დაიბეჭდა - ამა და ამ კაცს ზანგი ქალი მოჰყავს ცოლად! აუ, რა მაგარია, არა?! რატომ - ზანგი? არა, ცუდი კი არაა, უბრალოდ, იმ კაცს ზანგ ქალთან, თავისდასამწუხაროდ, საქმე არასოდეს ჰქონია, ამან საიდანღა მოიტანა? ან რად უნდოდა?



ეს ამბები წლევანდელი პენ-მარათონის დროს გამახსენდა



ჟურნალისტები, მწერლები და ორგანი-ზატორები

ჩემი კოლეგების ზრდილობა ცალკე საკითხია. ამას აღარაფერი ეშველება, დაკაკუნებას და სალმის მიცემას ზოგიერთს მაინც ველარ მიაჩვევთ. აქ პროფესიული ეთიკა არაფერშუაშია, აღზრდაზეა საუბარი: იმას, რომ მიმართვაზე პასუხად ჩაფრუტუნება უზრდელობაა, და რომ ღამით სხვის ოთახში შესვლის წინ კარზე უნდა დააკაკუნოს, ადამიანს დედა ასწავლის, და ზრდასრული ქალისთვის მსგავსების ახსნას ამაოდ ნუ დაიწყებთ - მაინც ვერ გაიგებს; ბოლოს და ბოლოს, თუ შიშველს გადაგაწყდათ ან გაგანია სექსზე წაგასწროთ, ეს მისი პრობლემა უფროა, ვიდრე თქვენი. ის კი ბევრად უარესია, რომ განურჩევლად იმისა, რას უპასუხებთ, ის მაინც იმას დაწერს, რაც გაუხარდება. მნიშვნელობა არა აქვს, რა გაზეთთან თუ ჟურნალთან გვაქვს საქმე - ქართველ ჟურნალისტთა უმრავლესობა ერთსადაიმავე ღრმააზროვან კითხვებს სვამს (მიმართვის ფორმა - შენობითი, რადგან ითვლება, რომ ხელოვანთან ფამილარული უნდა იყო): "რით განსხვავდება ეს ბაზრობა (გამოფენა, კონცერტი, კონკურსი და ა.შ. - სულ ერთია) სხვა ბაზრობისგან (გამოფენა, კონცერტი, კონკურსი და ა.შ. - სულ ერთია)?"; "რას ელი ამ ბაზრობისგან (გამოფენისგან კონცერტისგან, კონკურსისგან და ა.შ. - სულ ერთია)?"; "როგორ წერ (ხატავ, მღერი, ცეკვავ და ა.შ. - სულ ერთია)?" "ხომ არაფერს გვეტყოდი?" - რა ჯანდაბა უნდა გითხრა, დედაკაცო?

ჩემს საყვარელ კოლეგებს აზრადაც არ მოსდით, რომ რამის ცოდნა, სხვა თუ არაფერი, საქმეს გაუადვილებთ, და შემდეგ თვალების ცეცება და ზედმეტი კითხვების დასმა, როგორიცაა - "ეს ვილაა?" არ დასჭირდებათ. გარდა ამისა, თუ რამე მაინც ეცოდინებათ, მთლად იდიოტურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებიან, არც კოტე ყუბანეიშვილის შესახებ ბრძანებენ, თეთრ და სიურეალისტურ ლექსებს წერსო და არც ვახუშტი კოტეტიშვილს მიაჩეჩებენ ქაღალდს წარწერით "კმარა უწიგნურობა". ამას ისევ ის სჯობს, კრანახი ფხალი ეგონოთ, რადგან ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი ვახუშტი კოტეტიშვილს სახეზე მაინც ვერ ცნობს, მის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურობაზე მეტყველებს.

ეს ამბები წლევანდელი პენ-მარათონის დროს გამახსენდა, როცა ჩემი კოლეგების ქცევით და მათ მიერ ინფორმაციის მოპოვების მცდელობებით საბოლოოდ "მოხიბლული" დავრჩი. მათ არ იცოდნენ, ვინ იყო მარათონის მონაწილე, ვინ - კომისიის წევრი და ვინ - ჟურნალისტი, და მათ სადიდებლად უნდა ითქვას, რომ ეს სულ არ აწუხებდათ. როცა ბატონმა დავით ჯავახიშვილმა ერთ-ერთს მოკრძალებით უთხრა, მე არ ვწერო, მან ძალიან მშვიდად შეაქცია ზურგი - არ წერ და ნუ წერ, აი, დარდი! ძვირფასო, ეს უზრდელობაა!

იქ ერთი კითხვა განსაკუთრებით მომეწონა, გონიოს ციხეში დასმული: "რა მდგომარეობაში ხარ?" ნეტა, რა უნდა ეპასუხა ბესო სოლომანაშვილს?

გაუძელი, ბესო!

### სკანვორდი



## TV პროგრამა

29 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "ფულს სუნი არ უდის" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** მხ. ფილმი "ლიფტი". მთ. რ-ში: ჯეიმს მარშალი, ნაომი უოტსი (18). **02.20** მხ. ფილმი "მოდი დაწექი ჩემთან". მთ. რ-ში: ივ მონტანი, მერილინ მონრო (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** არაბული მუსიკალური კინო. ჰოლივუდი ნილოსზე. დოკ.ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **17.30** ბელგიური წლები. მეფე ალბერ II 70 წლისაა. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. **21.25** თავს ყველას ვერ მოაწონებ. **01.30** წითელი ფარდა. აფრიკული კულტურა. დაკარი. **05.20** ზაფხულის ერთი დღე. მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2003.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-5" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "მხატვრები და პროვანსი" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "კონტაქტი" 1-ლი ს. **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" (12) **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ოსტატის შეხება" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მოჩვენება" (პატრიკ სუეიზი) (15) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "პირველი რაინდი" (შონ კონერი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "მაგნოლია" (ტ. კრუზი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "კლეოპატრა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" **13.10** მხ. ფილმი "მედაფდაფეთა რიგი" (გ) (ნიკ კენონი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "საჰაერო დარტყმა" (რობერტ რასელი) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** კანის ფესტივალი **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "წინააღმდეგობა" (15)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **14.00** მხ. ფილმი "მის კონგენიალობა" **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 1-2 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 16.45, 17.20, 02.05** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 01.35** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** მხ. ფილმი "შეუპოვარი" (გ) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** ლარის მახე **23.00** "ერთხელ ჰოლივუდში" **23.30** მხ. ფილმი "დოყლაპია" (ჟ. ბურვილი) (გ)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "ბაგა-ბაღი" მე-2 ს. **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.15** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი "ლუსი ობრაკი" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 00.50** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** ფილმი-ზღაპარი "გალგამეტი" **10.40** "სტარტი" **10.55** კომედია "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** მხ. ფილმი "ნიკიტა" **14.35** მუსიკა **14.50** კომედია "უგროშოდ ბევერლი ჰილზში" **16.45** მულტფილმი "მულანი" **18.15** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** დოკუმენტური ფილმი **19.55, 03.30** მუსიკა **20.15** "სტარტი" **21.00** მხ. ფილმი "შემოდგომის მარათონი" **23.00** თრილერი "დიდი ცუდი სიყვარული" **01.20** მხ. ფილმი "ჯერი მაგუაერი" **03.40** მხ. ფილმი "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20, 18.50** Сериал **"КЛОН". 11.20** "Ералаш". **11.40** Дисней-клуб: "Мышиный дом". **12.10** Витаутас Томкус в детективе **"РАЛЛИ"**. **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СКАРЛЕТТ". 16.20** "Угадай мелодию" **16.50** "Большая стирка" **18.20** Док. сериал "Баллада о большом Але". **19.50** "Стирка на миллион". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30** Время. **22.30** Тайны века. "Советский шпион. Мартин Борман". **23.50** Док. фильм "Секретный конструктор". **00.30** Максим Никулин в программе "Форганг". **01.00** "Кинодвижение". **01.40** Клинт Иствуд в фильме **"БЛЕДНЫЙ ВСАДНИК" 03.45** Кевин Спейси в фильме **"ЖЕЛЕЗНАЯ ВОЛЯ"**.

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Красная смерть". Фильм Александра Герасимова. **11.25** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 01.15** "Сегодня" **12.30** Андрей Ильин в фильме **"КАКАЯ ЧУДНАЯ ИГРА"**. **14.25** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Самая опасная игра на свете". **18.35** Протокол. **19.40** Детективный сериал **"МАНГУСТ: СТРАСТИ ПО "МАРКИЗУ". 20.50** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** Красная стрела. **22.50** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 23.55** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 01.40** Теннис. Уимблдонский турнир. **02.30** Кома: это правда.

# მხოლოდ მოდერნი და თანამედროვე



ნინო ჭანიშვილი

"მე მომწონს ფული კედლებზე. მაგალითად, თქვენ აპირებთ იყიდოთ სურათი 200 ათას დოლარად. მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ აიღებთ ამ ფულს და დაკიდებთ კედელზე. თუ ვინმე მოვა თქვენთან სტუმრად, პირველი, რასაც დაინახავს იქნება - ფულები კედელზე". ენდი უორჰოლის ამ გენიალურ რჩევას არავინ უგდებს ყურს. ყველას, რომ სწორედ სურათის ყიდვა სურს.

ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებული მოთხოვნა კლასიკურ მოდერნზე და თანამედროვე ხელოვნებაზეა. 90-იან წლებში აგორებული ბუმი იმპრესიონიზმზე და პოსტიმპრესიონიზმზე სულ ახლახანს ჩაცხრა. მე-19 საუკუნის ფერადოვანი პეიზაჟების და ნატურმორტების ყიდვა უკვე აღარ იზიდავთ ფულიანებს. რენუარი და მონე მათ ინტერესს აღარ იწვევს. წინა კვირას ლონდონის ვაჭრობებზე რენუარის რამდენიმე სურათი ჩავარდა, ხოლო "ახალგაზრდა მობანავე ქალი" 4 მილიონ დოლარად გაიყიდა სოტბის აუქციონზე. მაშინ, როცა ეს სურათი 11 მილიონ დოლარად იყო გაყიდული 1997 წელს კრისტის აუქციონზე.

დღეს აქტუალური სახელებია ეგონ შილე, ჟან მიშელ ბასკია, ფრენსის ბეკონი, ლუჩიო ფონტანა. ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა 1990-ინების ბოლოს მსოფლიოს წამყვანმა აუქციონებმა ომის შემდგომი და თანამედროვე ხელოვნების დეპარტამენტები დაარსეს.

ლუჩიო ფონტანას (1899-1968) სურათების ღირებულება, ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მხატვრებისაგან განსხვავებით, მილიონებს ვერ აღწევს, მაგრამ მათზე ფასი გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. შარშან ფონტანას სერიიდან Concetto spaziale სურათები რამდენიმე ათეულ დოლარად იყიდებოდა. გასული კვირის ვაჭრობებზე კი რამდენიმე ასეულ დოლარს მიაღწია. გაიყიდა ამავე სერიის Concetto spaziale სურათები. ეს არის სხვადასხვა ფერად შეღებილი ტილოები, რომლებზეც ერთი ან რამდენიმე ხაზია ამოკაწრული. ლუჩიო ფონტანა ერთ-ერთი იმ მხატვართაგანი იყო, რომელთაც სურდათ, რომ მათი სურათები უკანასკნელი ყოფილიყო მხატვრობაში. ეს ყველაფერი მალევიჩის "შავი კვადრატით" დაიწყო და ფონტანას მერეც არაერთი ცდილობდა ამ მისიის შესრულებას.

ფრენსის ბეკონის (1909-1992) ტრიპტიხი Three studies of Isabel Rawsthorne (1966წ) კრისტის აუქციონზე 4,2 მილიონ დოლარად გაიყიდა. 1960-70-იან წლებში ფრენსის ბეკონი ხშირად ხატავდა იზაბელ რაუსთორნს. ამ უკანასკნელს ლივერპულის სამხატვრო სკოლა და სამეფო აკადემიაც ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ სახელი ცნობილ ხელოვანებთან მოდელობით გაითქვა. ის არაერთი მხატვარის საყვარელი და მოდელი იყო, მათ შორის დერენის და ჯაკომეტის. იზაბელა რაუსთორნი დახატული ჰყავდა პიკასოსაც. გასულ კვირას ფრენსის ბეკონის კიდევ ერთი სურათი - ავტოპორტრეტი სოტბის აუქციონზე 2.8 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ეგონ შილეს ეროტიკული ნახატი "შეყვარებულები" სოტბიზე 3,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს სარეკორდო ფასია შილეს გრაფიკისთვის.

ცხელი სეზონი იყო ჟან მიშელ ბასკიას (1960-1988) შემოქმედებისთვის. ბასკია დასაწყისში გრაფიტის მხატვარი იყო. მერე ის წარმატებულ მხატვრად იქცა, რომლის შემოსავლებიც მილიონებს შეადგენდა. მაგრამ საბოლოოდ მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა, ჰომოსექსუალური ორგიების კომბინაციამ ნარკოსესიებთან, ჟან მიშელ ბასკია 28 წლის ასაკში სიკვდილამდე მიიყვანა. ბასკიას 1982 წელს დახატული უსათაურო სურათი 4,5 მილიონ დოლარად შეიძინა მანჰეტენელმა კოლექციონერმა ადამ ლინდემანმა.

თანამედროვე ვაჭრობების ცხელი სეზონი კი გრძელდება. 30 ივნისს კრისტის აუქციონზე პოპ-არტი გაიყიდება. მთავარი გმირები ენდი უორჰოლი და როი ლიხტენშტეინი იქნებიან.











**საერთაშორისო სახლი**

*საერთაშორისო სახლი - მსოფლიო ორგანიზაციის წევრი*

International House
*A Member Of The International House World Organisation*
*5 ივლისიდან - 31 ივლისამდე*
*awyobs*
**Starts**
*ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების*
საზაფხულო სკოლას

Summer School
*An Intensive English Language Course*

მეცადინეობები დაიწყება: 10.00; 12.00; 15.00; 17.00; 19.00.
- *სწავლების ყველა დონე*
- *მეცადინეობები ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 2 საათი*
- *წინასწარი ტესტირება და გასაუბრება*
- *კვალიფიცირებული ქართველი, უცხოელი მასწავლებლები*
- გაიცემა სერთიფიკატი
- ტელეფონები: 94-05-15, 33-01-79
- მისამართი: დოლიძის 2

***Learn English With The Professionals and Speak to the World!***




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.